ოლიმპიური ჩემპიონი გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს A7
"კანონიერების კულტურა" A4
მონადირე B6

www.24hours.ge
# 24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 2 მარტი, 2004 წელი. №51 (600)
ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## ამერიკა "წვრთნისა და აღჭურვის" მსგავს ახალ პროგრამას დააფინანსებს

BENS-ის წარმომადგენლები, ამერიკის გავლენიანი ბიზნესმენები, ერთ დროს მაღალ სამხედრო და პოლიტიკურ თანამდებობებს ფლობდნენ. ისინი უშალოდ გაეცნენ პროგრამის მიმდინარეობას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დეტალს.

A3

### ეკონომიკა

## საქართველოს მთავრობის ერთიანი პროგრამა საერთაშორისო თანამეგობრობის სამსჯავროზე

დრო და ხელისუფლებები იცვლებიან, იცვლება ორიენტაცია, მაგრამ არ იცვლება ჩვეულება და ქართული ხელისუფლების "პროვინციული" ქცევის სტილი - გუშინ ქართული ხელისუფლება საკუთარ სამშობლოში ჩრდილოელ მეზობელს რუსულ ენაზე ესაუბრებოდა, დღეს ისევ საკუთარ სამშობლოში უკვე ოკეანისგაღმელს ხვდება და სასაუბრო ენად ინგლისურს არჩევს.

A4

### უცხოეთი

## რუსლან გელაევი - ცოცხალი თუ მკვდარი?

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის დაღუპვის შესახებ მცდარი ინფორმაციები მრავალჯერ გავრცელებულა, ამჯერად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოსათვის კარგად ცნობილი ჩეჩენი გენერალი ლიკვიდირებულია.

A5

### საზოგადოება

## A-ჰეპატიტის გავრცელების საშიშროება სკოლებში

დედაქალაქის სკოლებში გამეფებულმა ანტისანიტარიულმა მდგომარეობამ A-ჰეპატიტის გავრცელების საშიშროება წარმოქმნა. გუშინ ქალაქის სანიტარიული სამსახურის უფროსის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა რამდენიმე სკოლა მოინახულა და ბევრ მათგანში ბუფეტი და სპორტული დარბაზები დახურა.

A6

### სამართალი

## მეხუთე იზოლატორიდან გაქცეული "ჭაღარა" ლიკვიდირებულია

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ, გამთენიისას, კიდევ ერთი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის კობა ლომაძის ლიკვიდაცია მოახდინეს.

A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | ღრუბლიანი |
| ქუთაისი | 21 | ღრუბლიანი |
| ბათუმი | 19 | ღრუბლიანი |
| სოხუმი | 19 | მზიანი |
| ფოთი | 20 | ღრუბლიანი |
| თელავი | 17 | ღრუბლიანი |
| ზუგდიდი | 21 | ცვალებადი ღრუბლიანობა |
| გორი | 15 | ღრუბლიანი |
| ახმეტა | 17 | ღრუბლიანი |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0200 |
| ევრო | 2.5234 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7839 |
| რუბლი | 0.0708 |

# 100 დღე - შენიშვნები "შინაგანი განწყობისათვის"

გიორგი ხელაშვილი

*2 მარტს შესრულდება 100 დღე ნოემბრის რევოლუციიდან. ამ სიმბოლურ თარიღს ქართული სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი საკმაოდ წინააღმდეგობრივი შინაგანი განწყობით ხვდება.*

გასული წლის ნოემბერში ხალხის მიერ ხელისუფლების გამოცვლა ყველაზე სერიოზული და პროგრესული პოლიტიკური მოვლენა იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. რევოლუციამ გამოათავისუფლა დიდი ეროვნული ენერგია და ხალხს საკუთარი ძალების რწმენა და მომავლის იმედი დაუბრუნა.

4 იანვრის არჩევნებში პრეზიდენტისთვის მიცემული ხმების უმაგალითოდ მაღალი პროცენტი (რაც დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი იშვიათობაა) უფრო რევოლუციის საერთო-სახალხო მხარდაჭერას გამოხატავდა, ვიდრე კონკრეტული კანდიდატისთვის გამოხატულ ნდობას (როგორც "ფაინენშელ თაიმსის" ჟურნალისტი წერდა).

გაგრძელება A3 გვერდზე


ბესო გულაშვილის ფოტო
*მათ კრიტიკა სჭირდებათ, რათა რეალობას არ მოსწყდნენ.*

# როგორც "ელ პაისი" და "რეპორტა"

## რისთვის გასცემს პრემიებს ბუცერიუსის ფონდი

მაია ჭალაგანიძე

*ჩვენი სტუმრის მამა, ვინდ გრაფ ფონ ქალნეინი მეორე მსოფლიო ომის ბოლოს სხვა სამხედრო ტყვეებთან ერთად საბჭოთა საქართველოში გაგზავნეს. 5 წლის განმავლობაში მოუწია ბანაკში ცხოვრება. ვინაიდან რუსულ ენას ფლობდა, ბანაკის ხელმძღვანელობასთან ჰქონდა კავშირი და შეძლო, ღრმად ჩაეხედა ბანაკის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სტრუქტურაში. მაგრამ, ეს შესავალია და პირდაპირი კავშირი არა აქვს დღევანდელ სასაუბრო თემასთან...*

*რაც უნდა ხალხისა და მედიის გავლენიანი საშუალების მხარდაჭერით იყოს მოსული, მთავრობაზე ფსონს ვერ ჩამოხვალ - თავისუფალ პრესას ის ვერ განავითარებს; ამიტომაც შექმნილია ფონდები, რომლებიც წახალისებისთვის დამოუკიდებელი მედიის ახალგაზრდა, მზარდ საშუალებებს ეძებენ და არ ეძებენ ამ უძველეს პროფესიაში გამობრძმედილ ჰასაკოვან გაზეთებს, რომლებსაც განვითარება არსებობის პირველივე წლებში შეუფერხდათ.*

*ისტორია და რომანისტიკა ჩვენი სტუმრის, დოქტორ ალბრეხტ ფონ ქალნეინის პროფესიაა. დღეს ის "ცაიტის" ფონდში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების, თანადგომის პროგრამების ხელმძღვანელად მუშაობს და შეიძლება ითქვას, პრემიების გაცემის მამაც და პასუხისმგებელიც ის არის (ეს მისი სიტყვებია). ფონდის საზღვრები საკმაოდ ფართოა და დასაჯილდოებელ გაზეთებს უკიდეგანო პოსტსაბჭოთა სივრცეში ეძებს.*

*მოგეხსენებათ, ფონდმა წელს ჩვენი გაზეთიც "იპოვა" და დოქტორი ქალნეინიც, პროტოკოლის თანახმად, ერთი დღით ჩამოვიდა, რათა ადგილზე ნახოს, ვინ დააჯილდოვა და რატომ.*

გაგრძელება B1 გვერდზე


იური მეჩითოვის ფოტო
*დოქტორ ალბრეხტ ფონ ქალნეინი "24 საათის" რედაქციაში.*

# დავიცვათ ისინი, რომ თავად ვიყოთ დაცულნი

## ქუჩის ბავშვების პირველი თაობა ბავშვობის ასაკს ემშვიდობება

*საქართველოში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების 50 პროცენტი ღარიბთა კატეგორიას მიეკუთვნება. ამ ოჯახებიდან გამოსული 5000-მდე ბავშვი დღეს, ფაქტობრივად, ქუჩაში ცხოვრობს და ლუკმა პურს მათი ასაკისთვის შეუფერებელი შრომით - მათხოვრობით ან პროსტიტუციით შოულობს. ამ ბავშვების პირველი თაობა, ვინც ათი და მეტი წელია, ქუჩაშია, ბავშვობის ასაკს უკვე ემშვიდობება. წების სუნთქვით "მიღწეული" სამყარო - ნანატრი საკვები, სათამაშოები თუ მულტფილმები, მათთვის თანდათან კარგავს აქტუალობას; ახლა უკვე სხვა სურვილები, სხვა მისწრაფებები აქვთ. სახელმწიფო კი ამ სურვილებისა და მისწრაფებების უზრუნველყოფას ჯერ ისევ ვერაფრით ახერხებს.*

მაკა ჭაიანი

პირველი "ქუჩის ბავშვები" საქართველოში 1992 წელს თბილისში გამოჩნდნენ. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დედაქალაქი, ქვეყნის სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ადგილი იყო, მათ სწორედ თბილისში მოიყარეს თავი. არასამთავრობო ორგანიზაცია "ბავშვი და გარემოს" მიერ 1996 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქუჩის ბავშვების მეხუთედი გაზეთსა და ნაყინს ყიდდა, მუშაობდა ბენზინგასამართ სადგურებსა და კაფეებში, ცლიდა რკინიგზის ვაგონებს და ხშირად ღამესაც იქვე ათევდა. მათი საშუალო ასაკი 13 წელს არ აღემატებოდა. მეორე ჯგუფი, რომელშიც თანაბრად იყვნენ, დაახლოებით, 10 წლის ბიჭები და გოგონები, მათხოვრობდა, რამდენიმე ქურდობდა. ამ ბავშვების უმეტესობა ცხოვრობდა საკუთარ ოჯახებში და შემოსავალი შინ მიჰქონდა. 10 წლამდე ასაკის ბავშვები მშობლებთან ან უფროსებთან ერთად მათხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ჰყავდათ, ბავშვების მეხუთედი გარეთ ათევდა ღამეს.

გაგრძელება A6 გვერდზე


იური მეჩითოვის ფოტო
*ეს ძალა, შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ მობრუნდეს.*

# ხელისუფლება და მისი "გველები"

გიორგი ასანიშვილი

*ხელისუფლებას ახალი თავსატეხი გაუჩნდა. თითქოს საკუთარი ან სახელმწიფოებრივი პრობლემები თავზესაყრელი არ ჰქონდეს, ამიერიდან მან ოპოზიციაზეც უნდა იზრუნოს. თუ მისი ოპონენტები საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავენ და პარლამენტში ვერ მოხვდებიან, ხელისუფლების იმიჯი შეილახება – აქაოდა, ერთპარტიული სისტემა შექმნა და განმკითხავი არავინ ჰყავსო. ერთი სიტყვით, ხელისუფლება იძულებულია, "უბეში გველი გამოზარდოს".*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცესკო-ს თავმჯდომარის უარი და დასტური

თამარ ასათიანი

*უშიშროების ექსმინისტრის იგორ გიორგაძისა და ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟის – კონსტანტინე გამსახურდიას საარჩევნო სიებში ყოფნის საკითხი გუშინ საბოლოოდ გადაწყდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვერდიქტით, პოლიტიკური ბლოკი "სამართლიანობა" იგორ გიორგაძის გარეშე რჩება. პარტია "თავისუფლების" ლიდერს – კონსტანტინე გამსახურდიას კი ცესკო რეგისტრაციაში ატარებს. შეგახსენებთ, რომ ორივე მათგანს საქართველო უკვე დიდი ხნის წინ აქვს დატოვებული.*

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, იგორ გიორგაძესთან დაკავშირებით მან გადაწყვეტილება საკმაოდ სწრაფად მიიღო, **"რადგან ექსმინისტრის საკითხი არაერთგზის განხილულა ცესკო-ში და ინტერპოლის მიერ ძებნილი იგორ გიორგაძის მხარდამჭერებმა ვერც ერთხელ ვერ წარმოადგინეს იმის დამადასტურებელი მასალა, რომ გიორგაძე უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოში ცხოვრობდა."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთის მომავალი პრემიერის უცნობი ბიოგრაფია

ნიკა თარაშვილი

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა გუშინ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და პრემიერ-მინისტრის პოსტზე აქამდე ჩრდილში მყოფი მიხაილ ფრადკოვი დაასახელა. "ჩვენ წინაშე მთავრობის თავმჯდომარის დასახელების არცთუ იოლი ამოცანა იდგა. ის უნდა ყოფილიყო მაღალი დონის პროფესიონალი, პატიოსანი ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო მართვის სხვადასხვა სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება ექნებოდა. ჩვენ ერთხმად მივედით დასკვნამდე, რომ სწორედ ასეთია მიხაილ ფრადკოვი – რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ევროკომისიასთან," - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა. ეს განცხადება მან კრემლში, რუსეთის სათათბიროს უმრავლესობის ლიდერებთან შეხვედრაზე გააკეთა. პუტინს იმედი აქვს, რომ სათათბირო დაეთანხმება პრეზიდენტის ასეთ გადაწყვეტილებას, რომელშიც, თუ სათათბიროს დღევანდელ შემადგენლობას გავითვალისწინებთ, ძნელია ეჭვი შეიტანო. სახელმწიფო სათათბირომ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა პარასკევს უნდა განიხილოს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მონადირე | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## პირველ მარტს, პირველ საათზე



*პირველი სტუმარი და გენერალური მენეჯერი.*

პირველ მარტს პირველ საათზე სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტმა" პირველი სტუმარი მიიღო. ეს იყო ამერიკელი დიპლომატი ჯერალდ ფრიდმანი, რომელიც მისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. სასტუმროში სამხედრო ფორმით შემოსულ ჩანთაგადაკიდებულ დიპლომატს უზარმაზარი ოქროსფერი გასაღებით დახვდნენ გენერალური მენეჯერი იგაელ პორეცკი და ჟურნალისტების მთელი ჯარი. გასაღების საზეიმო გადაცემისა და ჭიქა შამპანურის შესმის შემდეგ სტუმარმა პირველი კომენტარიც გააკეთა.

**"წვრთნისა და აღჭურვის პროგრამიდან დავბრუნდი. აქ კი ასეთი საზეიმო შეხვედრა მომიწყეს, აი, გასაღები გადმომცეს. ძალიან სასიამოვნოა და სასტუმროც ძალიან მომწონს, მაგრამ უფრო კონკრეტულად ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცი, ისაა, რომ თვალისჩინივით მოვუფრთხილდები ამ გასაღებს,"** – განაცხადა პირველმა სტუმარმა.

სასტუმრო "თბილისი მარიოტისა" და სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტის" მფლობელია "ჯი-ემ-თი" ჯგუფში შემავალი ს/ს "ოტელ თბილისი".

"ჯი-ემ-თი" ჯგუფის დირექტორი ირაკლი ბაიდაშვილი: **"ეს არის მეორე სასტუმრო, რომელიც კომპანია "ჯი-ემ-თი" ჯგუფმა თბილისში გახსნა და ერთი ნაწილი იმ 70- მილიონი დოლარის ღირებულების პროექტისა, რომელიც ორივე სასტუმროს მოხმარდა.**

**პირველ სტუმართან ერთად სასტუმროში უკვე 8 ჯავშანია. ეს რიცხვი მალე გაიზრდება და ამ თვის ბოლოსთვის დატვირთვა 60-70 პროცენტს მიაღწევს. დამეთანხმებით, ახლად გახსნილი სასტუმროსთვის არნახული შედეგია.**

**"ქორთიარდი" არის "მარიოტის" ახალი კონცეფცია – დამსვენებლებისთვის და ბიზნესმოგზაურთათვის; თანაც არაჩვეულებრივი კომბინაციაა შედარებით დაბალი ფასისა და მაღალი სერვისისა. მომსახურება იქნება "მარიოტის" უმაღლესი დონის ფარგლებში. მინიმალური ფასია 120-125 დოლარი.**

**შენობა ისეა დაგეგმილი და აშენებული, რომ მაქსიმალურად გარანტირებულია ყველა სტუმრის უსაფრთხოება. ამასთან, ეს არის აღმოსავლეთ ევროპისთვის უპრეცედენტო ნაგებობა, რომელიც 138 ხიმინჯზე დგას და უძლებს 9-ბალიან მიწისძვრას. ამ მხრივ, ეს ყველაზე უსაფრთხო ადგილია."**

სასტუმროში არის 118 ოთახი, 6 საკონფერენციო დარბაზი, რესტორანი, ბარი, საცურაო აუზი და ჯაკუზი. ირაკლი ბაიდაშვილი სიამაყით აღნიშნავს, რომ ახალი სასტუმრო აიგო სფეროში ყველაზე დიდი კერძო და პირდაპირი ამერიკული ინვესტიციით, რაც შემდგომ კიდევ უფრო დიდი პროექტების განხორციელების საწინდარი იქნება.

*24 საათი*

## აბაშიძის ხელისუფლებას კრიმინალებთან კავშირში ადანაშაულებენ

აჭარის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ბათუმში, კიროვის ქუჩის 23 ნომერში, აჭარის შინაგან საქმეთა ორგანოებისთვის შეუმჩნევლად თვენახევარია ცხოვრობს ოზურგეთელი "კანონიერი ქურდი" თენგო ხოფერია, რომელსაც, აჭარის სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, ხშირად სტუმრობენ ქალაქის მერი, ასლან აბაშიძის ვაჟი - გიორგი აბაშიძე და პარლამენტარი, ბათუმის ექსმერი და აჭარის მეთაურთან დაახლოებული პირი - ასლან სმირბა.

იმავე წყაროს ცნობით, აღნიშნულ მისამართზე ხოფერიასთან ხშირად იკრიბებიან დანაშაულებრივი დაჯგუფებების ქურდული ტრადიციების მიმდევარი ელემენტები და ნარკომანები, რომელთა კოორდინირებითაც ხორციელდება თვალთვალი და სხვადასხვა ფორმებით ზეწოლა გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტებზე.

გაერთიანებული ოპოზიციის "ჩვენი აჭარის" კოორდინატორის თამაზ დიასამიძის განცხადებით, მისთვის უცნობია ოზურგეთელი კანონიერი ქურდის ბათუმში ყოფნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია, თუმცა, მისივე თქმით, საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა "ჩვენი აჭარის" პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, 1990 წლებში, აჭარიდან ხელისუფლების მიერ განდევნილი კრიმინალების რეგიონში ერთბაშად დაბრუნება.

თამაზ დიასამიძის ვარაუდით, აჭარაში მოსალოდნელი პოლიტიკური ბრძოლის გადმწყვეტ ფაზაში კრიმინალების გამოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება პოლიტიკური პროცესების სამართავად ფსონს სწორედ კრიმინალებზე დებს, ვინაიდან სხვა რესურსი აჭარაში მას პრაქტიკულად აღარ დარჩა. "ჩვენი აჭარა" ასლან აბაშიძის ხელისუფლებას ადანაშაულებს ოპოზიციის წინააღმდეგ კრიმინალური ელემენტებისგან დაკომპლექტებული 5 სპეციალური რაზმის შექმნასა და დაფინანსებაში.

*ინტერ-პრესი*

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (Institute for War & Peace Reporting) კავკასიის ბიურო აგრძელებს კონკურსს საქართველოს რეგიონული ბეჭდური გამოცემებისათვის რეგიონული პრესის განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის დახმარებით ხორციელდება.

პროგრამა ითვალისწინებს გამოცემებისათვის აუცილებელი ტექნიკის გადაცემას,. სამი წლის განმავლობაში ძირითადი ხარჯების დაფინანსებას, ჟურნალისტიკის დასავლური სტანდარტების, გაზეთების მენეჯმენტისა და მარკეტინგის საკითხებზე ჟურნალისტებისათვის ტრენინგებისა და რედაქტორებისათვის შეხვედრა-ტრენინგების რეგულარულად ჩატარებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს რეგიონებში გამომავალ ოფიციალურად რეგისტრირებულ გაზეთებს, რომლებიც იცავენ დემოკრატიულ პრინციპებს და მოვლენების ობიექტური გაშუქებისაკენ ისწრაფვიან. სასურველია რაიმე სახელმწიფო დაფინანსების არარსებობა.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი ინფორმაციის წარდგენა:**

*1. გამოცემის დასახელება, რეგისტრაციის თარიღი;*
*2. რეგიონი, სადაც გამოდის გამოცემა; მისი გავრცელების ზონა;*
*3. გამოცემის დამფუძნებლები;*
*4. გამოცემის პერიოდულობა;*
*5. ტირაჟი, გვერდების რაოდენობა, ძირითადი რუბრიკები და თემები.*

**განაცხადები კონკურსში მონაწილეობაზე მიიღება ელექტრონულ მისამართზე avaliani@caucasus.net (cc iwpr@caucasus.net) ან ფაქსით 989970.**

**განაცხადების წარდგენის ვადა გაგრძელებულია 15 მარტამდე.**

## კოსოვოდან დაბრუნებული კაპრალი საკუთარ სახლში მოკლული ნახეს

გუშინ, გვიან ღამით, რუსთავში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში გაზის პისტოლეტით მოკლული 25 წლის გიორგი კევლიშვილი ნახეს. ჩვენი ინფორმაციით, გიორგი კევლიშვილი მსახურობდა კოსოვოდან ცოტა ხნის წინათ დაბრუნებულ სამშვიდობო ასეულში და ამჟამად ერთთვიან შვებულებაში იმყოფებოდა. რუსთავის პოლიციის ინფორმაციით, "კომანდოს ბატალიონში" მომუშავე გიორგი კევლიშვილი თავისივე იარაღიდან გასროლილი ტყვიით გარდაიცვალა. როგორც გარდაცვლილის მეუღლე აცხადებს, "მას იარაღის ხელში თამაში ჩვევად ჰქონდა და ამჯერადაც იგივეს აკეთებდა, რა დროსაც შემთხვევით მოხდა გასროლა". პოლიციამ მომხდარს გუშინვე თვითმკვლელობის კვალიფიკაცია მისცა, თუმცა მხარის პროკურატურაში აცხადებენ, რომ გასროლა შემთხვევითს არ ჰგავს და შესაძლებელია, კევლიშვილმა თვითმკვლელობა შეგნებულად ჩაიდინა. როგორც "24 საათთან" საუბრისას ქვემო ქართლის საოლქო პროკურორმა მამუკა ცაავამ განაცხადა, სისხლის სამართლის საქმე 115-ე - "თვითმკვლელობამდე მიყვანის" მუხლით აღიძრა.

*24 საათი*

## ბოლნისის საკრებულოს თავმჯდომარეს ემუქრებოდნენ

ბოლნისის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის ამირან ჩალაძისგან 100 ათასი დოლარის გამოძალვის საქმე გახსნილია. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ამ დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, განსაკუთრებით საშიში ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი, 32 წლის მირიან ონიანი დააკავეს. მირიან ონიანი ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. გამოძიების ვერსიით, განსაკუთრებით საშიში დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი წევრი მირიან ონიანი თითქმის ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად უკავშირდებოდა ჩლაიძეს ბინისა და მობილურ ტელეფონებზე, ემუქრებოდა სიცოცხლის ხელყოფით, ოჯახის განადგურებით, შვილების გატაცებით და 100 ათას აშშ დოლარს სძალავდა.

ამავე მიზნით ონიანმა რამდენიმე დღის წინ ჩლაიძეს საცხოვრებელი ბინის კარის სახელურზე დაუმონტაჟა უცხოური წარმოების ხელყუმბარა. დაკავებისას ონიანმა პოლიციის თანამშრომლებს წინააღმდეგობა გაუწია. სამართალდამცავებმა მისი პირადი ჩხრეკისას 0,2 გრამი ჰეროინი ამოიღეს.

*24 საათი*

## თოფაძე-გამყრელიძისთვის "საფინანსო ამინისტიის" იდეა ბუნდოვანია

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას ბიზნესმენების მიერ "გათეთრებული" ფინანსური დეკლარაციების წარდგენის სანაცვლოდ მათთვის ბრალის მოხსნის თაობაზე გამოეხმაურნენ საარჩევნო ბლოკად გაერთიანებული "მრეწველები" და "ახალი მემარჯვენეები".

ისინი პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას ბუნდოვანს უწოდებენ და ხელისუფლებას საგადასახადო პრობლემების მოსაგვარებლად ახალი "საგადასახადო კოდექსის" მიღებას ურჩევენ. "მრეწველები" და ახლები" მოითხოვენ პარლამენტი "მრეწველების" ინიციატივით შემუშავებულ და უკვე პირველი მოსმენით მიღებულ "საგადახადო კოდექსის" ცვლილების შესახებ კანონპროექტს დაუბრუნდეს, რომელიც 18 გადასახადის 4 გადასახადამდე შემცირებას ითვალისწინებს.

**"ჩვენ მიერ შემუშავებული "საგადასახადო კოდექსის" მიმართულება გადასახადების გამარტივებაა. მთელი საგადასახადო ტვირთი ქვეყანაში 25-30%-ს არ უნდა აღემატებოდეს. დღეს კი გარკვეულ დარგებში საგადასახადო ტვირთის რაოდენობა 70%-მდე აღწევს,"** - აღნიშნა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა გოგი თოფაძემ.

"ახლებმა" და "მრეწველებმა" პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ დააფიქსირეს, რომ მათი პოლიტიკური პრინციპი ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა რჩება.

**"ხელისუფლება ისე არ უნდა მოიქცეს, რომ ქვეყანაში რეალური გადასახადის გადამხდელი აღარ დარჩეს,"** - აღნიშნა ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

*24 საათი*

## მთავრობა - "მცირე ლიცენზიანტების" წინააღმდეგ

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრისა და ენერგეტიკოსების შეხვედრა შედგა. შეხვედრაზე განხილული პრობლემები ტრადიციული გახლდათ, შედეგები კი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: "24 საათი" უკვე წერდა, რომ ხელისუფლებამ "მცირე ლიცენზიანტების", ანუ იმ გამანაწილებელი კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ელექტროენერგიას მოსახლოებას გსეკ-ისგან დამოუკიდებლად აწოდებენ, ბრძოლა გამოაცხადა.

გუშინ კი მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, რომ, ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით, 10 მარტს დაგეგმილ სემეკის სხდომაზე განიხილავენ "მცირე ლიცენზიანტებისათვის" ლიცენზიების გაუქმების საკითხს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, არსებობს ასეთი 26 კომპანია, რომელიც კორუფციის წყაროს ქმნის. მისი თქმით, მოსახლეობიდან ამოღებული თანხები მიზნობრივად არ იხარჯებოდა და ამიერიდან ეს თანხები ჰესების რეაბილიტაციასა და სხვა გადაუჭრელი პრობლემების მოგვარებას მოხმარდება. მინისტრის აზრით, ლიცენზიების გაუქმება ხელს შეუწყობს რეგიონებში ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესებას. თათბირის შემდეგ გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა განაცხადა, რომ მცირე ლიცენზიანტები დიდ პრობლემას ქმნიან და ისინი აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

10 მარტს სემეკ-ის სხდომა ამ კომპანიებისთვის მინიჭებული ლიცენზიების საკითხს საგულდაგულოდ შეისწავლის და დარღვევების შემთხვევაში კომპანიებს ლიცენზიებს შეუწყვეტს. გარდა მცირე ლიცენზიანტების საკითხისა, შეხვედრის მთავარი თემა გრაფიკების შეუსრულებლობა გახლდათ. გუშინ მთავრობამ კიდევ ერთხელ მოსთხოვა რეგიონების ხელმძღვანელებს ელექტროენერგიის გამანაწილებელ სადგურებზე თავდასხმების აღკვეთა.

*24 საათი*

## "მაგთიკომს" ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

კომპანია "მაგთიკომს" დღეიდან ამერიკელი მმართველი ეყოლება. "მაგთიკომის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ლევან ბუჩუკური დევიდ ლიმ შეცვალა, რომელიც "მაგთის" ხელმძღვანელობას სატელეკომუნიკაციო სფეროში 15-წლიანი გამოცდილებით იწყებს.

გუშინ "მაგთიკომის" ახალი გენერალური დირექტორი ოფიციალურად პრესას კომპანიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, "მეტრომედიის" გენერალურმა დირექტორმა მარკ ჰაუფმა წარუდგინა. მან ეს საკადრო ცვლილება კომპანიის მუშაობისა და შესაძლებლობების გაფართოებით გამოწვეული აუცილებლობით ახსნა და განაცხადა, რომ კომპანიის გენერალური დირექტორის შეცვლა არანაირად არ უკავშირდება ბოლო დროს "მაგთიკომის", კერძოდ კი, "მისი პარტნიორის გია ჯოხთაბერიძის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს". მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ბევრად უფრო ადრე იყო მიღებული.

ჰაუფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკულ მხარეს არანაირი ინტერესი და სურვილი არ გააჩნია, გაყიდოს კომპანიაში თავისი წილი და ეს ნაბიჯი კომპანიის კიდევ უფრო გაძლიერებისას ემსახურება.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანების "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე საარჩევნო ბარიერის დაწევის მხარდაჭერით იმ შემთხვევაში გამოვა, თუკი ხელისუფლება საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხს რეალურად საკანონმდებლო ინიციატივის სახით დააყენებს. "ჩვენი საარჩევნო ბლოკი "მრეწველები - მემარჯვენეები", ბარიერის დაწევას მხარს დაუჭერს არა იმიტომ, რომ თავად გვაქვს 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის პრობლემა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს, მეტი ოპოზიციური ძალა იყოს პარლამენტში," - აღნიშნა გამყრელიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი ვასილ მაღლაფერიძე 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის დაწევის განსახორციელებლად საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღის გადაწევას არამართებულად მიიჩნევს. მაღლაფერიძე საარჩევნო ბარიერის დაწევას ერთპიროვნულად მიესალმება, თუმცა ამის განხორციელებას ამ ეტაპზე არჩევნებამდე დარჩენილ მოკლე დროში არარეალურად მიიჩნევს. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** "საქართველოს მწვანეთა პარტიის" რაიონულ ორგანიზაციებსა და პარტიის პოლიტიკურ კომიტეტს შორის დაპირისპირებაა. როგორც სარწმუნო წყაროსგან გახდა ცნობილი, დაპირისპირების მიზეზი პოლიტკომიტეტის არაკომპეტენტურობაა, გამომდინარე იქიდან, რომ "საქართველოს მწვანეთა პარტიის" რეიტინგი 1998 წლიდან ერთ პროცენტსაც ვერ ასცილდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გენადი გაგულია აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ნაციონალური სათვისტომოების წარმომადგენლებს შეხვდა და მათ სოხუმის ხელისუფლების სახელით აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან და ნათესავებთან კავშირ-ურთიერთობების აღდგენაში მხარდაჭერა აღუთქვა. სოხუმის ხელისუფლების პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ხელისუფლებისა და ნაციონალური სათვისტომოების წარმომადგენელთა შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ებრაული კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების "შალომის", პოლონური კულტურის ცენტრის "თეთრი არწივის", ესტონური საზოგადოების "ლინდას" და ბერძნული კულტურულ-საქველმოქმედო ცენტრის ხელმძღვანელებმა. **ინტერ-პრესი**

### ოფიციოზი

#### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №72

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით:

1. საქართველოს სამინისტროებისა და სხვა უწყებების, მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელებმა და მათმა ოპერატიულმა და სამორიგეო სამსახურებმა უზრუნველყონ "საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 9 აგვისტოს №368 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის განუხრელი შესრულება.

2. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატებში არსებული საშტატო რიცხოვნობის ფარგლებში, სათანადო კავშირის საშუალებებით აღჭურვილი ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურების შექმნა, რომლებიც ოპერატიულად მიაწვდიან საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურს (არსებული წესის შესაბამისად) მთლიანად მათდამი დაქვემდებარებულ რეგიონსა და ყველა შესაბამის რაიონში მიმდინარე პროცესებისა თუ განვითარებული მოვლენების შესახებ.

3. საქართველოს სამინისტროების, დაწესებულებებისა და სხვა უწყებების ხელმძღვანელებმა პირადად განახორციელონ საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციების დროულად მიწოდების კონტროლი. ინფორმაციის მიუწოდებლობის, დაგვიანების, არასრულყოფილად ან არაზუსტად გადაცემის ყველა ფაქტი გახადონ საგანგებო შესწავლისა და მსჯელობის საგანი და დასვან კონკრეტულ თანამდებობის პირთა სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

4. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა (ი. მერაბიშვილი) უზრუნველყოს საქართველოს სამინისტროებისა და სხვა უწყებების, მმართველობითი ორგანოების ოპერატიულ-სამორიგეო სამსახურების კოორდინაცია არსებული მდგომარეობის გაანალიზებისა და შემდეგში გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №73

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

"ქვეყანაში თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიერო-სამრეწველო საქმიანობის სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ოქტომბრის №582 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

"ქვეყანაში თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიერო-სამრეწველო საქმიანობის სრულყოფის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ოქტომბრის № 582 ბრძანებულებაში ("საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისა და განკარგულების კრებული" 1997 წელი მე-19 მაცნე, 62 გვერდი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანებულების მე-3 პუნქტით დამტკიცებული ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის დებულების (დანართი №1) III თავის მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

"8. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი - ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი და კომისიის წევრები - შესაბამისი სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელები, სხვა სტრუქტურების წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

9. კომისიის მუშაობას უშუალოდ ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, რომელიც განსაზღვრავს კომისიის სამუშაო გეგმებს, ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს და მიღებულ რეკომენდაციებს.

10. კომისიის სამუშაო ორგანოა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა განყოფილება და ამ განყოფილების უფროსი არის კომისიის პასუხისმგებელი მდივანი".

ბ) ბრძანებულების მე-3 პუნქტით დამტკიცებული ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობა (დანართი №2) განისაზღვროს ახალი რედაქციით:

"ივანე მერაბიშვილი - საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე, თავმჯდომარის მოადგილე

არჩილ ლეჟავა - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავდაცვის საკითხთა დეპარტამენტის სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

ზურაბ ადეიშვილი - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი

გიორგი ბარამიძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

გელა ბეჟუაშვილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრი

ნიკოლოზ ვაშაკიძე - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე

გიორგი იუკურიძე - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი

ირაკლი რეხვიაშვილი - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

თამაზ ჩუტკერაშვილი - საქართველოს პრეზიდენტის - სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსის მოადგილე

მიხეილ ჯანიკაშვილი - კომისიასთან არსებული ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი

თედო ჯაფარიძე - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი".

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №178

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

ვ. სიხარულიძისათვის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ.

მიენიჭოს ნატოსთან საქართველოს წარმომადგენლის მოადგილეს ვასილ სიხარულიძეს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №181

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი განკარგულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) "თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად თ. შერვაშიძის მივლინების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 9 ივნისის №597 განკარგულება;

ბ) "თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად ი. ზარქუას მივლინების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 9 ივნისის №587 განკარგულება;

გ) "თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად თ. ფრუიძის მივლინების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 12 მარტის №285 განკარგულება.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №183

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული რეაბილიტაციის მესამე პროგრამის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის თაობაზე.

ხელი მოეწეროს ურთიერთგაგების მემორანდუმს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული რეაბილიტაციის მესამე პროგრამის შესახებ.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №184

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

"ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე ქართული ვაზისა და ღვინის სასახლე-მუზეუმის დაფუძნების შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 6 ნოემბრის №1420 განკარგულების ბათილად გამოცხადების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად ბათილად გამოცხადდეს საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 6 ნოემბრის №1420 განკარგულება "ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე ქართული ვაზისა და ღვინის სასახლე-მუზეუმის დაფუძნების შესახებ".

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №185

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

გ. მაჩხაშვილის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გოგი მაჩხაშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №186

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

ა. ლეკაშვილის დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ავთანდილ ლეკაშვილი დედოფლისწყაროს რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №187

*2004 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი*

ლ. ბარბაქაძის ლაგოდეხის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ლევან ბარბაქაძე ლაგოდეხის რაიონის გამგებლის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №188

*2004 წლის 1 მარტი ქ. თბილისი*

აკადემიკოს კ. წერეთლის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ.

1. შეიქმნას გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალრის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ზურაბ ჟვანია (კომისიის თავმჯდომარე), თამაზ გამყრელიძე, ალბერტ თავხელიძე, გურამ თევზაძე, როინ მეტრეველი, ოთარ ნათიშვილი.
2. კ. წერეთელი დაიკრძალოს საბურთალოს პანთეონში.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №190

*2004 წლის 1 მარტი ქ. თბილისი*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის ასიგნებათა გამოყოფის შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოუყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ათასი ლარი სოციალურ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

*მიხეილ სააკაშვილი*

#### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №39

*2004 წლის 27 თებერვალი ქ. თბილისი*

ლ. ლაბაურის საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კადრების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ლელი ლაბაური საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კადრების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ამერიკა "წვრთნისა და აღჭურვის" მსგავს ახალ პროგრამას დააფინანსებს

ვერიკო თევზაძე

საქართველოს აქვს პერსპექტივა, რომ შეერთებულმა შტატებმა ჩვენს ქვეყანაში "წვრთნისა და აღჭურვის" ტიპის პროგრამა დააფინანსოს. ეს ოპტიმისტური ინფორმაცია ქართველ ჟურნალისტებს ამერიკელ ბიზნესმენთა ცნობილი ჯგუფის - "ბიზნეს-აღმასრულებლები ეროვნული უსაფრთხოებისთვის" (BENS) - წარმომადგენელმა, პენტაგონის გადამდგარმა გენერალმა ჩარლზ ბოიდმა ამცნო. საქართველოს შეირაღებული ძალების გენშტაბის უფროსის გივი იუკურიძის ინფორმაციით, ახალი პროგრამის პრიორიტეტი იქნება მართვის ორგანოების მომზადება და ზურგის ქვედანაყოფების დაკომპლექტება.

BENS-ის წარმომადგენლები, ამერიკის გავლენიანი ბიზნესმენები, ერთ დროს მაღალ სამხედრო და პოლიტიკურ თანამდებობებს ფლობდნენ. ისინი უშალოდ გაეცნენ პროგრამის მიმდინარეობას და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დეტალს. გუშინ კრწანისის სასწავლო ცენტრში ამერიკელი სტუმრები "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამაში ჩართულ თავიანთ თანამემამულეებს, ამერიკელ ინსტრუქტორებს შეხვდნენ.

პრეზიდენტ სააკაშვილთან დიალოგის შემდეგ, რომელიც სახელმწიფო კანცელარიაში საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ჩარლზ ბოიდმა მასმედიას განუცხადა, რომ ამერიკული მხარე პროგრამის წარმატებულობაში დარწმუნდა: **"ამ წარმატების გამო, შეერთებული შტატები მზად არის, მსგავსი ტიპის პროგრამა კვლავ დააფინანსოს. ახალი პროგრამა სხვა ორგანიზაციულ დონეზე განხორციელდება."** მომავალი პროგრამის შესახებ სხვა კონკრეტული ინფორმაცია ბოიდს არ მოეპოვება.


ჩარლზ ბოიდი

BENS-ის ხელშეწყობით დაარსდა აშშ-საბჭოთა კავშირის ბირთვული საფრთხის შემცირების ცენტრები, ჯგუფმა აქტიურად დაუჭირა მხარი "ბირთვული საფრთხის შემცირებაში თანამშრომლობის პროგრამას" (Nunn-Lugar Program), რომელმაც რუსეთის ბირთვული იარაღის განადგურების პროცესი დააფინანსა. BENS-მა ასევე დიდი როლი ითამაშა მოძველებული სამხედრო ბაზების დახურვაში, თუმცა გუშინ გადამდგარმა გენერალმა ვერ დააკმაყოფილა ჟურნალისტების ინტერესი, რომელიც ბათუმისა და ახალციხის რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას უკავშირდება. **"ეს საკითხი უფრო დიპლომატების პრეროგატივაა და არა ბიზნესმენების,"** – ბოიდის განმარტებით, ამერიკელ ბიზნესმენებს სააკაშვილთან ამ საკითხზე არ უსაუბრიათ.

ამერიკელმა სტუმრებმა პრეზიდენტ სააკაშვილის კაბინეტი მოხიბლულებმა დატოვეს: **"ძალიან საინტერესო და პროდუქტიული შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრეზიდენტთან. გავეცანით მის შეხედულებებს და მიზნებს, რომელიც ეხება საქართველოს მომავალს რამდენიმე წლის განმავლობაში. სააკაშვილის ენთუზიაზმი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები იზიარებენ, უკვე აისახება ჩვენი ჯგუფის ენთუზიაზმზე. ჩვენ ამ ენთუზიაზმით ვტოვებთ საქართველოს."**

# ხელისუფლება და მისი "გველები"

პირველი გვერდიდან

სხვა საქმეა, რამდენად გამართლებულია საარჩევნო ბარიერის დაწევა და დანაწევრებული ოპოზიციისთვის სათბურის პირობების შექმნა. სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტი არც თუ დიდი ხნის წინათ საუბრობდა იმ საფრთხეზე, რაც გავლენის არმქონე ცალკეული ოპოზიციური ჯგუფების პარლამენტში შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს. მიხეილ სააკაშვილის აზრით, ვინაიდან ამ ჯგუფებს გაცნობიერებული ექნებათ, რომ პოლიტიკურ პროცესებზე სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენენ, შეეცდებიან, საკანონმდებლო ორგანოში ყოფნა კორუფციული მიზნებისთვის გამოიყენონ და ამა თუ იმ კანონპროექტისთვის ხმის მიცემას მერკანტილურად მიუდგებიან.

თუმცა, დემოკრატია მსხვერპლს მოითხოვს და საარჩევნო ბარიერის დაწევას, საერთაშორისო წრეების ზეწოლით, საქართველოს ხელისუფლება, ალბათ, მაინც დათანხმდება. ამ შემთხვევაში გამოიკვეთება რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი, რომლებსაც "უბეში გამოზრდის" შანსი მიეცემათ. ეს სუბიექტებია: "ედპ-ტრადიციონალისტები" და "ახლები-მრეწველები" - მემარჯვენე ბანაკიდან, "აღორძინება" და "ლეიბორისტული პარტია" - მემარცხენეებიდან.

მართალია, ამ კვარტეტიდან სხვებზე მეტს აკაკი ასათიანის კოალიცია ბაქიბუქობს, მაგრამ მომავალ პარლამენტში მოხვედრის ყველაზე ნაკლები შანსი, ალბათ, მაინც მას აქვს: ედპ-ს გავლენა და ავტორიტეტი დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა და გია ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ, ამ პარტიის საქმეები სულ უკან და უკან მიდის, ხოლო "ტრადიციონალისტთა კავშირი" ყოველი არჩევნების წინ, თავისი პოლიტიკური უძლურების დასაფარად, ძლიერ ძალას მიეკედლებოდა ხოლმე და ქართულ პოლიტიკურ ელიტაში მისი მეშვეობით ტივტივებდა. ამდენად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ორი "ზებრის" (ედპ და ტრადიციონალისტთა კავშირი საქართველოში უძველესი პოლიტიკური ორგანიზაციები არიან) ქორწინება 28 მარტს გვიანი ყვავილობით დასრულდეს.

"ედპ-ტრადიციონალისტების" კოალიციაზე უკეთესი შანსები აქვს "ახლებისა" და "მრეწველების" ალიანსს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო ადგილობრივ არჩევნებში მათ საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს და რეგიონულ ადმინისტრაციებში საკმაო დასაყრდენი გააჩნიათ. გარდა ამისა, ორივე ძალა პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვიდა და, ამდენად, საარჩევნო კამპანიის ფინანსური უზრუნველყოფა არ გაუჭირდება. ანგარიშგასაწევია ერთი გარემოებაც: "ახლები" და "მრეწველები", დანარჩენ ოპოზიციურ ჯგუფებთან შედარებით, ხელისუფლების მიმართ უფრო ლოიალურები არიან, რისი დასტურია საკონსტიტუციო ცვლილებებისა და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობისთვის მხარდაჭერა. ამიტომ, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ 28 მარტის არჩევნების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარებაზე, მაინც სავარაუდოა, რომ ხელისუფლება "ახლებსა" და "მრეწველებს" "სიკეთეს" არ დაუკარგავს და, საარჩევნო ბარიერის პროცენტული მაჩვენებლის მიუხედავად, თოფაძე-გამყრელიძის გუნდს არჩევნებში თუ არ "წაეხმარება", ყოველ შემთხვევაში, არ დაჩაგრავს მაინც.

რაც შეეხება მემარცხენე "გველებს", "ლეიბორისტები" და "აღორძინება" დღეს დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში არიან: ვარდების რევოლუციისადმი უარყოფითმა დამოკიდებულებამ მხარდამჭერთა რიცხვი მათ საგრძნობლად შეუმცირა. სწორედ 28 მარტს გაირკვევა, რამდენად დიდია ეს დანაკარგი და ითამაშებს თუ არა ის გადამწყვეტ როლს შალვა ნათელაშვილისა და ასლან აბაშიძის შემდგომი პოლიტიკური კარიერისთვის.

ასეა თუ ისე, ნებისმიერ შემთხვევაში, ზემოთ ნახსენები კვარტეტის ბედი მაინც მმართველი ძალის ხელშია - გადაწყვეტილებას საარჩევნო ბარიერის დაწესების თაობაზე პარლამენტი ღებულობს, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება მთლიანად აკონტროლებს.

# 100 დღე - შენიშვნები "შინაგანი განწყობისათვის"

პირველი გვერდიდან

ქართული რევოლუცია იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომ მან მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის (და, შეიძლება, მთელი მსოფლიოსთვის) უზარმაზარი მნიშვნელობა შეიძინა. ქართული ექსპერიმენტი, ერთი მხრივ, წარმატების შემთხვევაში, შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიზაციის ახალი ტალღის დასაწყისად გადაიქცეს.

მეორე მხრივ, რევოლუციური ხელისუფლების შესაძლო წარუმატებლობა დიდი მარცხი იქნებოდა არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებისა და, ზოგადად, დემოკრატიისთვისაც. საქართველოს ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესაძლო შესუსტება არა მარტო კონკრეტული მთავრობის მორალური მარცხის ტოლფასი იქნებოდა, არამედ რეაქციული და რეტროგრადული ძალების დაბრუნებასაც გამოიწვევდა.

მოპოვებულის დაცვას უფრო დიდი ძალისხმევა ჭირდება, ვიდრე გამარჯვების მოპოვებას. ამიტომაც, ნებისმიერი შეცდომა, რომელიც მთავრობამ შეიძლება დაუშვას, გულშემატკივრების მიერ გაცილებით უფრო მტკივნეულად აღიქმება, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში მოხდებოდა. ამ ვითარებაში მთავრობის კრიტიკა არამცთუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც რევოლუციას თავიდანვე უჭერდა მხარს, ახალი ხელისუფლების კრიტიკას ველარ ბედავს - არადა, საქართველოში ბევრია პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების მიმართ სერიოზული შენიშვნები უჩნდება. იმავდროულად, მთავრობას ღიად მხოლოდ გაკოტრებული პოლიტიკოსები აკრიტიკებენ, რომლებისაც ხალხს აღარ სჯერა. შესაბამისად, პრეზიდენტის ან მთავრობის მიმართ საჯაროდ გამოთქმული არალოიალური შენიშვნების ავტორი შეიძლება სულიერ დისკომფორტს განიცდიდეს იმით, რომ ოდიოზური პოლიტიკოსების გვერდიგვერდ უწევს ხელისუფლების კრიტიკა.

მეტიც, დღეს ხელისუფლების ღია (ან კიდევ შინაური, ე.წ. სამზარეულოში გამოთქმული) კრიტიკა მასებშიც გაღიზიანებას იწვევს - ხალხისთვის მეტისმეტად მტკივნეულია იმის დაჯერება, რომ ახალმა ხელისუფლებამ შეიძლება მძიმე შეცდომები დაუშვას. შესაბამისად, იქმნება რამდენიმე ტაბუ, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური ნაღმების როლს ასრულებს - ეს ნაღმები არ ჩანს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება, აფეთქდეს.

განსხვავებული აზრის სიკეთე, თავისთავად, ეჭვს არ იწვევს - თუ კრიტიკა სამართლიანია, ხელისუფლებას შეცდომებს გამოასწორებინებს, ხოლო თუ კრიტიკა მიზანს სცდება, მაშინ ხელისუფლების სიმართლე უფრო მეტად გამოჩნდება. პრაქტიკულ პოლიტიკაში კრიტიკის მოთმენასა და გათვალისწინებას დიდი შინაგანი კულტურა და ნებისყოფა ესაჭიროება.

მოკლედ, ახალი მთავრობის ნაბიჯების შესახებ კრიტიკული დისკუსიის დაწყება აუცილებელია - თანაც, კრიტიკა ხელისუფლების გულშემატკივარი წრეებიდან უნდა მომდინარეობდეს და არა ხელმოცარული და დაბოღმილი პოლიტიკოსებისგან.

23 ნოემბრის შემდეგ ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნაწილის განწყობა რამდენიმე მოსაზრებამ განაპირობა, რომლებსაც ქვემოთ ჩამოვთვლი (რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებებში ახალი და ორიგინალური არაფერია - დღეს ამგვარი კრიტიკა ბევრგან შეიძლება მოისმინო, როგორც წესი, კერძო საუბარში).

პირველი - რევოლუციური ხელისუფლების ერთიანობა მმართველი ტრიუმვირატის წევრებს შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე უნდა აიგოს და არა უძლიერესის გადარჩენის სოციალ-დარვინისტულ პრინციპზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამიდან უძლიერესი შეიძლება მართლაც გადარჩეს, მაგრამ გამარჯვებული იმდენად დასუსტებული იქნება, რომ ჩასაფრებული რეაქციული ძალების იოლ ლუკმად გადაიქცევა. სამწუხაროდ, საქართველოს ახალი ხელისუფლების წამყვან ფიგურებს შორის დადებული შეთანხმებები უკვე დაირღვა. შესაბამისად, ურთიერთობა არა ნდობის განმტკიცების, არამედ უნდობლობის ზრდის ნიშნით შეიძლება წარიმართოს. ეს კი ქვეყნისთვის ძალიან ცუდია.

მეორე - პოლიტიკურ წარმატებას უნდა განსაზღვრავდეს ხელისუფლების საქმიანობის კარგი შედეგი და არა ეფექტური რიტორიკა ან მოქნილი საზოგადოებრივი ურთიერთობები. მასების გულის მოგება პოლიტიკურად ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თვითმიზნად არ უნდა გადაიქცეს. თუ პოპულარობის ზრდა და შენარჩუნება თვითმიზანი გახდა, მაშინ პოლიტიკის ძირითადი თემა ხელისუფლების წევრების მიერ განტევების ვაცად ერთმანეთის გადაქცევა გახდება, ამ თამაშში გართული რევოლუციონერები კი წინა ხელისუფლებასავით რეალობის მიღმა აღმოჩნდებიან. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას დასავლეთის წინაშე თავმოწონებაზეც - საქართველოში მომხდარი რევოლუცია მთელმა მსოფლიომ აღიარა, ცნო და მიიღო. დროა მიღებული ავანსის (ნდობის და ნაღდი ფულის) გამართლებაზეც ვიზრუნოთ. ვარდებით ზედმეტი კეკლუცობა ამერიკელებშიც და ევროპელებშიც მხოლოდ ირონიასა და უნდობლობას გამოიწვევს.

მესამე - ჯობდა, დასავლეთში განათლებული ახალგაზრდა კადრები ახალ ხელისუფლებას მეტი რაოდენობით მოეყვანა პარლამენტში და არა აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საქმე ისაა, რომ ამ ახალგაზრდების მსოფლმხედველობა და იდეოლოგიური მრწამსი ხშირად საკმაოდ განსხვავებულია (მათი შეხედულებები 100 პროცენტით მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკური სისტემისა და იდეოლოგიური ექსტრემიზმის უარყოფაში ემთხვევა ერთმანეთს). შესაბამისად, ვეღარავის გაურკვევია, რომელ შეხედულებებს იზიარებს მთავრობა - მემარცხენეს თუ მემარჯვენეს. მეორე მხრივ, პარლამენტში ამგვარი ახალგაზრდების შეყვანა საკანონმდებლო ორგანოს სწორედ ქვეყნის მომავალი მოწყობის თაობაზე დისკუსიის ცენტრად აქცევდა და არა უსაგნო პოლიტიკური ძიძგილაობისა და ინტრიგების ასპარეზად (რაც პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტებული პარლამენტის უცილო ხვედრია).

მეოთხე - რევოლუციურმა ხელისუფლებამ ყველაზე ძვირფასი რამ - დრო - საკუთარი თავით ტკბობასა და რევოლუციური მონაპოვარის განაწილებაში არ უნდა დაკარგოს. უკვე გავიდა სიმბოლური 100 დღე, რომლებიც ხელისუფლებას ჯობდა არაპოპულარული რეფორმებისთვის მოეხმარა, ვიდრე - ისედაც უპრეცედენტო პოპულარობის გაბერვისათვის. ცხადია, რომ რეალური რეფორმის დაწყება უამრავ ადამიანს გაუცრუებს მოლოდინს, რადგან შეუძლებელია, რომ მთავრობის მიერ გადადგმულ რეფორმატორულ ნაბიჯებს ამომრჩევლების 96 პროცენტი ერთნაირი მოწონებით შეხვდეს. ამიტომაც მთავრობას შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, უარი თქვას სერიოზულ რეფორმებზე და უმოქმედობა ხმაურიანი პიარ-აქციებით შენიღბოს. ამგვარი არჩევანი მოსახლეობის იმედგაცრუების დადგომას გააჭიანურებდა, მაგრამ ქვეყანას ისევ ძველ ჭაობში ჩატოვებდა.

ამ ბოლო საფრთხის აცილება ჯერ კიდევ შეიძლება, ოღონდ ხელისუფლების მეტი კრიტიკაა საჭირო. დროა, დემოკრატიული მასმედია თავის საქმეს დაუბრუნდეს.

# ცესკო-ს თავმჯდომარის უარი და დასტური

პირველი გვერდიდან

ასე რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ ოთხი იანვრის წინ გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ გიორგაძე კარგა ხანია, საქართველოში არ იმყოფება, ცესკო-ს თავმჯდომარისთვის ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. თუმცა, როგორც ჩანს, იგორ გიორგაძის სახელი საპარლამენტო არჩევნების წინ კიდევ რამდენჯერმე გაიჟღერებს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ინფორმაციით, იგორ გიორგაძის მხარდამჭერები ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოში აპირებენ.

იგორ გიორგაძისაგან განსხვავებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციიდან არ მოხსნა პარტია "თავისუფლების" საარჩევნო სიის პირველი ნომერი – ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟი კონსტანტინე გამსახურდია. სხვათა შორის, მისი რეგისტრაციაში გატარება ბოლო წუთამდე სათუო იყო, რადგან კონსტანტინე გამსახურდია ბოლო 14 წელიწადია, რაც საქართველოში აღარ იმყოფება და შვეიცარიის ქალაქ ბაზელში ცხოვრობს.

ამის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის არანაირი საფუძველი არ არსებობს. **"გამსახურდია არც მალავს, რომ დიდი ხნის მანძილზე არ ცხოვრობდა საქართველოში. იგი აცხადებს, რომ საქართველოდან იძულებით განდევნეს. მან პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და ამ მიზეზით არ იყო აღრიცხვაზე საკონსულოში. თანაც, იგი შევარდნაძის მთავრობამ აიძულა, ემიგრაციაში წასულიყო. მე ვესაუბრე იურისტებს, გავიარე მათთან კონსულტაციები, გავეცანი იმ არგუმენტაციას, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას მხრიდან იყო წარმოდგენილი და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღე მისი რეგისტრაციაში გატარების გადაწყვეტილება,"** – აცხადებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

რაც შეეხება თავად პარტია "თავისუფლების" წევრებს: მათ ოფიციალური წერილით მიმართეს ზურაბ ჭიაბერაშვილს - კონსტანტინე გამსახურდიას რეგისტრაციაში გატარება მოთხოვეს და შესაბამისი არგუმენტებიც წარმოადგინეს.

**"1991-1991 წლებში მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების გამო, ბატონი კონსტანტინე გამსახურდია იძულებული გახდა, 1992 წლის თებერვალში დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და შვეიცარიის ხელისუფლებისათვის თავშესაფარი ეთხოვა. 1992 წლის 17 აგვისტოს შვეიცარიის ხელისუფლებამ კონსტანტინე გამსახურდიას თავშესაფარი მიანიჭა... საქართველოში განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენების საფუძველზე კონსტანტინე გამსახურდიამ მიიჩნია, რომ მას შეუძლია, უარი განაცხადოს პოლიტიკური დევნილის სტატუსზე, რის გამოც მან 2004 წლის თებერვალში საქართველოს მოქალაქის დამადასტურებელი დოკუმენტების – პირადობის მოწმობისა და პასპორტის მისაღებად განაცხადით მიმართა საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურს შვეიცარიაში. 2004 წლის 25 თებერვალს საკონსულო სამსახურის მიერ გაცემულ იქნა კონსტანტინე გამსახურდიას პირადობის მოწმობა და პასპორტი,"** - ნათქვამია ამ ოფიციალურ წერილში. აქვე პარტიის წარმომადგენლებმა მოიშველიეს "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია" და ცესკო-ს თავმჯდომარეს კონსტანტინე გამსახურდიას რეგისტრაციაში გატარება სთხოვეს. ზურაბ ჭიაბერაშვილმაც, როგორც უკვე ვთქვით, სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.




ამბობენ

# ბურჯანაძის პროტეჟე სახელმწიფო დაცვის სამსახურს აღარ უხელმძღვანელებს

გუშინ უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა პრესას აუწყა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მოვალეობას ოთარ ქველიძე შეასრულებს. ქველიძე სააკაშვილის პირადი დაცვის უფროსია. მერაბიშვილის განცხადებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილმა უფროსმა გოგი ალექსიძემ თანამდებობა საკუთარი სურვილით, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. უშიშროების საბჭოს მდივანმა ისიც დასძინა, რომ ალექსიძეს მუშაობაში სერიოზული დარღვევები არ ჰქონია. **"ხასიათების შეუთავსებლობა,"** - ასეთი კულტურული ფორმულირება მოეძებნა გოგი ალექსიძის "ჩამოლაბორანტებას".

ალექსიძე ნინო ბურჯანაძის პროტეჟეა. არაოფიციალური ინფორმაციით, ბურჯანაძემ იგი ხსენებულ პოსტზე ცაიტნოტში, სააკაშვილის და ჟვანიას დაუკითხავად დანიშნა, როცა ნოემბრის რევოლუციის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. არც ჟვანიას და არც სააკაშვილს ალექსიძის კანდიდატურა არ ხიბლავდათ. ალბათ, გახსოვთ, სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის წინ თვითმფრინავის ტრაპთან როგორი გაწბილებული დატოვეს ლევან ალექსიძის ვაჟი. ისიც გემახსოვრებათ, რომ ლევან ალექსიძე შევარდნაძის გარემოცვიდან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც რევოლუციის გზაზე შემდგარ სააკაშვილი-ბურჯანაძე–ჟვანიას სამეულს მხარი დაუჭირა.

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ პრეზიდენტის ინაუგურაციამდე რამდენიმე დღით ადრე მიხეილ სააკაშვილის მეუღლემ სანდრა რულოვსმა, გუდაურში გასამგზავრებლად, ალექსიძეს "ჯიპის" ტიპის მანქანა სთხოვა. პირველ ლედის საკმაოდ მოურიდებლად უარი სტკიცეს. კულუარებში გავრცელებული ხმები იმასაც იუწყებიან, რომ სააკაშვილის პირადმა დაცვამ და ალექსიძის მიერ პრეზიდენტისთვის გამოყოფილმა დაცვის წევრებმა უკვე მოასწრეს ჩხუბი დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში.

ოფიციალური ინფორმაციით, ქველიძე ერთადერთი კანდიდატურაა სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. როგორც ვანო მერაბიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, პრეზიდენტი სააკაშვილი საბოლოო გადაწყვეტილებას ჟვანიასთან და ბურჯანაძესთან კონსულტაციის შემდეგ მიიღებს.

# საქართველოს მთავრობის ერთიანი პროგრამა საერთაშორისო თანამეგობრობის სამსჯავროზე

*დრო და ხელისუფლებები იცვლებიან, იცვლება ორიენტაცია, მაგრამ არ იცვლება ჩვეულება და ქართული ხელისუფლების "პროვინციული" ქცევის სტილი - გუშინ ქართული ხელისუფლება საკუთარ სამშობლოში ჩრდილოელ მეზობელს რუსულ ენაზე ესაუბრებოდა, დღეს ისევ საკუთარ სამშობლოში უკვე ოკეანისგაღმელს ხვდება და სასაუბრო ენად ინგლისურს არჩევს. ათწლიანი თავისუფლების შემდეგ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაში სხვის ენაზე საუბარს ვერა და ვერ გადაეჩვია.*

ნინო ნარჩემაშვილი

გუშინ საქართველოს მინისტრთა ახალი კაბინეტი სრული შემადგენლობით შეხვდა 37 დონორ სახელმწიფოსა და ორგანიზაციის წარმომადგენელს. სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ შეხვედრაზე საქართველოს მთავრობამ დონორებს შესთავაზა მის მიერ შემუშავებული რეფორმებისა და განვითარების პროგრამა. თითოეულმა მინისტრმა თავის სფეროში არსებულ ვითარებასა და განსაზღვრული პრიორიტეტების შესახებ გააკეთა მოხსენება და შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო დაფინანსების საკუთარი გათვლები წარმოადგინა. სამთავრობო პროგრამაში, რომელიც 2004-2009 წლებზეა გათვლილი და ოცი პრიორიტეტული მიმართულებაა განსაზღვრული, საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს ეხება. ძირითად პრიორიტეტებად კი სამი მათგანი სახელდება - საჯარო სამსახურისა და ენერგეტიკის რეფორმირება და ინსტიტუციონალური რეფორმები, რაც ძალოვანი სტრუქტურების რეორგანიზაციასაც ითვალისწინებს. ეგრეთ წოდებულ ზეპრიორიტეტად კი ენერგეტიკის სექტორია გამოყოფილი. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის თქმით, უპირველეს ამოცანას წარმოადგენს გამრიცხველიანებისა და ჰესების რეაბილიტაციის საკითხის გადაწყვეტა; ხოლო მინიმალური თანხა, რომელსაც ენერგეტიკის სამინისტრო დონორებისაგან დარგის გადარჩენისათვის მოითხოვს, 60 მილიონი აშშ დოლარია. სახელმწიფო მინისტრის თამარ ბერუჩაშვილის განცხადებით, აღნიშნული შეხვედრა დისკუსიების მხოლოდ დასაწყისია, გაგრძელდება უწყებრივი შეხვედრები. ხოლო მიმდინარე წლის ივნისის თვეში, ბრიუსელში, უმაღლესი დონის შეხვედრაზე, საკითხის საბოლოო განხილვა გაიმართება, სადაც უკვე კონკრეტული დაფინანსების საკითხები გადაწყდება.

ჯერჯერობით, საქართველოს მთავრობის წევრები დაფინანსების კონკრეტულ თანხებზე არ საუბრობენ. აღსანიშნავია ისიც, რომ დახმარებისათვის საჭირო თანხების ოდენობა თვითონ დონორებმა უნდა განსაზღვრონ.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, დროა მსოფლიო



საქართველოს ეკონომიკისა და ენერგეტიკის მინისტრები დონორებთან შეხვედრაზე.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

შეეჩვიოს, რომ საქართველო აღარ არის ის ქვეყანა, სადაც შეიძლება დაიტაცონ ხალხისთვის გამოყოფილი თანხები და ქვეყანას აქვს უნარი, თითოეული თეთრი ხალხის კეთილდღეობას მოახმაროს.

მისი შეფასებით, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მთავრობა დონორებს ერთიანი გუნდით ერთიან სამოქმედო გეგმას სთავაზობს, რაც საშუალებას იძლევა **"არც ერთი თეთრი არ იყოს დაკარგული და თითოეულ პროგრამას მაქსიმალური შედეგი ჰქონდეს. სწორი მიმართულებით წარიმართოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოყოფილი ასობით მილიონი დოლარი".**

დონორების შეფასებით, საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ერთიანი პროგრამა საკმაოდ ამბიციურია, მაგრამ - რეალური.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის ჯონათან დანის განცხადებით, წარსულში არსებული გართულებული ურთიერთობების მიუხედავად, ფონდი საქართველოში თავის პროგრამას აგრძელებს, რადგან ახალი ხელისუფლება პრობლემების გადაჭრას ნამდვილად ცდილობს.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში პლამენ ნიკოლოვი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არსებობს დიდი სურვილი, დაეხმაროს საქართველოს, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს გარკვეული წარმატებები სოციალურ სფეროში.

რაც შეეხება მთავრობის მიერ წარმოდგენილ პროგრამას, აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც აგრეთვე პრიორიტეტების კატეგორიაშია ფორმულირებული - საქართველოში ყველა რეგიონისთვის შეიქმნება თანაბარი პირობები ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ეს საკითხი არნიშნულ შეხვედრაზე არ განხილულა, მაგრამ, ზურაბ ჟვანიას განცხადებით, იგი მეტად საყურადღებოა და მომავალი დისკუსიების განხილვის საგანი გახდება.

დაბოლოს, ჯერჯერობით, გაურკვეველია, თუ რა ოდენობის თანხების გამოყოფას გადაწყვეტენ დონორი ორგანიზაციები თუ ქვეყნები. ჯერჯერობით, ისინი საქართველოს მთავრობისგან მომავალშიც მსგავს კოორდინირებულ ქმედებებს ითხოვენ.

# "ტექნოპრომექსპორტი" ენგურჰესის რეაბილიტაციას აყოვნებს

მაია ურუშაძე

ამ საკითხის მოსაგვარებლად, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური დღეს მოსკოვს გაემგზავრა. მას თან "ენგურჰესის" გენერალური დირექტორი ლევან მებონია და ევრობანკის რამდენიმე წარმომადგენელი ახლავს.

მინისტრი იმედოვნებს, რომ საკითხის განხილვისას ქართულ მხარეს ზურგს ევრობანკი გაუმაგრებს. თუმცა, შიშობს, რომ ამ საკითხმა, შესაძლოა, ევრობანკს ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის სამშენებლო ნაწილის დაფინანსებაზე გული აუცრუოს.

გაუგებრობა რუსული მხარის ინიცირებულია და, ამასთან, როგორც გილაური აცხადებს, "კონტრაქტის ფარგლებში".

საქმე ისაა, რომ სატენდერო პირობების თანახმად, ქართულ მხარეს ჰესის რეაბილიტაციაში საკუთარი წვლილიც უნდა შეეტანა. ამ მიზნით, "ენგურჰესს" "ტექნოპრომექსპორტისთვის" 7 მილიონ-დოლარიანი აკრედიტივი უნდა გაეხსნა. ამ აკრედიტივის ნახევარი თანადაფინანსებაში უშუალოდ სადგურის მიერ შეტანილი წვლილი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება აკრედიტივის მეორე ნახევარს, ეს თანხა სადგურს წინასწარ უნდა დაედო იმ დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშში, რომლის გადახდასაც კანონი "ტექნოპრომექსპორტს" სამუშაოების დაწყებისთანავე დაავალდებულებდა.

ქართულ მხარეს აკრედიტივი მხოლოდ მას შემდეგ უნდა გაეხსნა, რაც "ტექნოპრომექსპორტი" სამშენებლო გარანტიას წარმოადგენდა. ევრობანკის ეს პირობა ქართულ მხარეს იმ დამატებითი ხარჯებისგან იცავდა, რომლის გაღებაც მას მეორე მხარის მიერ პირის გატეხის შემთხვევაში მოუწევდა.

იმის გამო, რომ რუსულმა კომპანიამ სამშენებლო გარანტია დაგვიანებით – მხოლოდ 14 იანვარს წარადგინა, "ტექნოპრომექსპორტთან" ურთიერთობა ეჭვქვეშ დადგა. არადა, ეს კომპანია ერთადერთი იყო, რომელმაც ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების სურვილი გამოთქვა (ტენდერში მონაწილეობის სურვილი გერმანულმა და ავსტრიულმა კომპანიებმაც გამოთქვეს, თუმცა ტენდერის გამართვის წინ პირველმა დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა, ხოლო მეორემ - "დე-ეს-დე კიოლერმა" – ტენდერში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. სატენდერო კომისიამ ტენდერში გამარჯვებულად ერთადერთი პრეტენდენტი - "ტექნოპრომექსპორტი" გამოაცხადა).

ქართულმა მხარემ გამოსავალი იპოვა და "ტექნოპრომექსპორტს" აკრედიტივის გახსნა ორ ნაწილად შესთავაზა, მაგრამ ამ შეთავაზებაზე რუსული კომპანიისგან არც დადებითი და არც უარყოფითი პასუხი არ მიუღია.

ჩანს, რუსულმა მხარემ იმით ისარგებლა, რომ აკრედიტივი გახსნილი არ არის და ახლა სამუშაოების დასაწყებად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენას აგვიანებს.

პროექტის შეფერხების გამო, რუსული კოპანიის მიმართ ფინანსური სანქციების ამოქმედება სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დღეს რეალურად არ მიაჩნია. სამაგიეროდ, მოლაპარაკებების პროცესში ევრობანკის თანადგომის დიდი იმედი აქვს.

ევრობანკს კი ამ მოლაპარაკებებზე ბანკის ლონდონის ოფისის წარმომადგენლები – ევრობანკის ვიცე-პრეზიდენტი ოლივიე დე კამპი და ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი კრისტიან შაბლიე დაესწრებიან.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მოსკოვში ვიზიტს 5 მარტს დაასრულებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თელასმა" მე-9 ენერგობლოკის გამომუშავება 50 მეგავატით გაზარდა. ახლა ბლოკი ელექტროენერგიას 250 მეგავატი სიმძლავრით გამოიმუშავებს. შესაბამისად, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" თბილისს გუშინ დილიდან შეუზღუდავად ამარაგებს. "ბოლო 4 თვის მანძილზე თბოსადგურს ნახევარ მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე მეტი აქვს გამომუშავებული, რაც გასულ წლებთან შედარებით სარეკორდო მაჩვენებელია," – აცხადებენ "თელასში". **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ძველი დავალიანების გადაუხდელობის გამო "თბილგაზის" აბონენტებს გაზმომარაგება არ შეუწყდებათ. როგორც გაირკვა, ინკასატორების ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ კომპანია პრობლემებს წააწყდა. "დაფიქსირდა შემთხვევები, როცა მომხმარებელს გაზის საფასურის გადახდის ქვითარი აქვს, მაგრამ ჩვენს ბაზაში ეს ინფორმაცია შესული არ არის," – განაცხადეს კომპანიაში. თითოეულ ასეთ შემთხვევას "თბილგაზში" საგანგებოდ შექმნილი საპრეტენზიო კომისია ორი თვის ვადაში შეისწავლის. მანამდე, სანამ კომისია დასკვნას არ გამოიტანს, აბონენტების გაზმომარაგება არ შეფერხდება. **24 საათი**

■ ■ ■

**ერევანი.** სააგენტო "რეგნუმის" ცნობით, სომხეთის პარლამენტი მოსახლეობისთვის სსრკ ბანკებში შეტანილი ანაბრების დაბრუნების შესაძლებლობის საკითხს სწავლობს. ამ საკითხზე დროებითი საპარლამენტო კომისიის ანგარიშის მოსმენას სომხეთის პარალმენტი 1-დან 3 მარტის ჩათვლით გეგმავს. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი სანდრო თვალჭრელიძე ამერიკული დოლარის გაუფასურებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და მოქალაქეებს დოლარის შეძენას ურჩევს. სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომისტი სოსო არჩვაძე კი მიიჩნევს, რომ "დოლარის გაუფასურების ხარჯზე საქართველოს საგარეო ვალის მომსახურება გაუადვილდება. სამაგიეროდ ქართული საექსპორტო წარმოება უცხოურ ბაზარზე არახელსაყრელ პირობებში ჩავარდება". **ინტერ-პრესი**


## "ს/ს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

2 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
გლდანის IIIა და V მიკრორაიონების მაცხოვრებლებს.

2 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), წყნეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), ვერეს ხევის, ყიფშიძის, ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), შოვის, თაქთაქიშვილის, კავსაძის, მოსაშვილის, ბარნოვის(ნაწილობრივ), ფალიაშვილის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

2 მარტს, 11.00-დან 14.00-სთ-მდე:
ალმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), კიტა აბაშიძის, ახვლედიანის, ანთელავას, ბუხაიძის, ბოდავის, ბურების, დოქის, ჩაისუბნის, გორკის, ციმაკურიძის, ჩუბინაშვილის, უშანგი ჩხეიძის, ფაბრიციუსის, გაბისკირიას მოედანის, დგებუაძის, გამცემლიძის, ივანე ჯავახიშვილის, კალატოზის, კარდანახის, კიბალჩიჩის, კუმისის, მარჯანიშვილის მაზნიაშვილის, ნინოშვილის, პლატონის, ქედის, სამოქალაქოს, ციმაკურიძის, სანკტ-პეტერბურგის, სანთლის, სპარტაკის, სულიაშვილის, შურდულის, წმიდა ნიკოლოზის, ტირიფონის, ურიცკის, წინამძღვრიშვილის(ნაწილობრივ), ხეთაგუროვის, კარგარეთელის, კრილოვის, ტეტელაშვილის, პასტერის, ტოვსტონოგოვის, დიმიტრი უზნაძის, ნინო ჩხეიძის, შემოვლის, თოიძის, ტოლსტოის, ვარციხის, ვეძათხევის, სოსო წერეთლის ქუჩების მაცხოვრებლებს.

2 მარტს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), არეშიძის, ატენის, ბაზალეთის, ფალიაშვილის(ნაწილობრივ), მცხეთის, ქობულეთის, შროშის ქუჩების მაცხოვრებლებს.

3 მარტს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
გლდანის VI მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.


# ხელისუფლება "უიმედო ვალების" ჩამოწერისთვის ემზადება

*ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, თებერვლის ბიუჯეტი თითქმის 90 პროცენტით არის შესრულებული. აქედან ცენტრალურ ხაზინაში არასაგადასახადო შემოსავლების კუთხით შევიდა დაგეგმილზე 56 პროცენტით მეტი. გეგმის გადაჭარბებულად შესრულების ერთ-ერთი მიზეზი საწარმოებიდან ძველი დავალიანებების მასობრივი ამოღების პროცესის დაწყება გახდა.*

ეთერ მამულაშვილი

სახელმწიფო და კერძო სექტორში წლების მანძილზე დაგროვილი საგადასახადო დავალიანების ოდენობამ ამ დროისთვის ორ მილიარდ ლარს მიაღწია. საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ძირითადი ვალის მოცულობა თითქმის ორჯერ ნაკლებია ვიდრე მასზე დარიცხული ჯარიმა-საურავები. თუმცა, როგორც ეკონომიკის ექსპერტები ამბობენ, დავალიანების გარკვეული ნაწილი ეგრეთ წოდებულ “მკვდარ ვალს” განეკუთვნება.

უიმედო ვალის არსებობას ფინანსთა სამინისტროშიც აღიარებენ. მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხადურმა “24 საათთან” საუბრის დროს აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში მოხდება უიმედო ვალების ბოლო თეთრამდე ჩამოწერა. **“ამისათვის მზადდება შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რაზეც, ჩვენი სამინისტროს გარდა, სხვადასხვა დაინტერესებული სტრუქტურები მუშაობენ”,** - გვითხრა ხადურმა. კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი, სავარაუდოდ, ზაფხულამდე მოესწრება, რომლის დამტკიცება უკვე ახალ საკანონმდებლო ორგანოს მოუწევს. დღეისათვის უცნობია უიმედო ვალის ზუსტი ოდენობა, რომელსაც შესაბამისი კომისია განსაზღვრავს.

ცნობისათვის: უიმედოა ვალი, თუკი ფიზიკურად არ არსებობს ამ ვალის დაფარვის არანაირი საშუალება, ანუ როცა მევალეები დღეს არარსებული სუბიექტები არიან. ასეთი ვალის დიდი ნაწილი საბჭოთა პერიოდში არსებულ კოლმეურნეობებზე მოდის, თუმცა არსებობს წარსულში ბიუჯეტის მიმართ დაგროვილი მილიონობით ლარი, რომლის ზოგიერთი სამართალმემკვიდრე დღეს წარმატებულ ბიზნესმენად ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ექსპერტი და წარსულში ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსი ამ ვალის ჩამოწერის იდეით გამოდიან, ფინანსთა სამინიტრო საგადასახადო ამინისტიის გამოცხადებას სულაც არ აპირებს; მეტიც - დღეს ის აქტიურად მუშაობს ამ ვალის ამოღებაზე. სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დღეს ძალიან ბევრი საწარმო რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობს. ეს კი მარტივად შემდეგს ნიშნავს: კონკრეტული საწარმო, მიმდინარე გადასახადების გარდა, ფინანსთა სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული დროის განმავლობაში იხდის ძველი დავალიანების გარკვეულ ნაწილს. რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოებს დაგროვილ ვალზე საურავების დარიცხვა სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ, ავტომატურად უწყდებათ.

თუმცა, როგორც მინისტრის მოადგილემ ნოდარ ხადურმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ასეთი “პრივილიგია” ყველა კომპანიას როდი ენიჭება. საწარმო, რომელიც რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობას მოისურვებს, სპეციალური განაცხადის შემდეგ ვალდებულია, ფინანსთა სამინისტროს წარუდგინოს **“იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ის ამ ვალს ერთი ან ორი წლის შემდეგ გადაიხდის,-”** - აღნიშნა ხადურმა.

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, დღეს ასეთი საწარმოების რაოდენობა 22-ია. მათ შორის არის ქართულ-ამერიკული ნავთობგადამამუშავებელი კომპანია “გაორი”, რომლის მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიებს არ მალავდა ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ამ კომპანიის მიერ დაგროვილი დავალიანება, დაახლოებით, 2,5 მილიონი ლარი იყო. ამ დროისთვის “გაორს” ვალის 73 პროცენტი დაფარული აქვს. რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოების ნუსხაშია: ს.ს. “საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია”, “საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობა”, ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია და მთელი რიგი მცირე და საშუალო ჰესები. ამ კომპანიების მიერ დაგროვილი დავალიანების საერთო რაოდენობა 130 მილიონი ლარია. ამ დროისთვის დაფარულია ვალის 30 პროცენტი – 25 მილიონზე მეტი ლარი.

**მონაცემები რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოების მიერ მიმდინარე გადასახადებისა და რესტრუქტურიზებული თანხების დაფარვის მდგომარეობის შესახებ 01.01.2004 წლისათვის**

| № | № | საწარმოების დასახელება, რომლებიც მუშაობენ რესტრუქტურიზაციის რეჟიმში | რესტრუქტური ზებული თანხა | გადახდილი | % |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | 1 | ს.ს. "ელექტროგადაცემა" | 10 587 815 | 1 464 043 | 5.6 |
| 2 | 2 | შ.პ.ს. "ვარდნილჰესების კასკადი" | 888 136 | 58 500 | 5.7 |
| 3* | 3* | ს.ს. "ვარციხეჰესების კასკადი" | 6 734 025 | 470 967 | 7.89 |
| 4 | 4 | შ.პ.ს. "ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი" | 6 928 956 | 484 700 | 11.7 |
| 5* | 5* | ს.ს. "[illegible] ჰესების კასკადი" | 4 394 176 | 199 025 | 17.5 |
| 6 | 6 | შ.პ.ს. "ელექტროდისტრიბუცია-2000" | 5 839 940 | 150 004 | 18.2 |
| 7 | 7 | შ.პ.ს. "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" | 4 828 702 | 588 112 | 18.9 |
| 8 | 8 | ს.ს. "ძევრულჰესი" | 3 144 294 | 329 482 | 20.2 |
| 9 | 9 | ს.ს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია" | 54 989 342 | 6 808 998 | 23.1 |
| 10 | 1 | ს.ს. "შაორჰესი" | 2 462 297 | 372 521 | 25 |
| 11 | 2 | ს.ს. "რიონჰესი" | 5 132 022 | 373 830 | 28.9 |
| 12 | 3 | შ.პ.ს. "[illegible]" | 61 902 | 21 466 | 29 |
| 13 | 4 | ს.ს. "[illegible]" | 197 787 | 82 940 | 49.1 |
| 14* | 1* | შ.პ.ს. "[illegible]" | 4 695 873 | 654 221 | 50.7 |
| 15 | 2 | შ.პ.ს. "გაზმშენი" | 705 109 | 538 018 | 57.3 |
| 16 | 3 | ს.ს. "[illegible]" | 560 495 | 493 105 | 71.8 |
| 17 | 4 | შ.პ.ს. "ქართულ-ამერიკული ნავთობგადამამუშავებელი კომპანია" (GAOR) | 1 945 772 | 1 780 748 | 73.1 |
| 18* | 1* | საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა" | 8 303 174 | 801 242 | 76 |
| 19 | 2 | ს.ს. "[illegible]" | 129 999 | 818 231 | 76.1 |
| 20 | 3 | შ.პ.ს. "ენგურჰესი" | 4 118 083 | 5 052 311 | 85.7 |
| 21 | 4 | ს.ს."აკად. ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" | 337 252 | 600 624 | 87.9 |
| 22 | 5 | ს.ს. "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" | 2 928 274 | 3 197 293 | 99.5 |

შენიშვნა:
* საწარმოები, რომლებიც არ იხდიან რესტრუქტურიზებული თანხების გადახდა [illegible]

# რუსეთის მომავალი პრემიერის უცნობი ბიოგრაფია

პირველი გვერდიდან

დღემდე მიხაილ ფრადკოვი რუსეთის პოლიტიკურ სცენაზე ნაკლებად ჩანდა. თუმცა, მას წლების განმავლობაში მაღალ თანამდებობებზე მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა. იგი იყო საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი, ვაჭრობის მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე, საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის დირექტორი. ბოლო დროს კი ფრადკოვი რუსეთის წარმომადგენელი იყო ევროკომისიასთან ფედერალური მინისტრის რანგში.

მიხაილ ეფიმის ძე ფრადკოვი 1950 წელს დაიბადა. წითელ დიპლომზე დაამთავრა მოსკოვის ჩარხმშენებლობის ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, 1970-იან წლებში სამუშაოდ ინდოეთში, დელიში გაანაწილეს. ამ პერიოდში საზღვარგარეთ უმაღლესის დამთავრებისთანავე მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირების ნათესავები ან სუკ-ის თანამშრომლები მიდიოდნენ. მართალია, ფრადკოვის კავშირების შესახებ მაშინდელ "კგბ"-სთან ცნობები არ არსებობს, თუმცა, როგორც ინტერნეტგამოცემა "უტრო. რუ" აღნიშნავს, ცნობილია, რომ საზღვარგარეთ წასვლის წინ მას ლუბიანკაზე ("კგბ"-ს შტაბ-ბინა) ინგლისურის ენის სპეცკურსის გავლა მოუხდა. 1991 წლის შემოდგომაზე მიხაილ ფრადკოვი პირველ რეფორმატორულ მთავრობაში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრის, პიოტრ ავენის (დღეს რუსეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, "ალფა-ბანკის" ხელმძღვანელი) მოადგილე გახდა. მოგვიანებით იგი მინისტრის პოსტსაც იკავებს. ამ პერიოდში ეს სამინისტრო მის განმგებლობაში არსებული უმსხვილესი სახელმწიფო საწარმოების აქტიურ პრივატიზაციას აწარმოებდა. არ არის ცნობილი, იღებდნენ თუ არა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელები ამ გარიგებებიდან რაიმე დივიდენდებს, მაგრამ ფაქტია, რომ საქმე ძალიან დიდ თანხებს ეხებოდა.

მიხაილ ფრადკოვმა ერთხელ დატოვა სახელმწიფო სამსახური, როცა პრემიერი კირიენკო გახდა. ფრადკოვი სადაზღვევო კომპანია "ინგოსსტრახ"-ის დირექტორად აირჩიეს, მაგრამ არა დიდი ხნით. სტეპაშინის მთავრობაში ისევ მოიძებნა მისთვის ადგილი და იგი კვლავ მინისტრია. 2000 წლიდან ფრადკოვს უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილის თანამდებობა უკავია და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

სამი სამოქალაქო პირი - გრიზლოვი, ივანოვი და ფრადკოვი ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებად პუტინმა ერთ დღეს დანიშნა. გრიზლოვი - შინაგანს საქმეთა მინისტრი, ხოლო ივანოვი თავდაცვის მინისტრი გახდა. ფრადკოვის საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელად დანიშვნა კი სრული მოულოდნელობა იყო თავად სამსახურის თანამშრომლებისათვის, რომლებიც ამ პოსტზე ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების ხილვას იყვნენ მიჩვეულნი. საინტერესოა, რომ პრემიერ-მინისტრის კანდიდატად დღემდე სწორედ გრიზლოვი და ივანოვი განიხილებოდნენ.

საგადასახადო პოლიციის ხელმძღვანელობისას ფრადკოვმა გამოსცა ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც: საგადასახადო პოლიციელებს ნებისმიერ დროს, ყოველგვარი სანქციის გარეშე შეეძლოთ კომპანიებისა და კერძო პირების ცხოვრებაში ჩარევა.

ამასთან, ფრადკოვს ყოველთვის ახასიათებდნენ როგორც "ფრთხილ და გაწონასწორებულ ადამიანს". თუმცა, ერთი სკანდალური შემთხვევა მაინც გახდა ცნობილი. 1995 წელს, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრის მოადგილედ მუშაობისას, ფრადკოვი სახელმწიფო ქონების მითვისების გამო ლამის პასუხისგებაში მისცეს. სამინისტროში ჩატარებულ რევიზიას გაუჩნდა სერიოზული ეჭვები, რომ ფრადკოვი პირად აგარაკს სახელმწიფო სახსრებით აშენებდა. მაშინ ფრადკოვს გაუმართლა: 1995 წლის 30 სექტემბერს გენერალური პროკურატურის ერთ-ერთ კაბინეტში მომხდარ ხანძარს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს შემოწმების მასალებიც ესხვერპლა.

ასეთია რუსეთის მომავალი პრემიერის არასრული პორტრეტი. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა ვერ იქნება და მხოლოდ პრეზიდენტის ნება-სურვილის კარგი შემსრულების როლს თუ იტვირთავს. ირინა ხაკამადამ მას "ტექნიკური პრემიერ-მინისტრიც" კი უწოდა. მისი აზრით, ფრადკოვი, "თუ მისი კარიერის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის კაცია, რომელიც დავალებებს ასრულებს. ამ შემთხვევაშიც იგი პუტინის დავალებების შემსრულებელი იქნება, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური კურსი და ინიციატივები არ ექნება," – მიიჩნევს ხაკამადა.

# დადგება თუ არა არისტიდის შემდეგ ჩავესის ჯერი

ლევან ღირსიაშვილი

ვენესუელის პრეზიდენტმა ჰუგო ჩავესმა აშშ-ს ლიდერს ჯორჯ ბუშს ვენესუელის წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობაში დასდო ბრალი და დაიფიცა, რომ ის თავისი ჰაიტელი კოლეგის მსგავსად არ მოიქცევა და თანამდებობიდან არ გადადგება. ჩავესის განცხადებით, 2002 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ვენესუელაში დაგეგმილი იყო ჯორჯ ბუშისა და მისი იმპერიალისტი თანამზრახველების მიერ. ჰუგო ჩავესი ასეთი განცხადებით წარსდგა თავისი მომხრეების მრავალათასიანი მანიფესტაციის წინაშე. კარაკასში პრეზიდენტის მხარდამჭერების დემონსტრაცია ოპოზიციის მარშის შემდეგ გაიმართა, როცა ოპოზიციის მომხრეებსა და პრეზიდენტის ეროვნული გვარდიის ნაწილებს შორის შეტაკება მოხდა. ოპოზიცია უკვე რამდენიმე თვეა, დაჟინებით ითხოვს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას და ჰუგო ჩავესის გადადგომას, რაზეც ეს უკანასკნელი კატეგორიულ უარს აცხადებს.

**"ვენესუელის მოქალაქეებს მშვიდობიანი წინააღმდეგობისკენ მოვუწოდებთ,"**- აცხადებს ოპოზიციის ლიდერი ენრიკე მენდოზა. **"ეს ბრძოლა, სადამდეც საჭირო, იქამდე გაგრძელდება,"** - დამოძღვრა თავისი მხარდამჭერები მენდოზამ კარაკასში გამართული დემონსტრაციის დროს.

**"ნახვამდის, არისტიდ! ჩავეს, ახლა შენი რიგია!"** - ასეთია ჩავესის ოპოზიციის მთავარი ლოზუნგი.

თუმცა, ვენესუელის პრეზიდენტი მტკიცედ აცხადებს, რომ ის ბოლომდე იბრძოლებს და აღუდგება მისი დამხობის ნებისმიერ მცდელობას. ჰუგო ჩავესი მზად არის, დაუპირისპირდეს ვაშინგტონის "ძირგამომთხრელ პოლიტიკას" და აშშ-ს ნავთობის მიწოდება შეუწყვიტოს. ვენესუელას ხომ ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეხუთე ადგილი უკავია. **"ვენესუელა არ არის ჰაიტი და არც ჩავესია არისტიდი,"** - აცხადებს პრეზიდენტი ჰუგო ჩავესი.


ჰუგო ჩავესი: მე არისტიდი არ ვარ.
REUTERS

მისი მხარდამჭერები ასევე მზად არიან ბოლომდე ბრძოლისათვის და ისინიც ვაშინგტონს ადანაშაულებენ ვენესუელის მიმართ მტრული პოლიტიკის წარმოებაში. რასაკვირველია, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ის ვენესუელის საშინაო საქმეებში ჩარევას არ აპირებს.

ჰუგო ჩავესი ქვეყნის პრეზიდენტად 1998 წელს აირჩიეს. მან მოსახლეობას პირობა მისცა, რომ ქვეყანაში შქმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს გამოასწორებდა და ვენესუელა ღირსეულ ადგილს დაიკავებდა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს შორის. მისი ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ ჰუგო ჩავესმა ეს დანაპირები ვერ შეასრულა და ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

# რუსლან გელაევი - ცოცხალი თუ მკვდარი?

ლევან ღირსიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის დაღუპვის შესახებ მცდარი ინფორმაციები მრავალჯერ გავრცელებულა, ამჯერად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოსათვის კარგად ცნობილი ჩეჩენი გენერალი ლიკვიდირებულია. ამის ასე თამამად თქმის საშუალებას ისეთი მაღალი თანამდებობის პირის განცხადება იძლევა, როგორიც რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილეა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი დაღესტნის მთებში მოკლეს. ამის შესახებ პირველი ცნობა სააგენტო "რია ნოვოსტიმ" ფედერალური უშიშროების სამსახურის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონულ სამმართველოზე დაყრდნობით გაავრცელა. ინფორმაციის თანახმად, გელაევთან ერთად კიდევ ორი ჩეჩენი მებრძოლი იმყოფებოდა და ისინი კახეთ-ავარიის გზის მიდამოებში მოძრაობდნენ.

**"ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, დაღესტნის ტერიტორიაზე რუსლან გელავი გაანადგურეს. მისი გვამი ადრე დაკავებულმა მისმა თანამებრძოლებმა ამოიცნეს,"** - განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ სერგეი ფრიდინსკიმ.

რუსლან გელაევის ცხედარი უკვე მახაჩყალის საავადმყოფოშია გადატანილი. როგორც ირკვევა, რუსლან გელაევს და მის თანმხლებ პირებს რუს მესაზღვრეებთან შეტაკება მოუხდათ. ორმხრივი სროლის დროს მესაზღვრეებიც და გელაევიც დაიღუპნენ.

მიუხედავად ამისა, ჩეჩნური ინტერნეტ-საიტი "კავკაზპრესი" ირწმუნება, რომ რუსლან გელაევი ჯანმრთელი და უვნებელია და კვლავ ჩეჩნური წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს. თუმცა, ამის დადასტურება ძალიან ადვილია. თუკი გელაევი მართლაც ლიკვიდირებულია, მის ცხედარს აუცილებლად აჩვენებენ ტელევიზით. ხოლო, თუ ის კვლავ ცოცხალია, უახლოეს მომავალში სალსალამათი გამოჩნდება.

რუსლან გელაევი 1964 წელს დაიბადა, სოფელ ურუს-მარტანში.

მუშაობდა გროზნოში ნავთობბაზაზე. 1992-1993 წლებში შამილ ბასაევთან ერთად იბრძოდა აფხაზეთში. დუდაევის პრეზიდენტობის დროს, მეთაურობდა სპეცრაზმს, ევალებოდა "განსაკუთრებული ობიექტების" დაცვა. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს ჩეჩნეთის დასავლეთის ფრონტის სარდალი იყო.

1996 წელს ხელმძღვანელობდა გროზნოზე იერიშს, რაც 3 დღე გრძელდებოდა.

1996 წელს მექა ალასრულა და მიიღო არაბული სახელი - ხამზათი. რადუევის მხარდაჭერით, შექმნა ორგანიზაცია "პატრიოტულ ძალთა მოძრაობა", რომელიც პრეზიდენტ მასხადოვს ოპოზიციაში ჩაუდგა.

1997 წლის აპრილიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის ვიცე-პრემიერია, ხოლო 1998 წლის იანვრიდან - თავდაცვის მინისტრი.

1999 წლის 14 ივნისს გახდა შარიათის გვარდიის მეთაური.

მეორე ჩეჩნური ომის დროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის თავდაცვას მეთაურობდა, შემდეგ - გროზნოს თავდაცვას.

2000 წლის მარტში, სოფელ კომსომოლსკოეში დაკარგა 1200 მებრძოლი. ჯიჰადი გამოუცხადა ბარაევს იმის გამო, რომ ბარაევმა დამხმარე ძალა არ გამოუგზავნა. თავის მხრივ, ბარაევმა გელაევი რუსეთის აგენტობაში დაადანაშაულა. მისი თქმით, გელაევმა რუსებთან შეთანხმებით მოაწყო ოპერაცია, სადაც ჩეჩენი მებრძოლები, ფაქტობრივად, განწირულები იყვნენ.

2002 წლის კოდორის მოვლენების მთავარი გმირი სწორედ რუსლან გელაევი იყო. თუ რაში მდგომარეობდა ამ მოვლენების არსი, ეს ის საიდუმლოებაა, რომელსაც იმდროინდელი ქართველი ძალოვნები ჯერ კიდევ საგულდაგულოდ ინახავენ. რუსლან გელაევის ლიკვიდაცია კი ამ ფაქტს კიდევ უფრო ხანგრძლივი დროით გაასაიდუმლოებს.

# რუსეთი ნატო-ს გაფართოებით უკმაყოფილოა

რუსეთი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების ახალ ტალღას ვერ ეგუება, თუმცა ეს პროცესი უკვე გარდაუვალია. ალიანსის გაფართოების მორიგმა ეტაპმა ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი და ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო უნდა მოიცვას. რუსეთის გაღიზიანებას, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთში ნატო-ს ჯარების განლაგების პერსპექტივა იწვევს.

ახლახან ნატო-ს შტაბ-ბინაში რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ, სერგეი იასტრჟემბსკიმ ბრიტანული გაზეთის, "ფაინენშელ ტაიმსის" კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ნატო-ს ჯარების განლაგება მოსკოვში ნეგატიურად შეფასდება, მიუხედავად სამხედრო ყოფნის მასშტაბებისა.

"ფაინენშელ ტაიმსი" ხაზს უსვამს რუსეთის ნეგატიურ დამოკიდებულებას "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ" შეთანხმების მიმართ, რომელიც ევროპის უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. შეთანხმება, რომელიც 1990 წელს პარიზში იქნა ხელმოწერილი და 1999 წელს სტამბულის სამიტზე განახლდა, რუსეთის მიერ რატიფიცირებული დღემდე არ არის. ცოტა ხნის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ რუსეთი არ აპირებს აღნიშნული შეთანხმების რატიფიცირებას არსებული ფორმით. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსეთი სტამბოლის შეთანხმებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასა და ბალტიისპირეთის საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას ცდილობს. რუსეთს სურს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე ჩვეულებრივი შეიარაღების განლაგების შეზღუდვები გავრცელდეს, რითაც ნატო-ს ძალების რეგიონში შესვლა გართულდება.

ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ახალ წევრთა მიღება დაგეგმილზე ადრე, მიმდინარე წლის 2 აპრილს მოხდება. ამგვარად, ნატო-ს წევრთა რიცხვი 19-და 26-მდე გაიზრდება. ბოლოს ნატო-ში ახალი წევრები 1999 წელს მიიღეს, როცა ალიანსს პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი შეუერთდნენ.


**განცხადება**

(სს "პანსიონატ მამისონის" მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "პანსიონატ მამისონის" დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 24 მარტს, 11.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. აუდიტის დასკვნის განხილვა 2003 წლის წლიური შედეგების შესახებ;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "პანსიონატ მამისონის" დირექტორი გ. გუტაშვილი

**განცხადება**

(სს "პანსიონატ კეჩხობის" მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "პანსიონატ კეჩხობის" დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 23 მარტს, 16.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "პანსიონატ კეჩხობის" დირექტორი ო. გელაშვილი

**განცხადება**

(სს "სანატორიუმ ფირუზა"-ს მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "სანატორიუმ ფირუზა"-ს დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 23 მარტს, 12.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "სანატორიუმ ფირუზა"-ს დირექტორი რ. მჭედლიშვილი

**განცხადება**

(სს "ბორჯომმედსერვისი"-ს მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "ბორჯომმედსერვისი"-ს დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 23 მარტს, 13.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "ბორჯომმედსერვისი"-ს დირექტორი ნ. ამაშუკელი

**განცხადება**

(სს "სანატორიუმ ფაზისის" მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "სანატორიუმ ფაზისის" დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 24 მარტს, 12.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "სანატორიუმ ფაზისის" დირექტორი ნ. გვარაძე

**განცხადება**

(სს "სანატორიუმ საირმის" მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "სანატორიუმ საირმეს" დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 24 მარტს, 15.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "სანატორიუმ საირმის" დირექტორი ა. ყურაშვილი

**განცხადება**

(სს "ბორჯომკურორტსერვისი"-ს მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ)

სს "ბორჯომკურორტსერვისი"-ს დირექტორი იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 23 მარტს, 14.00 საათზე ქ. თბილისში შარტავას ქ.7 მე-6 სართ.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 წლის წლიური შედეგების განხილვა;
2. სს-ის რეორგანიზაცია

სს "ბორჯომკურორტსერვისი"-ს დირექტორი ს. ტატულაშვილი

## ხედოტუშტი



უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

### ძიძა

ერთი ბომბორა გვყავდა ეზოში, ძალიან რომ გათამამდებოდა (ეს სიტყვა ერთი ჩვენი მეზობელი ქვეყნის ენაზე ბრიყვს ნიშნავს), ეზოს სრულ ბატონ-პატრონად რომ წარმოიდგენდა თავს, გვერდები აექავაო, იტყოდა ბებიაჩემი.

ჩემი დღევანდელი წერილის გმირებს ახლოს არ ვიცნობ. ამიტომ პორტრეტზე თავიდანვე ვთქვი უარი. მხოლოდ ფოტორობოტი შემიძლია შემოგთავაზოთ.

ისინი სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ. თუ მაინცდამაინც კომპლექციისა და კომპლექსების დონეზე არ გავჩერდები, საკმაოდაც განსხვავდებიან ერთიმეორისგან. მათი ერთად მოხვედრის მიზეზი თვისებაა, ადამიანები გულუბრყვილოდ ხან სითამამეს, უფრო ხშირად კი ამბიციას რომ უწოდებენ. ამ სიტყვის არსში ერთი შეხედვით ცუდი არაფერია. ცუდი და საშიში მაშინ ხდება, როცა ეს თვისება ისე ჩამოეკიდება შესაძლებლობებს, როგორც მოზრდილი მამაკაცის შარვალი – რვა წლის ბიჭს.

მოკლედ, ასლან აბაშიძესა და ნოდარ ლადარიაზე ვაპირებ ორიოდე სიტყვის თქმას. პირველს, ასე თუ ისე, იცნობს მკითხველი. რაც შეეხება მეორეს, სულ რაღაც წელიწადნახევარია, მოღვაწეობს ჟურნალისტიკაში, მაგრამ...

#### ბელადი

რატომ არ ეტყვით ამ კაცს სიმართლეს? რატომ არ ეტყვით, რომ თოთხმეტი წლის წინათ არაფერს წარმოადგენდა და მხოლოდ პრეზიდენტების წყალობა იყო, რომ ამ კაცის ბაყაყისოდენა ამბიცია კამეჩისოდენად იქცა?

რატომ არ ეტყვით ამ კაცს, რომ მის მომხრეთა საყვარელი ლოზუნგი – აჭარა საქართველოა! – სრული სისულელეა. რატომ არ ეტყვით, რომ არც ერთ კახელს აზრად არ მოუვა, ერთხელ მაინც თქვას – კახეთი საქართველოა! არც იმერელი იტყვის – იმერეთი საქართველოაო.

რატომ არ ეტყვით, რომ რეგიონის გაფართოებული უფლებები მაშინ არის სასარგებლო, როცა დასაბრუნებელი არაფერი გაქვს, როცა შენი მეზობელი ინგლისი, შვეცია ან ჰოლანდიაა.

როდემდე უნდა უსმინოთ ამ რუსგადაყლაპული კაცის სისულელეებს, ხან გოგა ხაინდრავას და ხან ირმა სოხაძის სადამსჯელო ოპერაციები რომ ელანდება. რატომ არ ეტყვით, რომ როცა ეროვნულ უმცირესობებს აგროვებს და თბილისით აშინებს, საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებს ამ ხალხს? რატომ არ ეტყვით, რომ ეგ გაფხორილი ინდაური კი არა, ავტონომიაა საქართველოს ჭირი!

დაანახეთ, თუ ვერ ხედავს. იმერეთში ყოველგვარი აურზაურის გარეშე გადადგა გუბერნატორი, კახეთში ლამის ერეკლე მეორისოდენა უფლებებით აღჭურვილი ორი კაცი გამოცვალეს ორ თვეში, აჭარის მეთაური რა წითელი კოჭია?

შეხტება და შემოტრიალდება – მე ავტონომია ვარო! მაინც რა ნიშნითო, რომ ჰკითხო, ვითომ გიპასუხებს? ავტონომიობა თუა, კახეთს და იმერეთს უფრო არ ეკუთვნის? გურიასაც ჰყავდა მთავარი, სამეგრელოსაც... ახლა რა, უკან-უკან დავიწყოთ სიარული?

რატომ არ ეტყვით ამ კაცს, რომ აი, ის სახელოვანი მეფეები, ძალიან რომ გვიყვარს გახსენება ქართველებს, მაგისნაირებს ემაგ საქმიანობისთვის ხან ხელ-ფეხს აჭრიდნენ, ხან – თავს, ხანაც ისეთ რაღაცებს, თავისნაირები რომ ველარ გაემრავლებინა.

უთხარით, რა, ხალხი არა ხართ?

მაგრამ არ ეუბნებით. ის კიდევ, გასდის და რატომ არ იტირებს?

#### ომბუდსმენი

ეს კაცი ამ სასაცილო სიტყვასთან ერთად გამოჩნდა რედაქციაში. არ ვიცი, დაავალეს თუ თვითონვე დაივალა, ეს კი იყო, იმთავითვე განაცხადა: "24 საათის" მკითხველი "24 საათისავე" ჟურნალისტებისგან უნდა დავიცვაო. ერთი შეხედვით თითქოს მარტო ჟურნალისტების აღმზრდელის ფუნქცია იკისრა, თუმცა, ამით მზრუნველი ხელი მკითხველსაც გადაუსვა თავზე: არ იდარდო, მე გაგარკვევ, მე გაგარჩევინებ ავსა და კარგს, მე გეტყვი, რა წაიკითხო და რა – არაო.

მადა ჭამაში მოდის. თავიდან მორიდებით შეუდგა მოვალეობის შესრულებას. მერე თანდათან შევიდა ეშხში, საიდანღაც ტყავის ქურთუკი გამოქექა, მოიხდინა და ნელ-ნელა კომისარს დაემსგავსა. გახსოვთ, არა, ეს ხალხი? აი, წითელ არმიაში დივიზიას მეთაური რომ ჰყავდა, იქვე შემმოწმებელიც ეჯდა კომისრის სახით. ასე ვთქვათ, იდეოლოგიური შეფი. ამ თანამდებობებმა ბოლო დრომდე მოაღწია, სამოქალაქო სამსახურს კი ოდნავ შეცვლილი სახით – პარტკომების სახელით შემორჩა. დღეს პარტკომები და კომისრები გასაგები მიზეზების გამო ხმარებიდან ამოვარდა, ომბუდსმენი გაცილებით მშვიდობიანად ჟღერს.

ახლა სიტყვები კი შევცვალეთ, მაგრამ რეალურად ისევ იქ დავბრუნდით – რედაქტორიც გვყავს და ლადარიას სახით პარტკომ-კომისარ-ომბუდსმენიც. ერთი სიტყვით – ძიძა. შენ კი, ძვირფასო მკითხველო, შეგიძლია თავი აღარ გაანძრიო, შენს მაგივრად ნოდარ ლადარია იფიქრებს. მოკლედ, შენზეც იზრუნებს და ჩვენზეც. ზუსტად ისე, როგორც იმ დალოცვილ დროს, როცა ბოლშევიკებმა ხალხის აღმზრდელის ფუნქცია მიითვისეს, როცა სასტიკად ისჯებოდა შეკითხვაც კი: იყავით, ბატონო, აღმზრდელები, მაგრამ თვითონ ამ აღმზრდელებს ვინღა აღზრდისო? ამას რა პასუხი სჭირდებოდა – ისინი ხომ პირდაპირ აღმზრდელებად იბადებიან. ერთ მშვენიერ დღეს ნოდარ ლადარიასავით გამოგეცხადებიან, თქვენი ძიძა ვარო, გეტყვიან და ამის შემდეგ, გინდა, არ გინდა, იმის ჭკუაზე უნდა იცხოვრო. ეგეთებისთვის ცხონებულ მერაბ მამარდაშვილს ტერმინი ჰქონდა მოფიქრებული – ყოვლისმხილველი თვალი. მე ყოვლისმცოდნესაც დავამატებდი.

ნოდარ ლადარიამ, აჭარის ბელადისა არ იყოს, ყველაფერი იცის, სპორტით დაწყებული და პოლიტიკით დამთავრებული. განსაკუთრებით კარგად კი რელიგიურ საკითხებში ერკვევა.

წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც ზემოთ ნახსენები სტატუსით მოღვაწეობს და, როგორც იქნა, პირველი წმინდა ჟურნალისტური ოპუსიც გამოაცხო – 12 თებერვალს ინტერვიუ ჩამოართვა მიტროპოლიტ აბრაამს.

მე ახლა ამ ნაწარმოების ავკარგიანობაზე ყურადღებას არ გავამახვილებ, ძალიან მინდა, თვითონ მკითხველმა წაიკითხოს და, თუ მთელი ეს ინტერვიუ ზაფხულის პაპანაქებაში ლაფში ჩაწოლილი კამეჩის ცოხნად არ მოეჩვენა, იმისი ხმალი და ჩემი კისერი. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, წელიწადნახევარი ნებისმიერი, თვით ისეთი იოლი პროფესიის ასათვისებლადაც კი, როგორიც ჟურნალისტიკაა, ერთობ ცოტაა და, ამდენად, გასაგებიც არის ხარვეზები, რაც ამ, ფაქტობრივად, დაოსტატების პერიოდს ახლავს. მე სხვა რამეზე მინდოდა მკითხველის ყურადღების მიქცევა: სულ რაღაც სამი დღის შემდეგ, 16 თებერვლის ნომერში, ნოდარ ლადარია აღიარებით ჩვენებას იძლევა – საკუთარ თავს მესამე პირში აკრიტიკებს.

"იქ, სადაც "ჭიათურის მიტროპოლიტი" უნდა დაეწერა, ავტორი ჭიათურის ეპისკოპოსს წერს... ასე გაჩნდა ტექსტში ზედმეტი და უადგილო სიტყვა "დათმობა". სხვაგან კი პრესომბუდსმენი ერთ სიტყვას აკლებს და ასევე საწინააღმდეგო ეფექტს ღებულობს: "1990-იან წლებში რუსეთის ეკლესიამ იოანე ვოსტორგოვი წმინდანად შერაცხა". უნდა იყოს: "1990-იან წლებში რუსეთის ეკლესიამ იოანე ვოსტორგოვი ლამის წმინდანად შერაცხა". იგრძენით განსხვავება?"

ახლა ჩემს ადგილზე "ღამის შოუს" ცნობილი წამყვანი რომ იჯდეს, აუცილებლად გეტყოდა:

- ვიგრძენი, ბატონო ნოდარ, ვიგრძენი!

მე კი უფრო პროზაული ვიქნები. მაგ შეცდომებს, ადრე თუ გვიან, ვინმე აუცილებლად გაგისწორებდა, ეგ თვითკრიტიკა კი, თვითგვემას რომ უფრო ჰგავს, თან მაზოხისტური ელემენტებით, კომუნისტების მოგონილი ხერხია. ასე რომ, ტყუილად გაისარჯე.

აი, ეგეთი მდგომარეობაა ლადარიას ეგრეთ წოდებულ "კარონნი" სფეროში. იმის გარკვევა კი, რა შეიძლება იყოს სხვაგან, ნაკლებად "კარონნი" ნომრებში, თვითონ მკითხველისთვის მიმინდია.

ახლა, ძალიან რომ არ გადავღალო ამ გაზეთის გულშემატკივარი ხალხი, ლადარიას ერთ-ერთი მორიგი ნაწარმოებიდან ერთადერთ აბზაცს მოვიტან:

"წავიკითხე სანდრო კაკულიას მოთხრობა "დომინოს პრინციპი" და ბევრიც ვიცინე. მიმაჩნია, რომ "იტალიური ეზოების" ხიბლი უნდა დაინგრეს".

რატომღაც ფეხმოკიდებული "იტალიური ეზოები" რომ სულაც არ არის იტალიური, ეს არც ჩემი ბრალია და არც ლადარიასი, მაგრამ ისეთი რიხით წერს, მიმაჩნია, უნდა დაინგრესო, თითქოს მთელი ბავშვობა მილანის ან რომის ქუჩებში ჰქონდეს გატარებული.

ჰო, ეგეთ ეზოებს უამრავი ნაკლი აქვს, სამზარეულოებით დაწყებული და საპირფარეშოებით გათავებული, მაგრამ რაღაც ღირსებების უაპელაციოდ უარყოფაც სწორი არ არის. ეგეთ ქალაქურ ეზოებში, სადაც ყველა ყველას იცნობს, იშვიათი არ არის წვრილ-წვრილი კინკლაობა, მაგრამ თითქმის გამორიცხულია ქურდობა, მკვლელობა. ეგეთ უბნებში ბავშვიც დაცულია, ქალიც და მოხუციც. ეგეთ ეზოებში მთლიანად გამორიცხულია კორპუსებში გამომწყვდეული მსოფლიოს დღევანდელი ჭირი – გაუცხოება. რა თქმა უნდა, არც ერთია იდეალური და არც მეორე. ამიტომაც იმტვრევენ თავს არქიტექტორები.

სულაც არ არის დიდი ბოროტება, ქალაქური ცხოვრების ავ-კარგში ბოლომდე ვერ გაერკვეს კაცი, მაგრამ ხსენებულ აბზაცში ისეთმა რამემ გამოჟონა, არც თვალის დახუჭვა, არც ცხვირზე ხელის მოჭერა, არც ყურების თითით დაცობა საქმეს არ უშველის.

"ბევრიც ვიცინეო".

ნახეთ, რაზე იცინის კაცი, რომელსაც, სხვა ყველაფერთან ერთად, აღმზრდელის ფუნქციაც აქვს მითვისებული:

"ქმარი 24 წლის, ინვალიდი, ცოლი ჯანმრთელი, თანაც 22 წლის და არცთუ ისე ურიგო! პირველ იანვარს შოკოლადით და მამაჩემის ღვინით ინვალიდის ცოლს (მეზობელზეა საუბარი.-ი.ბ.) მივადექით... საძინებელში შემოსვლა ვთხოვეთ! იქ გია წევსო. ჩვენ გია ეტლში ჩავსვით და სამზარეულოში შევაგორეთ, შოკოლადი ვაჭამეთ და დავტოვეთ! – რამდენი ხართ? ბიჭებს გადავხედე, 15-ოდე ვიქნებოდით! იმ დღეს ძალიან გავერთეთ".

რა თქმა უნდა, ეპიზოდი გამოგონილია. რა თქმა უნდა, ავტორს ეს და სხვა მსგავსი ეპიზოდები "ქალაქური ეზოს" დასანგრევად დასჭირდა, მაგრამ ნიჭიერად გააკეთა ეს თუ უნიჭოდ, სულ ერთია, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში სასაცილო ნამდვილად არაფერია. არ ვიცი, სად ამოიკითხა ნოდარ ლადარიამ, იქნებ მეექვსე გრძნობამ უკარნახა და ამიტომაც დაიჯერა: თხუთმეტმა ოქლაქმა ხაზგასმით დელიკატურად იხმარა მეზობელი. ალბათ, ამიტომ ვერ გაბრაზდა და, წარმოიდგინეთ, სიცილის გუნებაზეც კი დადგა. მსგავს რეაქციებს არც ლიტერატურასთან და არც ჟურნალისტიკასთან საერთო არაფერი აქვს. ეს სხვა სფეროა, რომელშიც, როგორც ამბობენ ხოლმე, კომპეტენტური არა ვარ.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს გაზეთში შესაძლებელია ჩვენივე გაზეთის ყოვლისმხილველი თვალის ანუ ომბუდსმენის საწინააღმდეგო რამის დაბეჭდვა. გინახავთ, საბავშვო ბაღი აჯანყებოდეს ძიძას?

თუმცა, ერთი კი არის. როცა აქ, ამ რედაქციაში ვიწყებდი მუშაობას, არავის გავუფრთხილებივარ, ძიძა გეყოლებაო.

ძიძა, საერთოდ, კარგი რამეა. დედის ასოციაციას ბადებს. დედაშვილობაც მშვენიერი გრძნობაა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ ბუნებით დადგენილ საზღვრებს არ სცილდება. მაგრამ როცა მოზრდილ მამაკაცს ძიძას უნიშნავენ, ეგეთი ექსპერიმენტი, როგორც წესი, ინცესტით მთავრდება.

იქნებ ამ კაცს მაინც უთხრათ რამე!

მაგრამ არც ამას ეუბნებით. ის კიდევ, გასდის და რატომ არ იტირებს?

# დავიცვათ ისინი, რომ თავად ვიყოთ დაცულნი

პირველი გვერდიდან




*ყოფილი ქუჩის ბავშვების სამუშაო დღე.*

იმის თქმა, რომ ყველა ქუჩის ბავშვი დამნაშავეა, მართებული, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, თუმცა კავშირი მოუწესრიგებელ ცხოვრებასა და დანაშაულებრივ სამყაროს შორის, უეჭველია, არსებობს. არასრული სტატისტიკური მონაცემები ხელს უშლის, ამ თვალსაზრისით, მყარი დასკვნის გაკეთებას. მაგრამ, ფაქტია, რომ ქუჩის ბავშვების ფენომენს დამნაშავეთა გაახალგაზრდავება და ორივე სქესის არასრულწლოვანთა პროსტიტუცია მოჰყვა. ამ გზით მიღებული შემოსავალი ბევრად აღემატებოდა საშუალო ხელფასის ოდენობას და ბევრი ასე ოჯახს, უმცროს და-ძმას არჩენდა. 1997 წელს ჩატარებულმა 12-16 წლის 112 პროსტიტუტის გამოკითხვამ აჩვენა, რომ მხოლოდ საკუთარ თავს შემოსავალს გოგონების 42 პროცენტიდან 12 პროცენტი ახმარდა, 32 პროცენტი პროსტიტუციას მათხოვრობასა და ქურდობას უთავსებდა; სხვა პროსტიტუტი გოგონები ყიდიდნენ გაზეთებს, ნაყინს, მუშაობდნენ კაფეებში, ასუფთავებდნენ ეზოებსა და სადარბაზოებს. დიდ ნაწილს პროსტიტუციაში მშობლები უწყობდნენ ხელს.

### შავ-თეთრი პერსპექტივა

ეს ყველაფერი დღესაც "ძალაშია". ქუჩის ბავშვებისთვის სამყარო უკეთესი არ გამხდარა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ცხოვრების შესაცვლელად არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა; მიუხედავად იმისა, რომ მათი პრობლემის მოსაგვარებლად საერთაშორისო ორგანიზაციები უამრავ პროექტს ახორციელებენ, ვითარება, ფაქტობრივად, იგივე რჩება და ასეთადაც დარჩება, იქამდე მაინც, ვიდრე სიდუხჭირისგან მშობელს მისი ძირითადი მოვალეობა დავიწყებული ექნება. მანამდე კი ქუჩის ბავშვების ირგვლივ ვითარება უფრო იძაბება. არ მინდა, გადაჭარბებად ჩამეთვალოს, მაგრამ რუსეთში უკვე მოქმედებს მცირეწლოვანი ქილერის ინსტიტუტი. საქმეში ჩახედული ხალხი ჰყვება, რომ 10-12 წლის ბიჭებს იქ სპეციალურად ამზადებენ ყველაზე სასტიკი მკვლელობებისთვის. უფროსებისთვის, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, გონებრივად ცუდად განვითარებული ამ ბავშვებით მანიპულირება ძალიან ადვილია. სამი-ოთხი წარმატებული საქმის შემდეგ კი დამკვეთები მათ ანადგურებენ.

სპეციალისტები შიშობენ, რომ ამგვარი "ბიზნესის" განვითარებისთვის საქართველოში სასურველი ფონი იქმნება. ვერ დავიჟინებ, - აქაც ყველაფერი სწორედ რუსული სცენარით განვითარდება-მეთქი, თუმცა იმედგაცრუება, ტკივილი და ზიზღი იმ საზოგადოების მიმართ, რომელმაც ეს ბავშვები არ მიიღო და მათ არანაირად არ დახმარებია, კარგად ნამდვილად ვერ შემოგვიბრუნდება. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ პროგრამები, რომელსაც არასამთავრობოები ამ კატეგორიის ბავშვებისთვის ახორციელებენ, მათ ბავშვობასთან ერთად სრულდება. რა იქნება შემდეგ - ძირითადად, პასუხგაუცემელ კითხვად რჩება. მათ დასაქმებაზე, ანუ მათი ცხოვრების შემდგომ მოწყობაზე არავინ ზრუნავს. სახელმწიფო ბედის ანაბარა ტოვებს მათ. ტოვებს გაცილებით მეტი პრობლემის წინაშე, ვიდრე ბავშვობაში იმყოფებოდნენ, გაცილებით მეტი იმედგაცრუების, ტკივილისა და ზიზღის დასაგროვებლად. ტოვებს შანსის გარეშე – იცხოვრონ ადამიანურად, ჰქონდეთ მომავალი და იმედი იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მათ სამყაროშიც დათბება.

### მარგალიტები

**"ასე გაგრძელება არ შეიძლება,** - ამბობს წმინდა პანტელეიმონ მკურნალის ეკლესიის წინამძღოლი, საზოგადოება "მკურნალის" ხელმძღვანელი გიორგი ჩაჩავა, - **მაშინ რით განვსხვავდებით ჯუნგლებისგან? იქ მხოლოდ ძლიერი გადარჩება, სუსტი უნდა დაიღუპოს. საზოგადოება კი იმისთვის არსებობს, რომ სწორედ სუსტსა და ავადმყოფს დაეხმაროს. შევარდნაძის ხელისუფლებას საქართველოში გამოცხადებული ჰქონდა ჯუნგლები - ძლერი იმარჯვებდა, კიდევ უფრო მდიდრდებოდა, უფრო უკეთ გრძნობდა თავს, სუსტი კი იღუპებოდა. ეს, ფაქტობრივად, ოფიციალური პოლიტიკა იყო ქვეყნისა. არც ერთ ცივილიზებულ სახელმწიფოში ასე არ ხდება. სუსტებისთვის ყველა სფეროში დოტაციური პროგრამები ხორციელდება. ჩვენთან ყველაფერზე ბიზნესი კეთდება, ბავშვების განათლებაზეც კი. არავინ უფიქრდება, რომ სახელმწიფო ამით ორმაგად აგებს. ხომ არ შეიძლება მხოლოდ მდიდრების ბავშვებს ჰქონდეთ გამორჩეული უნარები? შეიძლება, ძალიან ღარიბ ოჯახში დაიბადოს ეინშტეინი, ლომონოსოვი, მუსხელიშვილი, ვეკუა... იმის გამო, რომ მის ოჯახს შესაძლებლობა არა აქვს, განათლების, ყურადღების გარეშე უნდა დარჩეს? ჩვენს ორგანიზაციას არაჩვეულებრივი მაგალითები აქვს იმისა, რომ ნიჭიერი ადამიანები ლუკმა-პურის მოსაპოვებლად დღეს ქუჩაში დგანან."**

ერთი ასეთი მაგალითი პავლე ნეფიოდოვია – პავლიკა, როგორც მას "მკურნალში" ეძახიან. იქ იგი ბავშვთა თავშესაფარ "მომავლის სახლიდან" მოხვდა. **"მოვიყვანეთ კომპიუტერის სახელოსნოში, რადგან ტექნიკის შეკეთება ეხერხება,** - იხსენებს საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნინო ჭუბაბრია, - **ამ დარგში საუკეთესო ოსტატს გოგი ვეფხვაძეს მივუყვანეთ სასწავლებლად, მაგრამ ისე გადაუწყვიტა დაზიანებული აპარატის პრობლემა, რომ ფული აღარ გამოგვართვა, - ამ ბავშვს მე რა უნდა ვასწავლოო. ძალიან ინტერესიანია, მუდმივად ცდილობს, გაარკვიოს რაღაცები; კითხვებს სვამს, უკირკიტებს ყველაფერს. უნიჭიერესი ბავშვია. მერე მინანქრით დაინტერესდა. შეიძლება, მეც რაღაც გავაკეთოო, - იკითხა. დაჯდა და ულამაზესი რამ გააკეთა – მოწყვეტილი ყვავილი. მერე ავად გახდა, ძალიან გულჩათხრობილი იყო. არ მოვეშვი და გამომიტყდა, - ასე იმიტომ ვარ, რომ ძმები წყნეთის ბავშვთა სახლში მყავს, იქ 12 წლის გოგო გაუშვილებიათ და მეშინია, ჩემი ძმებიც არ გააშვილონო. მოველაპარაკეთ მისი თავშესაფრის დირექტორს და ახლა ოთხივენი ერთად ცხოვრობენ. ამის შემდეგ საინტერესო ამბავი მოხდა – იცით, კიდევ ერთი ნამუშევარი გააკეთა – ოთხი თავაწეული ყვავილი, რომლებსაც მზე დაჰნათის."**

ეს დასაწყისი იყო. პავლეს იმდენად საინტერესო ნამუშევრები აღმოაჩნდა, რომ ისინი გალერეა "ორნამენტში", მინანქრის საუკეთესო ოსტატების ნამუშევრების გვერდით გამოფინეს. ულამაზესი სამეული – მაგიდისა და სკამების ფორმის ბეჭედი და საყურეები კი გამოფენის ბუკლეტის გარეკანზე მოხვდა. **"ჩვენი ბავშვების ნამუშევრები სხვა გამოფენებზეც გაუტანიათ, აქაც და საზღვარგარეთაც – გერმანიაში, საფრანგეთში. მაგრამ, ამ შემთხვევით განსაკუთრებით ვამაყობ, რადგან "ორიენტში" ჩვენები, პირველ ყოვლისა, პროფესიონალური ნიშნით გამოფინეს,"** - ამბობს ნინო ჭუბაბრია.

პავლე და ჟენია, რომელსაც ასევე მშვენიერი ნამუშევრები აქვს, "მკურნალში" დაარსების დღიდან არიან. მათ გარდა, იქ კიდევ ხუთი ბავშვი მუშაობს საოქრომჭედლო თუ საყოფაცხოვრებო სახელოსნოებში. ამგვარი ორგანიზაციის დაფუძნების იდეა ოთხი წლის წინათ გაჩნდა. მიზანი ქუჩის ბავშვების დასაქმება გახლდათ. ბრიტანეთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელის ლალი მესხის დახმარებით, "მკურნალი" ბრიტანეთის საელჩომ დააფინანსა. 2001 წლის თებერვალში ორგანიზაციამ 171-ე სკოლის ორ კლასში დაიწყო ფუნქციონირება. გაიხსნა სამი სახელოსნო: საყოფაცხოვრებო მომსახურების, საოქრომჭედლო და საპარიკმახერო. იქ მიყვანილ გოგო-ბიჭებს, მათივე შესაძლებლობების მიხედვით, კონკრეტულ სპეციალობაში ოსტატები ამეცადინებდნენ.

რამდენმა ბავშვმა გაიარა მათ ხელში და რამდენი დასაქმდა მათი მონდომებით, "მკურნალში" არ დაუთვლიათ. ერთს კი აღნიშნავენ, - გოგონების დასაქმება გაცილებით ადვილია, ბიჭების მიღებაზე კი ძალიან ხშირად იკავებენ თავსო. ამ წინააღმდეგობამ ახალი პროექტი აამოქმედა – "მკურნალმა" გადაწყვიტა, ქუჩის ბავშვები თავად დაესაქმებინა. მიეცა მათთვის ისეთი სამსახური, რომელიც ახალგაზრდებს ოჯახების შენახვის, ორგანიზაციას კი არსებობის საშუალებას მისცემდა. დღეს იქაურები "თელასისა" და "თი-ბი-სი"-ს კომპიუტერების პერიფერიულ მომსახურებას ეწევიან. აქვთ ამ ხასიათის სხვა შეკვეთებიც.

**"ამ ორგანიზაციების გარდა, ჩვენ გვყავს დიდი მეგობარი როი გოტსონი, ვაშინგტონის ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის დირექტორი, ჯოჯრტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი და ამერიკის მთავრობის მრჩეველი, რომელიც საქართველოში მეტად საინტერესო პროექტს – სკოლებში ანტიკრიმინალურ სწავლებას ახორციელებს,** - ჰყვება გიორგი ჩაჩავა, - **ჩვენ ბევრი გვისაუბრია ქუჩის ბავშვების თემაზე და მივსულვართ დასკვნამდე, რომ რეალური, პრაქტიკული ღონისძიებებია საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ისეთი ბავშვი გვინახავს, ვისაც თავად მშობელი აიძულებდა, ემათხოვრა, ექურდა, თუ მეძავი გამხდარიყო. მაგრამ, არიან ოჯახები, სადაც განიცდიან შვილის ქუჩაში ყოფნას. ისინი ცდილობენ, პატიოსნად მოუარონ თავიანთ ბავშვებს, მაგრამ არავითარი სახსარი არ გააჩნიათ. ჩვენთან მოსულებს აქვთ ხელფასი და, რომ შეენახოთ, ვაძლევთ გზის ფულს, მუშაობის განმავლობაში კვებით უზრუნველვყოფთ. ვაპირებთ საქმის გაფართოებას, ახალი სახელოსნოების გაკეთებას, თუმცა ამას სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება. თუკი მოვინდომებთ, ამ ბავშვებში ნამდვილი მარგალიტების პოვნა შეიძლება."**

### ჭერი თქვენზეა, ბიზნესმენებო

ამ რამდენიმე ხნის წინათ რუსეთის საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა მიუსაფარ ბავშვთა დასახმარებლად ქსელი შექმნეს. ორ კვირაში ერთხელ რომელიმე ბიზნესმენის ოფისში იკრიბებიან, აგროვებენ საჩუქრებს, და დედაქალაქიდან 200-300 კილომეტრის რადიუსში მდებარე ბავშვთა სახლების ბინადრებისთვის მიაქვთ. მათ დარიგებაში ბიზნესმენები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას, ეცნობიან ბავშვებს და ასაქმებენ კიდეც. რატომ არ შეიძლება ასეთი რამ ჩვენთანაც გაკეთდეს, - კითხულობენ "მკურნალში", - ქართველები ხომ ყოველთვის მივიჩნევდით, რომ ადამიანობით, გამტანობითა და სიყვარულით ყველას ვჯობდით.

**"პროფესიონალებად ამ ბავშვების ჩამოყალიბება შეიძლება,** - ამბობს ნინო ჭუბაბრია, - **ამაში არაფერია რთული. ძალიან ჭკვიანები, გონებაგახსნილები არიან. თუ მაღალი დონის სამუშაოს ვერ შეასრულებს, ხელობას მაინც ისწავლის. არავინ არაფერს აძალებს ჩვენ ბიზნესმენებს, მაგრამ ურიგო იდეა ეს არ უნდა იყოს. მე მინდა, შევთავაზო მათ, გავაკეთოთ ის, რაც გააკეთეს რუსებმა, რადგან ეს არის არაჩვეულებრივი რამ. თუ ამ ბავშვებს დღეს არ მივხედეთ, თავადაც ვერ იქნებიან მშვიდად. შეიძლება იფიქრო, რომ მოარიდებ მათ შვილს, მაგრამ ვერ მოახერხებ. ის ბავშვი, რომელიც მთელი ცხოვრება დაიტანჯა, მშობლებმა უარყვეს, საზოგადოებამ უარყო, აუცილებლად გაბოროტდება, რადგან ბოროტების მეტი არაფერი უნახავს. ეს უზარმაზარი ძალა აუცილებლად მობრუნდება ჩვენივე წინააღმდეგ, თუკი ისინი საზოგადოებაში არ მივიღეთ."**

იმ ბავშვების ნაწილის შესახებ, რომლებიც დღეს ქუჩებსა თუ ბავშვთა თავშესაფრებში ცხოვრობენ, ჩვენ ბევრი რამ არც ვიცით. ზოგის ასაკსაც ვერ ვიტყვით დაზუსტებით. ბევრს "კეთილმა ადამიანებმა" სახლიც წაართვეს. ბევრს ზამთარი ბალნეოლოგიურის ეზოში მდებარე აუზში გაუტარებია. **"იქ თბილი წყალია, თანაც იმდენი, რომ, თუ დაგეძინება, არ დაიხრჩობი,** - ჰყვება 18 წლის მირზა, - **ექვსი-შვიდი ბავშვი ვეტეოდით და ასე გვეძინა. გატეხილ მანქანაშიც დამიძინია, "ბუტკაშიც", ლიფტშიც... მომიპარავს კიდეც და მიმათხოვრია..."** დღეს იგი მინანქარზე მუშაობს, საკუთარი შემოსავალი აქვს და, არა მარტო დედას, ქუჩაში დარჩენილ მეგობრებსაც ეხმარება. **"ასე ნაშოვნ ფულს სხვა გემო აქვს. ცხოვრებასაც იმედით ვუყურებ,"** – ესეც მირზას სიტყვებია. იმედიანია პავლეც: **"მუშაობა მსიამოვნებს, მეხალისება. უსაქმურად ცუდად ვარ. ქუჩაში რომ ვიყავი, ვლოთობდით, წებოთი ვკაიფობდით. ქელეხებზე დავდიოდით. "დელისთნ" იყო დარბაზი და იქ შევდიოდით. ახლა ჩემი ჯიბის ფულიც მაქვს და მეტიც. ასე უკეთესია."**

მართლაც, უკეთესია ყველასათვის.

# A-ჰეპატიტის გავრცელების საშიშროება სკოლებში

*დედაქალაქის სკოლებში გამეფებულმა ანტისანიტარიულმა მდგომარეობამ A-ჰეპატიტის გავრცელების საშიშროება წარმოქმნა. გუშინ ქალაქის სანიტარიული სამსახურის უფროსის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა რამდენიმე სკოლა მოინახულა და ბევრ მათგანში ბუფეტი და სპორტული დარბაზები დახურა.*

თამარ დვალი

**"რამდენიმე წელიწადია, დედაქალაქში სკოლების კეთილმოწყობის საკითხს არანაირი ყურადღება არ ექცევა. ჩვენი მოვალეობაა, საჭიროების შემთხვევაში დავაჯარიმოთ ან დავხუროთ ის სკოლები, რომელთა საკვები ობიექტებიც არ ფუნქციონირებს ისე, როგორც საჭიროა; დარღვეულია სანიტარიული ნორმები. სკოლებში წყალკალანიზაციის მოუწესრიგებლობის გამო, A-ჰეპატიტის ეპიდემიის წინაშე ვდგავართ. აქედან გამომდინარე, კატეგორიულად მოვითხოვთ და მივმართავთ ქალაქის განათლების განყოფილებას, რომ უმოკლეს ვადაში მოხდეს ამ საკითხზე რეაგირება და კეთილმოეწყოს კვების ბლოკები, აგრეთვე, მოხდეს სასადილოებში პროდუქტის ცენტრალიზებული შემოტანა, ოღონდ არა იმ საკვები პროდუქტებისა, რომელიც დღეს იყიდება სკოლებში; შეკეთდეს სპორტული მოედნები, სადაც უნდა ჩატარდეს სპორტული ვარჯიშები, "** – განაცხადა ქალაქის სანიტარიული სამსახურის უფროსის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა.

თბილისის 20-მდე სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია, 40-ს - კაპიტალური შეკეთება, 50-ს კი მიმდინარე შეკეთება ესაჭიროება. 48 სკოლაში წყალ-კანალიზაციის ქსელია მოსაწესრიგებელი. 40-მდე სკოლაში ბუფეტი, ფაქტობრივად, ყველანაირი სანიტარული ნორმის დარღვევით ფუნქციონირებს.

ისანი-სამგორის რაიონის 109-ე საშუალო სკოლაში, სადაც 400-მდე ბავშვი სწავლობს, ბუფეტი საერთოდ არ არსებობს. 1998 წელს სკოლის ბუფეტი, ქალაქის მერიისა და გამგეობის გადაწყვეტილებით, მოხუცებულთა სასადილოდ გადაკეთდა. დღეს სკოლაში, ბუფეტის ნაცვლად, შესასვლელ კართან პატარა მაგიდაა მიდგმული, სადაც დღეში 60-მდე ფენოვანი ხაჭაპური და ფუნთუშა შეაქვთ. სანიტარიის სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მსგავსი რამ ყოვლად დაუშვებელია.

როგორც 109-ე სკოლის დირექტორმა არტიომ არუთინიანმა გვითხრა, სკოლაში სარემონტო სამუშაოები 30 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. ავარიული მდგომარეობის გამო, შენობის მეოთხე სართული გადაკეტილია, სახურავი კი - მთლიანად შესაკეთებელი. სპორტული დარბაზი, რომელიც სკოლის ეზოში მდებარეობს, დანგრევის პირასაა მისული. უკვე რამდენი წელიწადია, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები მოსწავლეებს საკლასო ოთახებში უტარდებათ. სკოლის სპორტული დარბაზი კი სათავსოდ არის გადაკეთებული. ამავე რაიონის 108-ე საშუალო სკოლაში ბუფეტი ყოფილი გარდერობის ოთახშია მოთავსებული. იქ არსებული ანტისანიტარიის გამო, შესაბამისმა სამსახურმა მისი დახურვის გადაწყვეტილება მიიღო.

# ოლიმპიური ჩემპიონი გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს

### პროკურატურა ფინანსთა სამინისტროს მოხელეთა და საგზაო ფონდის პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხსაც დასვამს





გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

*გუშინ, დილით, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა შალვა ოგბაიძემ და საპასპორტო და სავიზო-სარეგისტრაციო სამსახურის უფროსმა დავით თოდუამ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს.*

*გენერალური პროკურატურის მიერ დაწყებული ახალი სადამსჯელო ღონისძიება - "პოლიციური კვირეული" - საქართველოს საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსის დავით თოდუასა და საგზაო პოლიციის ყოფილი უფროსის დავით კობახიძის დაკითხვითა და მათი დანაშაულში ეჭვმიტანილებად გამოცხადებით დაიწყო. საქმე გუშინ დასრულდა – პოლიციის მაღალჩინოსნები თანამდებობიდან გადადგნენ.*

ინგა ალავიძე

შეგახსენებთ, რომ 2002 წელს იმპორტირებული მანქანების რეგისტრაციისას დაშვებულ კანონდარღვევებზე, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტმა სერიოზული ზარალი ნახა, გენერალურმა პროკურატურამ საქმე, დაახლოებით, თვენახევრის წინ აღძრა. საქმის აღძვრის საფუძველი ანტიკორუფციული საბჭოს მიერ კონკრეტულ კანონდარღვევებზე გაკეთებული სერიოზული დასკვნა გახდა. ანტიკორუფციულმა საბჭომ საგზაო პოლიციას წვრილად დაუთვალა საეჭვო საქმიანობის შედეგად – საგზაო მოძრაობის წესების ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან, მართვის მოწმობების გაცემისა თუ მანქანების რეგისტრაციიდან შესული კანონიერი და უკანონო შემოსავლები. აღმოჩნდა, რომ საგზაო პოლიციამ საქართველოს ბიუჯეტს, დაახლოებით, 20 მილიონი ლარი დააკლო. ბიუჯეტისთვის მოპარული თანხის ნახევარზე მეტი უცხოეთიდან შემოყვანილი მანქანების უკანონო რეგისტრაციიდან მიღებული თანხებია. საქართველოს ბიუჯეტმა 2002 წლის განმავლობაში საგზაო პოლიციის მიერ 15 ათასი ავტომობილის რეგისტრაციაში უკანონოდ გატარების შედეგად, დაახლოებით, 9 - 10 მილიონი ლარი იზარალა.

დავით თოდუასა და დავით კობახიძის დაკითხვის მომდევნო დღეს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებმა საგზაო პოლიციის ახლა უკვე ყოფილი უფროსი შალვა ოგბაიძეც დაკითხეს. იგი გენერალურ პროკურატურაში მოწმის სტატუსით დაიბარეს. საუბარია 2003 წლის დეკემბრის თვეში საქართველოში 80-მდე განუბაჟებელი მანქანის შემოყვანაზე. **"2003 წლის დეკემბერში 80-მდე ავტომანქანის განუბაჟებლობის შესახებ ინფორმაცია ჩემ მიერაა მოპოვებული და გენპროკურატურას პირადად მე გადავეცი,"** – განაცხადა დაკითხვიდან გამოსულმა შალვა ოგბაიძემ.

გუშინ, დილით, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა შალვა ოგბაიძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. შს მინისტრმა თანაგუნდელის განცხადება გუშინვე დააკმაყოფილა.

**„შალვა ოგბაიძეს კანონი არ დაურღვევია; უბრალოდ, არაკონსტიტუციური ატმოსფერო შეიქმნა და ირღვეოდა გუნდურობის პრინციპი, ამიტომ მან მიიღო გადაწყვეტილება დაკავებული თანამდებობის დატოვების შესახებ",** – ასეთი კომენტარი გააკეთა გიორგი ბარამიძემ, რომლის უწყებამაც მას შემდეგ, რაც ოგბაიძე პროკურატურაში დაიბარეს, სპეციალური მოკვლევა ჩაატარა. მოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნა საგზაო პოლიციის უფროსს გაეცნო. გია ბარამიძემ და შალვა ოგბაიძემ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება გუშინწინ, გვიან ღამით, ერთად მიიღეს. გენერალური პროკურატურა უახლოეს დღეებში „ბურჯანაძე-დემოკრატების" წევრის - შალვა ოგბაიძის საქმიანობას სამართლებრივ შეფასებას მისცემს.

მეორე მაღალჩინოსანი, რომელმაც ასევე საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა, დანაშაულში ეჭვმიტანილი შსს-ს საპასპორტო და სავიზო-სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი დავით თოდუა გახლდათ. გადადგომის შესახებ განცხადება თოდუამ გუშინ შსს-ში გამართულ ტრადიციულ, ოპერატიულ თათბირზე გააკეთა. **„გენპროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამო არ მაქვს მორალური უფლება, დავრჩე დაკავებულ თანამდებობაზე,"** – ასეთი განცხადებით დაემშვიდობა სავარძელს დავით თოდუა. დავით თოდუა, რომლის გადადგომასაც გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი კატეგორიულად ითხოვდა, ოფიციალურ წერილობით განცხადებას შს მინისტრს უახლოეს ხანში წარუდგენს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, კობახიძე-თოდუა-ოგბაიძეს უახლოეს დღეებში კიდევ ერთხელ დაიბარებენ პროკურატურაში და ბრალის წაყენების შემდეგ სასამართლოს მათთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მიმართავენ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მანქანების უკანონო განბაჟების გამო აღძრულ საქმესთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებულია საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო განყოფილების უფროსი, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მფლობელი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი გელა კეტაშვილი. ვეტერან ფეხბურთელს სამართალდამცველებმა ჯერჯერობით მოწმის სტატუსი მისცეს.

გარდა საგზაო პოლიციის მაღალჩინოსნებისა, გენერალური პროკურატურა ფინანსთა სამინისტროს – საბაჟოსა და ლეგიონის – თანამდებობის პირთა დაკითხვასაც გეგმავს. სხვათა შორის, არსებული დარღვევების თაობაზე რეკომენდაციები ანტიკორუფციულმა საბჭომ რამდენიმე თვის წინ გასცა და, შსს-ს მაღალჩინოსანთა გარდა, ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც მოითხოვა.

გენერალური პროკურატურა კიდევ ერთ ახალ საქმეს გახსნის. საუბარია საგზაო დეპარტამენტის ყოფილი უფროსისა და „მეგზეველთა კავშირის`` პრეზიდენტზე ბორის სარალიძეზე. მართალია, სამართალდამცველებს სარალიძის წინააღმდეგ საქმე ჯერ არ აღუძრავთ, მაგრამ თბილისის პროკურატურა საგზაო დეპარტამენტში ბორის სარალიძის 10-წლიანი მოღვაწეობის შესახებ მოკვლეულ მასალებს კვირის ბოლოს სამართლებრივ შეფასებას აუცილებლად მისცემს. შესაბამისად, აუცილებლად დადგენა სარალიძის პასუხისმგებლობის საკითხიც.

მოკვლეულ მასალებში საუბარია საგზაო დეპარტამენტის განვითარების ფონდიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულ 16 მილიონ დოლარზე, რომელიც თბილისი-წითელი ხიდის, თბილისი-სამტრედიისა და ფოთი-ლანჩხუთის ავტომაგისტრალების რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა. წინასწარი მონაცემებით, 16-მილიონიანი კრედიტი არამიზნობრივად გაიხარჯა, თანაც დანგრეული გზები არავის შეუკეთებია. გარდა ამისა, მოკვლეულ მასალებში საუბარია საგზაო ფონდის ყოველწლიურ 2-მილიონიან შემოსავალზე, რომელიც ფონდში ტექდათვალიერების გადასახადიდან ირიცხებოდა და რომელიც გზების შეკეთებისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც თანხები დანიშნულებისამებრ არ დახარჯულა. სარალიძის კიდევ ერთი შემოსავლის წყარო რიკოთის გვირაბი იყო. წინასწარი ინფორმაციით, რიკოთის გვირაბიდან შემოსული ყოველთვიური მოგება 180 000 ათას ლარს აჭარბებდა.

პრეზიდენტ შევარდნაძის პარტიის - „მოქალაქეთა კავშირის" სახე და 2 ნოემბრის არჩევნების ერთ-ერთი წამყვანი ძალის - „მეგზეველთა კავშირის" პრეზიდენტი, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში არ იმყოფება. მან საქართველოს ტერიტორია საქმის აღძვრამდე დატოვა.

# კრიმინალური დაჯგუფების 22 წლის ლიდერს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს

*წლების განმავლობში, იმერეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სერიოზული კრიმინალური ბანდა მოქმედებდა. მათ დანაშაულებრივ სტატისტიკაში მხარეში ჩადენილი მკვლელობები, ყაჩაღობა თუ ბანდიტური თავდასხმებია. ამ ბანდიტურ დაჯგუფებებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ბონდო გიგინეიშვილის ბანდას ეჭირა. მის დაჯგუფებაში 8 წევრი შედიოდა. ისინი, ძირითადად, სამტრედიაში, წყალტუბოში, ხარაგაულსა და ხაშურში საქმიანობდნენ.*

ბექა სისაური
*ქუთაისი*

რამდენიმე დღის წინ უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ ქუთაისში გამსვლელი სასამართლო პროცესი ჩაატარა და ბანდის მეთაური ბონდო გიგინეიშვილი გაასამართლა. მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილმა გიგინეიშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა - უვადო პატიმრობა მიუსაჯა. უვადო პატიმრობა მისჯილი ბანდის მეთაური ბონდო გიგინეიშვილი 22 წლის გახლავთ, თუმცა მისი კრიმინალური ბიოგრაფია სოლიდურ დანაშაულთა ფაქტებს ითვლის. მკვლელობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და ყაჩაღური თავდასხმის ფაქტები - ეს არის იმ დანაშაულთა მოკლე ნუსხა, რომლებიც გიგინეიშვილის ბანდის წევრებმა 3 თვის განმავლობაში ჩაიდინეს.

სახელმწიფო ბრალმდებელის ჯონი სულწაძის განმარტებით, ბონდო გიგინეიშვილი წარსულში ყაჩაღობისთვის იყო ნასამართლევი და 2003 წლის გაზაფხულზე გეგუთის კოლონიიდან ვადაზე ადრე გაანთავისუფლეს. იმერეთის სამხარეო პროკურატურის მიერ დაწერილი საბრალდებო დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ გიგინეიშვილს "პროფესიის შეცვლაზე" არც უფიქრია და პირველი დანაშაულიც მალევე ჩაიდინა. ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული, ნასვამი გიგინეიშვილი გასული წლის მარტში, სამტრედიის რაიონში მდებარე დაცვის პოლიციის ჯიხურს დაესხა თავს. მან პოლიციის თანამშრომლებს ვაჟა ძნელაძესა და ლევან ნიკურაძეს, ავტომატები წაართვა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მალე თავდამსხმელის ვინაობა გაირკვა და გიგინეიშვილმა თავი ხონს, კოლონიაში გაცნობილი მეგობრის აკაკი ბახტაძის ოჯახს შეაფარა. მალე მან უფრო მძიმე დანაშაული - მკვლელობა ჩაიდინა.

**"2003 წლის 10 მაისს ხონელმა მასპინძელმა გიგინეიშვილი ნათესავის ქორწილში წაიყვანა. მათ თან ახლდნენ მეგობრები - ოთარ კოპალიანი და აკაკი ქუთათელაძე. ქორწილში აკაკი ბახტაძის ძმას - ლაშა ბახტაძეს თამადასთან უსიამოვნება შეემთხვა, რის შესახებაც მან მეგობრებს უამბო. განაწყენებულმა მეგობრებმა სუფრის სხვა წევრებთან ანგარიშსწორება გადაწყვიტეს და აღნიშნულის მიზნით იქვე მყოფ მამაკაცებს ლანძღვა-გინება და ცემა დაუწყეს. ქორწილში სიტუაცია მალე უკონტროლო გახდა,"** - აცხადებს ჯონი სულწაძე. მისივე განმარტებით, ხელჩართულ ჩხუბში ჩარევასა და მოჩხუბართა დაწყნარებას შეეცადა სტუმრად მყოფი შერმადინ ლიპარტელიანი. მან ბონდო გიგინეიშვილს ჩხუბის შეწყვეტა მოსთხოვა, რაზეც გიგინეიშვილი კიდევ უფრო გაბრაზდა და ლიპარტელიანის ცემა მოინდომა. ჩხუბში ჩაერთო ლიპარტელიანის მეუღლეც, მაგრამ გიგინეიშვილმა ლიპარტელიანის მეუღლეს "ნაგანის" სისტემის იარაღი ჩაარტყა თავში, ხოლო შერმადინს კისრის არეში ესროლა. დაჭრილი სასწრაფოდ ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისთვის მიყენებული ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. **"მკვლელობის შემდეგ დამნაშავეებმა შემთხვევის ადგილი სწრაფად დატოვეს, რადგანაც მათ დანაშაული ერთობლივად ჩაიდინეს, გადაწყვიტეს, ერთად დამალულიყვნენ, შეიარაღებული ბანდა შეექმნათ და მოსახლეობის ძარცვა დაეწყოთ. ისინი სწრაფადვე შეიარაღდნენ და გატაცებული მანქანით ხონის რაიონი დატოვეს,"** – აცხადებს სულწაძე.

ახლად შექმნილი ბანდა თავდაპირველად სამტრედიის, წყალტუბოს, ხარაგაულისა და ხაშურის საავტომობილო გზებზე ავტომობილებსა და მიკროავტობუსებს აყაჩაღებდა.

ჯონი სულწაძის განცხადებით, შერმადინ ლიპარტელიანის გარდაცვალების შემდეგ მოკლულის ძმამ, სვანური ადათის მიხედვით, სისხლის აღება გადაწყვიტა და ხატზე დაიფიცა, რომ ძმის მკვლელს ანგარიშს გაუსწორებდა. მან ფიცის შესრულება ვერ მოასწრო, რადგან გიგინეიშვილი და მისი ჯგუფის წევრები მალე დაიჭირეს; რის გამოც შერმადინ ლიპარტელიანის ძმამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

2003 წლის 1 ივნისს ბონდო გიგინეიშვილმა და მისი ბანდის წევრებმა - ლაშა ბახტაძემ და ოთარ კოპალიანმა იარაღის გამოყენებით ხაშურში ზაზა ნოზაძის ავტომანქანა გაიტაცეს, მძღოლს თავისუფლება აღუკვეთეს, თოკებით გაკოჭეს და ავტომანქანის უკანა სავარძელზე დასვეს. გატაცებული ავტომანქანა მათ მორიგი დანაშაულის ჩასადენად სჭირდებოდათ; კერძოდ, დამნაშავეებმა თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე სამტრედიიდან მომავალი ლილოს ბაზრობის სავაჭრო მიკროავტობუსების გაძარცვა განიზრახეს. შეიარაღებულმა ბოროტმოქმედებმა ნიღბები გაიკეთეს და მიკროავტობუსის გაჩერებას შეეცადნენ. მძღოლმა, რომელმაც ნიღბიანი მძარცველები დაინახა, ავტობუსი არ გააჩერა და თავდამსხმელთა ავტომობილს რამდენჯერმე დაეჯახა, რის შედეგადაც მანქანა გზის სავალი ნაწილიდან გადააგდო. დამნაშავეთა ავტომანქანა მწყობრიდან გამოვიდა. საჭირო იყო შემთხვევის ადგილის სასწრაფოდ დატოვება. ამისათვის კი დამნაშავეებმა პირველივე შემხვედრი მანქანის გატაცება გადაწყვიტეს. **"სულ მალე თბილისიდან თერჯოლის მიმართულებით მოძრავი "მერსედესის" მარკის ავტომანქანა გამოჩნდა. ყაჩაღებმა ხელოვნური ხერგილი გააკეთეს და ავტომანქანა გააჩერეს. იარაღების გამოყენებით ბოროტმოქმედებმა მგზავრებს 5 ათასი ამერიკული დოლარი, მობილური ტელეფონები, ტყავის ქურთუკი, ავტომანქანა გასტაცეს და გეზი დასავლეთისაკენ აიღეს. გზაში დარჩენილმა დაზარალებულებმა მომხდარის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინეს პოლიციას. სამართალდამცველებმა გატაცებული ავტომანქანა ზესტაფონის რაიონში, ე. წ ვაჭევის საგუშაგოსთან შეამჩნიეს. საჭესთან მჯდომი ბონდო გიგინეიშვილი პოლიციის მოთხოვნას არ დაემორჩილა, სამართალდამცველების მიერ მოწყობილი ხერგილი გაარღვია, მაგრამ საჭე ველარ დაიმორჩილა და იქვე კლდეს შეეჯახა. პოლიციამ ისინი ადგილზევე დააკავა. შეჯახების შედეგად ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა. ასევე დაიწვა მანქანაში დარჩენილი 5 ათასი დოლარიც,"** - აცხადებს სახელმწიფო ბრალმდებელი.

ბონდო გიგინეიშვილი, აკაკი და ლაშა ბახტაძეები, ოთარ კოპალიანი პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დააკავა. მოგვიანებით კი, იმერეთის საოლქო პროკურატურამ მათ ბრალი მკვლელობაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებაში, ყაჩაღობებსა და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში დასდო. გამოძიების პროცესში ისინი ხან დუმილის უფლებით სარგებლობდნენ, ხან ჩადენილს ნაწილობრივ აღიარებდნენ. საბოლოოდ კი, სასამართლო პროცესზე პროკურორმა ჯონი სულწაძემ მათთვის მკაცრი სასჯელების შეფადება მოითხოვა. მოსამართლის განაჩენით, ბონდო გიგინეიშვილს - უვადო თავისუფლების აღკვეთა, აკაკი ბახტაძეს - 13, ლაშა ბახტაძეს - 10, ხოლო ოთარ კოპალიანს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

# მეხუთე იზოლატორიდან გაქცეული "ჭაღარა" ლიკვიდირებულია

*შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა გუშინ, გამთენიისას, კიდევ ერთი ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტის კობა ლომაძის ლიკვიდაცია მოახდინეს. კობა ლომაძეს, მეტსახელად - "ჭაღარას", თითქმის ერთი წლის განმავლობაში ეძებდნენ.*

სხვადასხვა მძიმე ბრალდებით რამდენჯერმე გასამართლებული "კრიმინალური ავტორიტეტი" - "ჭაღარა" ერთი წლის წინ ორთაჭალის მეხუთე საპყრობილიდან გაიქცა. შეგახსენებთ, ეს გახლდათ პატიმართა მასიური გაქცევა, როდესაც ერთდროულად გაიხსნა მეხუთე იზოლატორის რამდენიმე კორპუსის რამდენიმე საკანი, პატიმრები სასეირნო ეზოში უპრობლემოდ გავიდნენ, იქიდან კი იზოლატორს ეზოს კედლის განგრევით აარიდეს თავი. მაშინ "ჭაღარასთან" ერთად 14 პატიმარმა დატოვა მეხუთე საპყრობილე. მათგან უმრავლესობა ე. წ. ქურდების" 42-ე საკნიდან გამოვიდა.

ხაშურელი "ჭაღარა" გუშინწინ, გვიან ღამით, რამდენიმე შეიარაღებულ ნიღბიანთან ერთად თავს დაესხა თბილისი-სენაკის საავტომობილო გზის მონაკვეთზე მოძრავ მგზავრებით სავსე ავტობუსს. თავდამსხმელებმა მგზავრები იარაღის მუქარით "გაასუფთავეს", ავტობუსიდან ჩამოვიდნენ და იქვე მდებარე ავტოგასამართი სადგურის დაყაჩაღება სცადეს. ავტოგასამართი სადგურის მფლობელი მძიმედ დაჭრეს და იმ დროს, როცა სადგურიდან "ნადავლის" გამოტანას აპირებდნენ, პოლიციელთა ალყაში აღმოჩნდნენ.

**"მათ პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლა, დაახლოებით, 10-15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. სროლის დროს ერთ-ერთი თავდამსხმელი სასიკვდილოდ დაიჭრა. ის ადგილზევე გარდაიცვალა. გარდაცვლილი საშიში დამნაშავე, კრიმინალურ სამყაროში კარგად ცნობილი კობა ლომაძე აღმოჩნდა. დანარჩენმა სამმა თავდამსხმელმა იმავე ავტომანქანით, რომლითაც მანამდე მოძრაობდნენ, გაქცევა და მიმალვა მოახერხა.**

**შემიძლია ვთქვა, რომ გაქცეულები - "ჭაღარას" თანამზრახველები - უახლოეს საათებში სამართალდამცველების ხელში აღმოჩნდებიან. მათ შესახებ გარკვეული ოპერატიული ინფორმაციები გაგვაჩნია, დადგენილია მათი ვინაობაც. რაც შეეხება, ლიკვიდირებულ კობა ლომიძეს, ის სხვა დანაშაულებშიც გახლდათ ეჭვმიტანილი. მისი პოვნა და დაკავება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ლომიძე, ანუ "ჭაღარა", სხვადასხვა ფერზე იღებავდა ხოლმე თმას და ჰაბიტუსს მუდმივად იცვლიდა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა. მისივე თქმით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ორი ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი. ერთიდან ლიკვიდირებული ისროდა, მეორე კი ერთ-ერთ გაქცეულ თავდამსხმელს ეკუთვნის. თავდამსხმელები, სავარაუდოდ, სხვა ტიპის იარაღითაც იყვნენ აღჭურვილები.

*24 საათი*

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

## ბოროტმოქმედებას მარტო არ ეწევიან

ბოროტმოქმედებას მარტო არ ეწევიან. ყოველთვის იკრიბება ხალხმრავალი გუნდები. ამ გუნდებში პროფესიონალი რეციდივისტებიც არიან, არაპროფესიონალებს პროფესიონალების გამოცდილება სჭირდებათ. მათ შორის ჰარმონიული კავშირი მყარდება. დამნაშავეთა გუნდს კი ამა თუ იმ თანამდებობის პირი თავკაცობს.

ბოროტმოქმედი სახელმწიფო მოხელე დიდხანს არის ხელუხლებელი. შეიძლება (და ძირითადად ასეც არის) იგი ისე მოკვდეს, რომ არც კი მოხდეს მისი მხილება. მხილება მაშინ ემუქრება ბოროტმოქმედ მოხელეს, თუ მოხსნეს, ან რაიმე შეეშალა. მოხსნა, როგორც წესი, ხდება არა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის მიზნით, არამედ-შურისძიების. თუ მოხელე ზემდგომ მოხელეს უსიტყვოდ ემორჩილება და თაყვანს სცემს, ის სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნებს თავის მდგომარეობას, უკანონო შემოსავლებს და მშვიდად დაასრულებს თავის კარიერას.

ყრუ მორჩილების ატმოსფეროში სახელმწიფოც ადვილად იმართება და ბოროტი საქმეც ადვილად კეთდება.

ცხოვრების ამგვარმა წესმა ყველა ჯურის რეციდივისტი, პროფესიონალი თუ არა პროფესიონალი, ერთმანეთთან დააკავშირა, ერთ მუშტად შეკრა და სოციალურ ძალად აქცია.

დაიგმო, უარყოფილი იქნა ძველი მცნება - არაიპარო. გაბატონდა სხვა ლოზუნგი, მართალია დაუწერელი, მაგრამ საზოგადოების ცნობიერებაში მტკიცედ ფესვგადგმული - იქურდე, თორემ სხვანაირად ვერ იცხოვრებ.

ამგვარად, მოხდა ზნეობრივი კატასტროფა, რაც უთუოდ გამოიწვევს ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფას, შესაძლებელია ეროვნულსაც.

საშიში ქურდობა კი არ არის, საშიშია ქურდის მიმართ მოწიწების გრძნობის გაჩენა.

საშიში ფლანგვა კი არ არის, საშიშია მფლანგველის მიმართ მოწიწების გრძნობის გაჩენა.

საშიში ქრთამი კი არ არის, საშიშია მექრთამის მიმართ მოწიწების გრძნობის გაჩენა.

ქურდსაც, მფლანგველსაც, მექრთამესაც და სხვა ამგვარ ავაზაკსაც მოევლება, მაგრამ მოწიწების გრძნობას, რომელიც მათ მიმართ გაჩნდა?

*დავით ჯაფარიძე*
*ისტორიკოსი, "კანონიერების კულტური" სასწავლო გეგმის ადაპტირების ჯგუფის წევრი.*

## უსამართლობა ბადებს კორუფციას, თუ კორუფცია ბადებს უსამართლობას?

ზაზა დათუკიშვილი
*ბათუმის მე-3 გიმნაზია*

ჩემი აზრით, უსამართლობა ბადებს კორუფციას, რადგან თუ ქვეყანაში იქნება სამართალი, მაშინ აღარ იქნება ის კორუფცია, ყველა კორუმპირებული ადამიანი დასჯილი იქნება კანონის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ყველას ექნება კორუფციაში ჩათრევის შიში. სამართლიან ქვეყანაში, რაღა თქმა უნდა, იმოქმედებს კანონი და კანონს ექნება ძალა, ამიტომაც ვერავინ ვერ გაბედავს კანონის წინააღმდეგ წასვლას.

მაგრამ, თუ ქვეყანაში იქნება უსამართლობა, კანონდამცველი დაწესებულებები არ შეასრულებენ თავის მოვალეობებს და ყველა მხოლოს თავისი ჯიბის გასქელებაზე" იზრუნებს, მაშინ, რა თქმა უნდა, ქვეყანაში წარმოიქმნება კორუფცია, მომრავლდებიან კორუმპირებული ადამიანები, ხშირად დაირღვევა კანონები, არავინ აღარ იზრუნებს თავის სამშობლოზე და ამან შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს დაშლა და შემდგომში ერის გადაგვარებაც კი.

მაგალითად, ავიღოთ ჩვენს სახელმწიფოში ბოლო წლების განმავლობაში შექმნილი ვითარება. პრეზიდენტ შევარდნაძის დროს საქართველოში დამყარდა უსამართლობა და კორუფცია. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების უმრავლესობა გახდა კორუმპირებული, ისინი ფიქრობდნენ მხოლოდ თავიანთ თავზე. მათ აინტერესებდათ მხოლოდ თავიანთი კარგად ყოფნა და უზრუნველი ცხოვრება. სახელმწიფო კი ბედის ანაბარა იყო მიტოვებული, მასზე აღარავინ ფიქრობდა, მისი ბედი აღარავის აინტერესებდა. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები განუწყვეტლის ჩადიოდნენ დანაშაულებს, მაგრამ ამ დანაშაულებებზე პასუხს არ აგებდნენ. ამ უპასუხისმგებლობამ გამოიწვია სახელმწიფოში დიდი განუკითხაობა, ქვეყანაში ძლიერ დაიძაბა მდგომარეობა. რუსეთის სახელმწიფოს აფხაზეთზე პრეტენზია გაუჩნდა და ფაქტიურად მიიტაცა კიდევაც იგი. ედუარდ შევარდნაძე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ პრეზიდენტად დარჩენილიყო, იგი ხან ამერიკას უჭერდა მხარს და ხან რუსეთს. შევარდნაძის ირგვლივ მყოფი ადამიანები მხოლოდ თანამდებობებზე დარჩენაზე ფიქრობდნენ. მათ აღარ აინტერესებდათ კანონი და სამართალი. ამ განუკითხაობის დროს აჭარას თავისი "პრეზიდენტი", ასლან აბაშიძე, გაუჩნდა. იგი არანაირ საკითხებს აღარ ათანხმებდა საქრთველოს ხელისუფლებასთან, აჭარას, როგორც უნდოდა, ისე მართავდა. აჭარაში ასლან აბაშიძის წინნაღმდეგ წასვლის ყველას ეშინოდა. იგი ყველას აპატიმრებდა, ვინც კი მის წინააღმდეგ წავიდოდა.

ამ უსამართლობისა და განუკითხაობის დროს ჩვეულებრივი მოქალაქეები ძლიერ იჩაგრებოდნენ, ხალხს პურის ფული ენატრებოდა. ამიტომ ხალხმა დაიწყო მასობრივი გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ ვეღარ გამოვიდა. ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს იმდენი დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, რომ თავს ვეღარ იმართლებდნენ. თითოეული მათგანი იყო კორუფციაში ჩათრეული და ეს უკვე ყველამ იცოდა.

ხელისუფლების გამოცვლის შემდეგ, ყველა კორუმპირებულ ადამიანს შიში გაუჩნდა, ზოგიერთი მათგანი ქვეყნიდან გარბის, ზოგსაც აპატიმრებენ.

ხალხში ბედნიერად ცხოვრების ნაპერწკალმა იელვა, ყველას იმედი გაუჩნდა, რომ ეს განუკითხაობა დამთავრდებოდა, ქვეყანაში არსებული კორუფცია აღმოიფხვრებოდა და კვლავ სამართალი იბატონებდა.


ლევან ხერხეულიძის ფო...

ანა ტაბატაძე
*ვალდორფის თავისუფალი სკოლის მეათე კლასი*

**რაც - ერი, ის -ბერი**

რას მოგვიტანს ახალი ხელისუფლება?!

პირდაპირ გიპასუხებთ, რომ ხელისუფლება თოვლის ბაბუა არ არის. არც პრეზიდენტია ლაპლანდიის უფროსი და პარლამენტარები და მინისტრები კი - კეთილი სანტა კლაუსები.

დაბეჯითებით გეუბნებით, რომ არავინ არავის არაფერს არ მოუტანს, არ აჩუქებს, არ ჩაუდებს კალათაში.

მაშ ყველაფერი ჩვენით უნდა მოვიპოვოთო, იკითხავთ და აქაც პირდაპირ პასუხს გაგცემთ - დიახ!

მე ასე მასწავლეს და ასე ვიცი, რომ ცალ-ცალკე არც კარგი მთავრობა არსებობს და არც კარგი საზოგადოება, ორივე ერთად უნდა იყოს.

და კიდევ ისიც მასწავლეს, რომ არასდროს არ ჩავთვალო რომ მე ცუდის ღირსი ვარ.

ვიყოთ ღირსეულები და მთავრობაც ღირსეული იქნება.

# წერილები მთავრობას

## რატომ არ სწავლობენ ბავშვები?

ელისო გორგოძე
სალომე გურგენიძე
*57-ე სკოლის მოსწავლე*

ამბობენ, არიან იმ კატეგორიის მასწავლებლები, რომლებიც ქრთამის გარეშე ნიშანს არ წერენ. მაგალითად, სკოლაში სწავლობდა ბავშვი, რომელიც მეცხრე კლასიდან გადიოდა, მას არც ისე კარგი ნიშნები ჰქონდა. მისმა მშობელმა მასწავლებელს აჩუქა ძვირფასი ნივთი და მასწავლებელმაც დაუწერა კარგი ნიშნები. ეს ჩემი აზრით, კორუფციაა და უნდა დაისაჯოს, როგორც ქრთამის ამღები, ასევე მიმცემიც.

ბავშვებს სწავლაზე გული აქვთ აცრუებული, რადგან დღევანდელ საქართველოში ნასწავლი ხალხიც ხელგაწვდილი მათხოვრობს, ზოგი თოთხმეტლარიანი პენსიის მოლოდინშია, ზოგიერთი უცოდინარი კი მაღალი თანამდებობის პირია.

მართალია, ბავშვების ნაწილი ვერ სწავლობს იმის გამო, რომ პროგრამები გადატვირთულია. ზოგიერთი სახელმძღვანელო კი, ისე გაურკვევლად არის დაწერილი, რომ ნაგავსაყრელზეა გადასაგდები.

ყოველ დღე შვიდი გაკვეთილის სწავლა იოლი არ არის. ჩვენ, ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებლები გვეხვეწებიან, დარჩით და გამეცადინებთო, რა თქმა უნდა, გადასახადის გარეშე, მაგრამ ჩვენ ისე ვიღლებით ამდენი გაკვეთილით, რომ ერთი სული გვაქვს სახლში როდის მივალთ.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კლასში ორმოცამდე ბავშვი ზის იმიტომ, რომ მასწავლებლებს იმ მინიმალურ ხელფასსაც ვერ უხდიან და უნდა შეამცირონ. ამით კი ბავშვების განათლება ზარალდება, რადგან ბავშვი ფიქრობს: "ორმოციდან რაღა მე გამიძახებსო?"

განათლების სამინისტრომ სასწრაფოდ რაღაც ზომები უნდა მიიღოს.

თამარ მეზონია
*მე-60 სკოლა*

უსამართლობა ბადებს კორუფციას, თუ კორუფცია ბადებს უსამართლობას?ამ შეკითხვაზე ძალაუნებურად გამახსენდა ცნობილი თავსატეხი: ჯერ ქათამი შეიქმნა, თუ კვერცხი?

როგორ გაჩნდებოდა კორუფცია, რომ არ ყოფილიყო უსამართლობა? სამართლიან ქვეყანაში სამართლიანი უნდა იყოს ყველა და ყველაფერი, მაგრამ განა კორუფციაც თავის მხრივ არ ქმნის უსამართლობას?

ვფიქრობ, არავისთვის არ უნდა იყოს ახალი ამბავი, რომ საქართველოში სიმართლე დიდად არ ფასობს. უამრავი ადამიანი, სხვადასხვა მიზეზების გამო სიმართლეს ზურგს აქცევს და აკეთებს რაიმე არაკანონიერს, უსამართლობას სჩადის.

დღეისათვის სიმართლემ დაკარგა თავისი ფასი, მნიშვნელობა. გავიხსენოთ, განა ამას გვიანდერძებდნენ ჩვენი დიადი წინაპრები? დღეს საქართველოში უსამართლობა მეფობს.

მაინც რომელია სწორი? უსამართლობა ბადებს კორუფციას, თუ კორუფცია ბადებს უსამართლობას? წარმოიდგინეთ, რომ უდანაშაულო ადამიანს დააბრალეს დანაშაულის ჩადენა. ცილისმწამებელმა იცის, რომ ქვეყანაში უსამართლობას ფესვები ღრმად აქვს გადგმული, იცის, რომ არ დაისჯება, ამიტომ ქრთამავს მოსამართლეს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცის ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ბრალდებულს დამნაშავედ აცხადებს. თავისთავად კორუფციაა: მოსამართლემ ქრთამი აიღო – იგი კორუმპირებულია. რატომ აიღო ქრთამი? შეიძლება მატერიალურად უჭირს, ან ფიქრობს, რომ ზედმეტი ფული არ აწყენს. ასეა თუ ისე, მან იცის, რომ არ დაისჯება. რატომ არ დაისჯება? იმიტომ რომ ყველგან უსამართლობაა. აქედან დასკვნა : უსამართლობამ წარმოშვა კორუფცია.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბრალდებულს, რომელიც დამნაშავედ გამოაცხადეს. ის ხომ უდანაშაულოა, მაგრამ იმის გამო, რომ მოსამართლე კორუმპირებულია, იგი დაადანაშაულეს, მის მიმართ ჩადენილია უსამართლობა. დასკვნა: კორუფციამ შვა უსამართლობა.

გულახდილად რომ ვთქვა, ჩვენ თითქმის ყველანი კორუმპირებულები ვართ, მეტნაკლებად. მეტიც, ზოგჯერ კორუმპირებულები არიან კორუფციასთან მებრძოლებიც. საერთო ჯამში, ძნელია იმის თქმა, რომელი რომელს ბადებს. რომ არ ყოფილიყო უსამართლობა, არ იქნებოდა კორუფცია. სადაც არის კორუფცია, იქ არის უსამართლობა.

ჩემი აზრით, კორუფცია უბრალოდ უსამართლობის ერთ-ერთი გამოვლენა, მისი ერთ-ერთი სახეობაა. ჩვენ უკვე ისე ვართ მიჩვეულები, რომ თუ ამით რაიმე დიდი არ დაშავდა, ვერც კი ვამჩნევთ რომ კორუფციის ფაქტს შევეჯახეთ.

თუმცა, მგონი თემას გადავუხვიე, ამიტომ ვუბრუნდები თავდაპირველ საკითხს. უსამართლობა ბადებს კორუფციას, თუ კორუფცია – უსამართლობას.

შეიძლება საკითხის სხვანაირად დასმაც. ჯერ კორუფცია შეიქმნა, თუ უსამართლობა. აქ დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ თავი და თავი მაინც უსამართლობაა.

მაგდა რაინდაული
*თელავის საშუალო სკოლა*

სასახლის ეზოში, რომელიც მდინარის პირას წამოჭიმულა და რომელიც ყველა სხვა სახლს ჩრდილავს, შევიდა მინებჩამუქებული "კაბრიოლეტი". უკვე ბნელა, მაგრამ მაინც კარგად ჩანს ეზოს კარებთან წამოჭიმული შავებში ჩაცმული დარაჯი, რომელიც მანქანას დიდი მოწიწებით უღებს კარს. მანქანიდან შავებში ჩაცმული, ღიპიანი კაცი გადმოდის, რომელიც შიშით აცეცებს თვალებს, ვინმე არ იყოს ჩასაფრებულიო, უკან დაცვა მოჰყვება. ის სახლში შედის. გზადაგზა მოსამსახურეები ხვდებიან, რომლებიც თავის დაკვრითა და "ბატონოს" ძახილით, თანდათან ხდიან, ჯერ პიჯაკს, მერე შარფს და ქუდს, ბოლოს კი ხელში ჩაბღუჯულ ჯოხსართმევენ. იგი ქოშინ-ქოშინით ადის კიბეებზე და შედის უზარმაზარ შავ ოთახში, რომლებსაც თითქოს რაღაც ჭუჭყის, შავბნელი საქმეების და კორუფციის სუნი ასდის. მოსამსახურე შემოდის და ერთ ჭიქა მარტინის მიართმევს. შავ მოხერხებულ სკამში ჯდება და ღრმა ფიქრებში იძირება. ეტყობა ჯერ ცოლი და ბავშვები "დისნეილენდიდან" არ დაბრუნებულან, რადგან მამასთან მისასალმებლად ჯერ არ შეურბენიათ. მისი ფიქრები ცოლის ჩაცმულობასაც მისწვდა, ნეტავ რა აცვია. მას ხომ ტანსაცმლით აქვს კარადა სავსე, მაგრამ ყოველდღე ახალ-ახალს ითხოვს. ახლა პირველი ცოლი ჰყავს გადაკიდებული, გინდა თუ არა მამაჩემისგან რომ ისესხე, ის გადამიხადეო. და აი, მისი ფიქრები კვლავ ფულს შეეხო. მისთვის ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ფული დგას. იგი ყოველთვის იმეორებდა, ფული იყოს და რა მნიშვნელობა აქვს ჭუჭყიანია თუ სუფთა. მას ხომ რამდენიმე მსხვილი ფირმიდან და ასევე პოლიციიდან ყოველდღე ასობით დოლარი შესდის. იგი უფრო ღრმად ჩაიძირა ფიქრებში და წარმოიდგინა ხვალ, როგორ შეუვიდოდა ფული. ნეტავ საიდან? ნუთუ სათვალავი აერია. გუშინ ხომ ყველაფერი აწონ-დაწონა. არა, ნამდვილად პოლიციიდან უნდა შემოსულიყო. მას სახეზე კმაყოფილება ეხატება, იღებს ას დოლარიან სიგარას და აბოლებს. ამ დროს ოთახში ფოსტა შემოაქვთ. პირველივე გვერდზე მისი სურათი და წარწერა "კორუმპირებული ჩინოვნიკი იძებნება პოლიციის მიერ". კაცს სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა, გაზეთი მაგიდაზე დაახეთქა და გაიფიქრა, რომ გაზეთები ყველაფერს იგონებდნენ, რომ პოპულარული გახდნენ. მას ვერავინ ვერ დაიჭერდა, პოლიცია ხომ მის ხელში იყო.

სწორედ ზემოთ მოყვანილია მაგალითი იმისა, თუ როგორ თარეშობს კორუფცია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოში. კორუფცია ძირს უთხრის და ანადგურებს ქვეყანას. მე შემიძლია ქვეყანა შევადარო ხეს, რომელსაც ჭიები ფესვებში ჩაუჯდა და ნელ-ნელა ანადგურებს. ყველა ჩვენგანის ვალია, რომ კორუფციის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ.

ნინო მაისურაძე
*მე-60 სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

დღეს საქართველოში ძირითადი პრობლემა დანაშაულელებრივი სამყარო, ქუჩაა.

ის დანაშაულებები, რომლებიც უპატრონო მოხეტიალე ბავშვებს შორის იჩენს თავს, საფრთხეს უქმნის არა მარტო ამ ბავშვებს, არამედ ჩვენც-მოსახლეობას.

თავად ამ ბავშვებისთვის სასტიკ სამყაროს ცხოვრებისეული დაღი დაუსვამს.

ეს ადამიანები მოკლებულნი არიან ყოველგვარ უფლებებს და ცხოვრების საშუალებებს.

სწორედ ამიტომ უმეტესობა ამ ბავშვებისა გამოქცეულა სახლიდან და "ქუჩისთვის" შეუფარებია თავი.

ამის მიზეზი შეიძლება იყოს თუნდაც მშობლების მიერ ფიზიკური შეურაცხყოფა, ან ემოციური ზეწოლა.

ბავშვების მეორე ნაწილი მშობლებმა მიატოვეს და უპატრონო ბავშვთა სახლებს მიაბარეს.

ალბათ იკითხავთ, თუ ბავშვები მშობლებმა ბავშვთა სახლებს მიაბარეს, მაშინ რატომ აღმოჩნდნენ ქუჩაში.

ამის მიზეზი ბავშვთა სახლებში შექმნილი მდგომარეობაა.

თავად ბავშვებმა უპატრონოთა სახლებში შექმნეს კანონი, ჯუნგლების კანონი "გადარჩება მხოლოდ ძლიერი". აქ არ არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ან ფულისათვის, მაგრამ იბრძვიან ზედმეტი ლუკმისა და სათამაშოსთვის.

უმეტესობა ბავშვებისა გარბის ბავშვთა სახლებიდან. ზოგს ამაში უფროსი და-ძმა ეხმარება.

აი, ამ გზითაც ხვდებიან ბავშვები ქუჩაში. იქ კი ... ისინი იწყებენ ქურდობას, მათხოვრობას. უმეტესობა გოგონებისა ხელს მიჰყოფს პროსტიტუციას და ასე, თითოეული მათგანი ხდება დანაშაულებრივი სამყაროს სრულფასოვანი წევრი.

ამით მათი წამება არ მთავრდება.

ამას ემატება კორუმპირებული პოლიციელები, რომლებიც ძალდატანებით ართმევენ ბავშვებს ნაშოვნ ფულს, სცემენ და ასე გრძელდება მანამ, სანამ ბავშვი რეგულარულად არ დაიწყებს ფულის ჩაბარებას პოლიციელისთვის, ასე ვთქვათ, "ხარკის სახით".

ამ საქმეს აუცილებლად უნდა მიხედოს მთავრობამ და თუ არა, მაშინ თავად მოსახლეობამ.

უნდა შეიქმნას სპეციალური დაწესებულებები, სადაც ეს ბავშვები შეძლებენ თავისი დადაღული ცხოვრების კორექტირებას.

მთავარი როლი ამ საქმეში უნდა შეასრულოს მასმედიამ. უნდა გამოქვეყნდეს რაც შეიძლება მეტი სტატია, ამ მეტად აქტუალური თემის შესახებ, რათა როგორმე შევძლოთ ამ პრობლემის გადაწყვეტა..

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა
დანართის შემდეგი ნომერი გამოვა 16 მარტს.

# როგორც "ელ პაისი" და "რეპორტა"

## რისთვის გასცემს პრემიებს ბუცერიუსის ფონდი

A1 გვერდიდან

- "ცაიტის" ფონდი 1999 წელს, ბერლინის კედლის აღებიდან ზუსტად 10 წლის თავზე დაფუძნდა. ეს ფონდი დაარსებულია ადენაუერის პარტიის წევრის, გერდ ბუცერიუსის მიერ. ის იყო გაზეთების - "ცაიტისა" და "სტერნის" დამფუძნებელიც და მის დაბადების დღეს, 19 მაისს, ყოველწლიურად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი გაზეთებისთვის ამ ფონდის პრემია გაიცემა.

ფონდი პირველად 1971 წელს შეიქმნა. იმ პერიოდში ფონდის ფუნქცია გერმანიის ტერიტორიაზე ახლადფეხადგმული პრესის დახმარება იყო. 1999 წლიდან კი ამგვარი დახმარება აღმოსავლეთ ევროპის პრესაზეც გავრცელდა.

**- რას ნიშნავს ეს ჯილდო და როგორ წარიმართება პრემიის მფლობელთა შემდგომი ურთიერთობები ფონდთან?**

- უპირველესად, ჯილდო გაზეთის მიმართ პატივისცემას, თანადგომას და დახმარებას ნიშნავს. მეორე მხრივ, ჩვენი ფონდისთვის 19 მაისი ძალზე მნიშვნელოვანი დღეა - გერდ ბუცერიუსის დაბადების დღე და ამ დაბადების დღეს ჩვენ ისეთ ახალგაზრდა გაზეთებსა და ჟურნალისტებს ვუწვდით დახმარების ხელს, რომელთაც დიდი სიამოვნებით დაეხმარებოდა თავად ბუცერიუსი.

ფონდმა დიდი როლი ითამაშა გერმანიის ტერიტორიაზე ლიბერალიზმის განივითარებაში და ჩვენი დიდი სურვილია, დავეხმაროთ თავისუფალ სიტყვას. ჩვენს კონსტიტუციაში ჩაწერილია, როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი აზრის გამოთქმას. თავისუფალ სიტყვას ძალიან უჭირს თავისუფლად დარჩენა და მას დახმარება სჭირდება.

**- როგორც ცნობილია, ფონდის ფუნქციებში მხოლოდ მედიის დახმარება არ შედის.**

- დიახ, ჩვენი თანადგომა მხოლოდ საგაზეთო სივრცეს არ შეეხება. ბევრჯერ დავხმარებივართ უნივერსიტეტებსაც - გერმანიაში მოქმედი სამართლის უნივერსიტეტის სკოლა ამ ფონდის მიერ არის დაფუძნებული. სკოლების, მოსწავლეების დახმარებაც შედის ჩვენს ფუნქციებში.

გარდა ამისა, ამ ფონდის საშუალებით კალინინგრადის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ძეგლია აღდგენილი.

როგორც მოგახსენეთ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა პრესას 1999 წლიდან ვეხმარებით. მათ შორის არის ლიტვის (ვილნიუსი) გაზეთი "ვედასი", რომელმაც დიდი როლი შეასრულა მისი ქვეყნის პოლიტიკის ფორმირებაში; რუსული გაზეთები - "ობშჩაია გაზეტა," "ნოვაია გაზეტა," "ზერკალო ნედელი" და ბარნაულის "სვობოდნი კურს", რომლის პირდაპირი მისია თავისუფალი სიტყვისა და ეკონომიკის კავშირის კვლევა გახლავთ.

**- წელს რა კრიტერიუმებით შეირჩა ჩვენი გაზეთი?**

- ქართული "24 საათი" ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ წარადგინეს. ამ ფონდის თავისებური პირობა ისიც არის, რომ თავდაპირველად გაზეთს საკუთარი თავის წარდგენა არ შეუძლია, ეს აუცილებლად რომელიმე სანდო ორგანიზაციის პატრონაჟით უნდა მოხდეს. თქვენი გაზეთის მთავარი წარმდგენი ევროსაბჭო და პირადად ბატონი შვიმერი იყო. აგრეთვე ქრისტოფერ პატენი ევროკომისიიდან და ჰერ იოჰან ზემლერი.

კონკურსის დანარჩენი ლაურეატები კიდევ ოთხი გაზეთი გახდა.

პრემიის მინიჭების პირველი კრიტერიუმი გაზეთის დაფუძნების დროა; ყურადღება ექცევა, რა პერიოდშია დაფუძნებული და, ამავდროულად, ერთი წლის ისტორია მაინც უნდა ჰქონდეს.

გაზეთი, დაახლოებით, სამი მიმართულებით მაინც უნდა მუშაობდეს. არ უნდა იყოს ორიენტირებული მხოლოდ პოლიტიკაზე, ან კულტურაზე, ან სპორტზე. ნომინანტი რამდენიმე სპექტრს უნდა მოიცავდეს.

მესამე და აუცილებელი კრიტერიუმი გახლავთ დამოკიდებულება გამომცემლებსა და გაზეთში მომუშავე ჟურნალისტებს შორის. ეს დამოკიდებულება ხომ არ ემუქრება თავისუფალ სიტყვას, ხომ არ ერევა გამომცემელი, ან რომელიმე სხვა ინტერესჯგუფი მუშაობის პროცესში.

**- სამუშაო პირობები, რაც ჩვენს გაზეთში ნახეთ - საქართველოში გამონაკლისია. საშუალება გქონდათ, გაცნობოდით ჩვენი გაზეთის საკონკურსო ნომრებს. დაუსწრებლად შექმნილი შთაბეჭდილება რამდენად ემთხვევა ნანახს?**

- თუ ვითარებას კონკრეტულად არ გაეცანი, მართლაც, რთულია, გაიგო, რას წარმოადგენს და რას გთავაზობს ნომინანტი. მაგრამ, ფონდს სწორი შეფასების გამოცდილება გააჩნია. უმთავრესი ყურადღება ექცევა იმას, თუ ვის მიერ არის შემოთავაზებული კანდიდატი. ჰერ შვიმერისა და ჰერ ზემლერის შემოთავაზება უკვე ნათელი წერტილია და ინფორმაცია, რომელსაც საქართველოდან ვიღებთ, დამაჯერებელი ხდება.

რა თქმა უნდა, ჯილდოებს შორის განსხვავებები ძალიან დიდია და ეს რიგითობაში გამოიხატება. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რასაც წარმომდგენებისგან ვიღებთ და რის მიხედვითაც დაჯილდოების შესახებ ვიღებთ გადაწყვეტილებას. მხოლოდ ამის შემდეგ მოვინახულებთ დაჯილდოებულს, ვსწავლობთ სიტუაციას, სულიერ და ეკონომიკურ მდგომარეობას და მათ ურთიერთკავშირებს - მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამის ადგილზე ნახვა.

აღმოსავლეთ ევროპის თავისუფალ პრესაში, დაახლოებით, ასეთი ვითარებაა: საბჭოთა შენობის ნანგრევებში გაჩნდა წიწილა, რომელმაც ფრთები უნდა გაშალოს და სამყაროსთან კონტაქტები დაამყაროს.

**- ომის შემდგომ, 1948 წელს, როდესაც გაზეთი "ცაიტი" დაარსდა, ისიც "წიწილა" იყო. ფონდის შექმნამდე რა გზა გაიარა ამ გაზეთმა?**

- მოგეხსენებათ, ომის შემდგომ მსოფლიო გავლენის სფეროებად დაიყო. გერმანიის ერთი ნაწილი ინგლისურ სფეროში მოხვდა და სწორედ მან გასცა ლიცენზია გაზეთის დაარსების თაობაზე. გაზეთი, რა თქმა უნდა, გარკვეულ პროგრესულ პოლიტიკურ იდეებს ემსახურებოდა. თავიდან მას მემარცხენე მიმართულების გაზეთად თვლიდნენ, მაგრამ "ცაიტმა" შეძლო ამ იარლიყის ჩამოშორება და ლიბერალური მიმართულების გახდა. ამ გაზეთს საკუთარი თავისთვის ეკონომიკური საფუძვლის შექმნა არ სჭირდებოდა. მადლობა ღმერთს, დამფუძნებელს გაზეთისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევა შეეძლო.

**- რა საჭირო იყო ფონდი, თუკი "ცაიტს" ფინანსური დამოუკიდებლობის გამო პოლიტიკური ზემოქმედების საფრთხე არ ემუქრებოდა?**

- ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი გერდ ბუცერიუსი იყო. ისე, ყველა მეპატრონე 40 წლის ასაკის იყო - როგორც თქვენი დამფუძნებლები. გაზეთის ძირითადი მიზანი სულიერი მდგომარეობის გაჯანსაღება, სულიერი თავისუფლების მოპოვება იყო. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელთაც საკუთარ თავზე განიცადეს მეორე მსოფლიო ომის საშინელება და ის სულიერი მდგომარეობა, რაც ამ ომმა გერმანიაში გამოიწვია. გაზეთის უპირველესი მიზანი გერმანელთა იმ ფსიქოლოგიური მდგომარეობისგან გათავისუფლება იყო, რაც ომამდელმა დიქტატურამ და შემდგომ - ომმა შექმნა. გაზეთი ილვწოდა იმისთვის, რომ გერმანიის მიწაზე მსგავსი აღარაფერი განმეორებულიყო.

"ცაიტისთვის" ფონდი იყო დამცავი ქურქი, მფარველი ანგელოზი.



დოქტორი ალბრეხტ ფონ ქალნეინი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

**თავისუფალ სიტყვას ძალიან უჭირს თავისუფლად დარჩენა და მას დახმარება სჭირდება.**

**აღმოსავლეთ ევროპის თავისუფალი პრესა საბჭოთა შენობის ნანგრევებში გაჩენილი წიწილაა, რომელმაც ფრთები უნდა გაშალოს და სამყაროსთან კონტაქტები დაამყაროს.**

გაზეთი სამართლებრივ საფუძველზე უნდა მდგარიყო. ფონდი იყო დამატებითი წინაპირობა, რაც გაზეთს რომელიმე ძალის გავლენისგან დაიცავდა. მართლაც, ფონდმა გაზეთს ბოლომდე დამოუკიდებლად დარჩენის და თავისი ფუნქციის შესრულების საშუალება მისცა.

**- როგორც ვიცი, შემდგომ ურთიერთობებში ფონდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარტნიორულ ურთიერთობებს.**

- პირველ ეტაპზე თქვენ სხვამ წარგადგინათ. პრემიის მოპოვებით კი ხდებით თანამშრომომლობის, კორპორაციის წევრები და 2005 წლისთვის რომელიმე გაზეთის შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება გეძლევათ.

თანამშრომლობის მეორე ეტაპი ჟურნალისტების გაცვლა-გამოცვლაა, ხოლო მესამე - შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივით გავლენიან გერმანულ გაზეთებთან და საინფორმაციო სააგენტოებთან თქვენი დაკონტაქტებაა.

**- მამათქვენი - ვენდ გრაფ ფონ ქალნეინი ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. თავისი ბიოგრაფიის ამ მონაკვეთს მან მიუძღვნა წიგნი "დღიურები საქართველოზე". თქვენ რა იცით ჩვენი ქვეყნის შესახებ?**

- თქვენს ქვეყანაზე ამ წიგნით ბევრი რამ მსმენია. მეორე მსოფლიო ომის დროს მამა სხვა ტყვეებთან ერთად საბჭოთა ეტაპით მოჰყავდათ. გარკვეული წერტილიდან ტყვეებს ჩრდილოეთის და სამხრეთის მიმართულებით ანაწილებდნენ. მამისთვის შვება იყო, როდესაც ის სამხრეთის მიმართულებაში მოხვდა. ჩვენ წარმოშობით მთიელები ვართ და დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ლანდშაფტს.

ამ წიგნის საშუალებით შევიტყვე ის, რაც დღევანდელი ეპოქისთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია - საქართველო ნაწილია დიდი მსოფლიო ცივილიზაციისა. არსებობდა კოლხეთი, კოლხური კულტურა, რომელიც თქვენს ქვეყანაში მოხვედრამდე მამისთვისაც უცხო იყო (მიუხედავად იმისა, რომ ის განათლებით ხელოვნების ისტორიკოსი გახლდათ). მან აქ გაიგო უდიდესი და უძველესი ქრისტიანული კულტურული კერების არსებობის შესახებ, რაც კარგად აღწერა თავის წიგნში.

მე გვიან, 50 წლის ასაკში გაჩენილი შვილი ვარ. იმედი მაქვს, რომ მომავალ აღდგომას მამას აქ ჩამოვიყვან, რათა ნახოს ის დიდი პერსპექტივები, რაც საბჭოთა ტყვეობიდან გათავისუფლებულ ამ კულტურულ ქვეყანას გააჩნია.

**- ალბათ, რუსთავსაც აჩვენებთ, სადაც ქალაქის შექმნის გარიჟრაჟზე მუშაობდა...**

- რა თქმა უნდა. მამამ რუსული ენა იცოდა, იურიდიული განათლებაც ჰქონდა. თარჯიმნობის გარდა, რისი გაკეთებაც მას ტყვეობის დროს მოუხდა - ბუღალტერია იყო. მას ამ საქმეში არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა და თან ეს იყო მისთვის სრულიად უცნობი, საბჭოთა ბუღალტერია. ის იყო პასუხისმგებელი მთელი მასალის ბუღალტრულ აღრიცხვიანობაზე, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ასაშენებლად შემოდიოდა. მან აქ თავისი თვალით იხილა საბჭოთა კორუფცია. მაღალი ჩინოვნიკიდან დაწყებული, უბრალო ხელმძღვანელით დამთავრებული, ყველას თავისი წილი უნდა წაეღო. მამას, როგორც ბუღალტერსა და ტყვეს, არ ჰქონდა წინ აღდგომის და გაცხადების უფლება. ის ამით გაოგნებული იყო, მაგრამ თავისი მდგომარეობის გამო იძულებული იყო, ანგარიში გაეწია ამ კორუფციისთვის.

მაგრამ, როგორც კი საშუალება მიეცა, საქართველოში მოგზაურობა დაიწყო. ის ჭიათურაში ერთ-ერთ მონასტერში მოხვდა, სადაც ტაძრის წინამძღვარი დახვდა. თეთრწვერა, შავი ანაფორით შემოსილი მღვდელი, ლობიოთი, ქართული ღვინით, შოთი პურითა და ცხვრის ყველით გაუმასპინძლდა. მამა იყო პირველი ტყვე, რომელიც იმ ტაძარში მოხვდა. წიგნში ის ამბობს, რომ მამაოსთან საინტერესო საუბრები ჰქონდა.

**- თქვენ აღმოსავლეთ ევროპულ პრესაზე მუშაობთ. რა ტენდენციები შენიშნეთ ამ ქვეყნების ახლადჩამოყალიბებულ თავისუფალ მედიაში?**

- მინდა ერთ-ერთ იმ ძირითად მიზეზზეც ვისაუბრო, რისთვისაც პრემიები გაიცემა. ესპანეთში ფაშიზმის დიქტატურის დამარცხებისა და ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული გაზეთი - "ელ პაისი" აღმოცენდა. ამ ფაქტმა დანარჩენ მედიას გარკვეული სტიმული მისცა. "ელ პაისმა" დიდი როლი შეასრულა რევოლუციის საქმეში და დემოკრატიული ღირებულებების რევოლუციის შემდგომ დამკვიდრებაში.

გაზეთ "რეპორტას" პოლონეთში იგივე ფუნქციები ჰქონდა - ამ გაზეთმაც ძალზე დიდი როლი შეასრულა არა მხოლოდ რევოლუციის ჟამს, არამედ რევოლუციის შემდგომი პოლონეთის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. გაზეთმა ბევრი ილვაწა ეკონომიკასა თუ პოლიტიკაში ახალი იდეების დამკვიდრებისთვის და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოში თქვენი გაზეთიც არა მხოლოდ რევოლუციაში, არამედ შემდგომ პერიოდშიც ძალზე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული სტრუქტურების განვითარების საქმეში.



ვინდ გრაფ ფონ ქალნეინი. 1943 წელი

ფრაგმენტი ვინდ გრაფ ფონ ქალნეინის წიგნიდან "5 წელი სამხედრო ტყვედ კავკასიაში - ქართული დღიური":

**"ჩემი არყოფნის განმავლობაში რუსთავი ძალიან შეიცვალა. იქ, სადაც უწინ ტრამალი იყო, ახლა სამშენებლო მოედნებია. იქ, სადაც ცხვარს აძოვებდნენ, მიდამო გადათხრილია. ღამით ტურები შორს ჩხავიან, არწივები კი ხმაურს გაექცნენ. უზარმაზარი პროექტი ნელ-ნელა ფორმას იძენს. მისი დასრულება ხუთწლედშია გათვალისწინებული. ჯერ კიდევ უზარმაზარი სამუშაოა შესასრულებელი და საბჭოთა მეთოდის თანახმად, გეგმის ვადამდე შესრულებას უკანასკნელი ძალ-ღონით ცდილობენ. ამისთვის რუსთავში, დაახლოებით, 6000-მდე სამხედრო ტყვე, დაახლოებით, 4000 პატიმარი და ერთი-ორი ასეული დაქირვებული მუშა და მოხელეა კონცენტრირებული..."**

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991






## თეატრები

**თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
"დონ ჟუანი"
ოპერა ორ მოქმედებად
დირიჟორი: ზაზა კალმახელიძე
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**"სახიობა"**
ლაშა თაბუკაშვილი
"ჭრილობა"
რეჟისორი: გ. კახელი
დას: 17:00 სთ.

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ესტრადაზე არიან პატარა ვირტუოზები
დას: 17:00 სთ.

## გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ნატა ჩაჩუას პერსონალური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

დამსახურებული მხატვრის ავთო მოსიაშვილის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა

**N გალერეა**
ფოტოსააგენტო "პატკერფოტოს" ფოტოგამოფენა

**TMS**
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
კახა ზარნაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა
(ცივი იარაღი, აქსესუარები)

**"ორიენტი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა
გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# შთაბეჭდილებები მთიდან

### "ნიამორის" აკორდები გალერეაშიც ჟღერს

ვერა ნეფარიძე

*სულაც არაა საჭირო, იყოთ ექსტრემალურობის მოყვარულნი, რომ გამოფენამ, რომელიც გალერეა "უნივერსში" მიმდინარეობს, დაგაინტერესოთ. ამისათვის საკმარისია, გიყვარდეთ მთა. ხოლო, თუკი სიყვარულის მიუხედავად, ვერ ახერხებთ ხეტიალს, მაშინ მით უმეტეს ღირს ამ გალერეაში შევლა – ფოტოექსპოზიცია ნაწილობრივ მაინც დაგიკმაყოფილებთ მთაში ასვლის დაუოკებელ სურვილს. თუმცა, დიდია "საშიშროება", რომ სურვილის დაოკების მაგივრად, ფოტოგამოფენამ თქვენზე საპირისპირო შედეგი გამოიღოს.*

გამოფენა "უნივერსში" სამთოსათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების პირველი ფესტივალის ფარგლებში გაიხსნა. ფესტივალი ხვალ კინოს სახლში გამარჯვებული ფილმების დაჯილდოებით დასრულდება.

ფესტივალი, რომელიც ახალგაზრდა არასამთავრობო ორგანიზაცია "კასტირიონის" პირმშოა, ცხრამეტ იანვარს დაიწყო. ორგანიზატორები გამოუცდელობას მიაწერენ, რომ "ნიამორი" ამჯერად ეტაპობრივი გამოვიდა და ფესტივალში გაერთიანებული ღონისძიებები აქციების სახით გაიმართა. რადგანაც არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ჯერჯერობით გრანტი არავის მიუცია, "კასტირიონმა" მეგობრების დახმარებით შეძლო ფესტივალის ორგანიზება. საწყის ეტაპზე ტელეკომპანია "იბერიას" ეთერის დახმარებით გაირკვა კონკურს-ფესტივალში მონაწილე ფილმებიდან რომელი გახდებოდა მაყურებლის სიმპათია; შემდეგ, თებერვლის პირველ ნახევარში კინოს სახლმა უმასპინძლა ფესტივალის ნომინაციებში გასული თერთმეტი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური კინონამუშევრის ჩვენებას. ხვალ კი მეგობარი-პარტნიორების დაწესებულ პრიზებს (რომელიც ფესტივალის ტრადიციული ჯილდოები იქნება) გამარჯვებული ფილმების ავტორებს გადასცემენ. ფილმებს შეარჩევს ფესტივალის ხუთკაციანი ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც არიან: კინოოპერატორი გივი მელქაძე, "ჰებერტის ფონდის" წარმომადგენელი ია თიკანაძე, სპორტული ჟურნალისტი ალეკო ჯიბლაძე, რეჟისორი ირაკლი ღლონტი და ცნობილი მწერალი დათო ტურაშვილი. ჟიურის საპატიო თავმჯდომარე კი სპორტის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი მეძმარიაშვილია.


*გამოფენაზე*

"ნიამორის იდეა მოსკოვში მიმდინარე სამთო ფილმების ფესტივალის – "ვერტიკალის" ზეგავლენით დაიბადა. წელს ჩვენს ფესტივალზე 1993-2003 წლებში გადაღებული ფილმები მონაწილეობდნენ. სამომავლოდ ამ ფილმებს "გავცხრილავთ" და შევეცდებით უფრო ბოლო წლებში შექმნილი სურათები ვაჩვენოთ", - ფესტივალის შექმნის იდეასა და სამომავლო გეგმებზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაცია "კასტირიონის" წარმომადგენელი თამარ ჯიშკარიანი.

მოგვიანებით გაჩნდა გამოფენის იდეაც. ფოტოგამოფენის მოსაწყობად ორგანიზაცია "კასტირიონს" დამატებითი მხარდაჭერების ძიება მოუხდა. ერთ-ერთი მათგანი გაზეთი "24 საათიცაა" (გაზეთმა გამოფენაზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ნამუშევრების დამზადება უზრუნველყო). ფოტოექსპოზიციაში გაერთიანებულია პროფესიონალთა სამი თაობა. აქ ნახავთ ცნობილი ფოტოგრაფის გურამ თიკანაძის, ძირითადად, შავ-თეთრ ფოტოებს, ბენო ქაშაკაშვილის, ბიძინა გუჯაბიძისა და გელა ოთარაშვილის მთაში გატარებული ცხოვრების ამსახველ კადრებს; მაგრამ, არანაკლებ საინტერესოა ახალგაზრდა ფოტოგრაფების (ლევან ჩიქოვანი, კოტე გუჯაბიძე, თათა ათანელი, ნინი ალავიძე) საკმაოდ ლამაზი სურათებიც.

"მე პირადად ძალიან სპონტანურად შევარჩიე ფოტოები. 10-15 წუთში ხელში რაც მომხვდა, ის გამოვიტანე. მოკლედ, ვერ შევხვდი მომზადებული ამ გამოფენას", - გვითხრა ანდებიდან ახლადდაბრუნებულმა ცნობილმა ალპინისტმა ბიძინა გუჯაბიძემ. სახელდახელოდ შერჩეულ ნამუშევრებში კი აღმოჩნდა ცნობილი ალპინისტის: "ევერესტი - ლჰოცზე", "ტიან-შანი", "ტრიუმფალური თაღი" და კიდევ რამდენიმე ფოტო. სამომავლოდ ფესტივალის ორგანიზატორები ამ ფოტოებით კატალოგის გამოცემასაც ფიქრობენ.

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს 4 მარტს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილი ციკლით "ახალი განზომილება" წარმოგიდგენთ სტუმარს, ლაშა ბაქრაძეს. თემა – რას ნიშნავს ევროპა.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

# დიდი ვალსი პატარა ბალერინებისთვის

### ანუ პრიორიტეტი ცეკვავს...

ნათია ვადაჭკორია

ერთი, ორი, სამი... იოჰან შტრაუსის "დიდი ვალსი" იწყება. თუმცა, მანამდე, ოპერის სცენაზე გამართულ საღამოზე, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ქორეოგრაფის ჯორჯ ბალანჩინის 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა, თავდაპირველად, პიანისტი, კომპოზიტორი და დირიჟორი ჯარჯი ბალანჩივაძე გამოდის და საღამოს იუმორისტული შესავალიც იწყება. პიანისტი ორკესტრის ჩვეულ ადგილას მდგარ როიალს უახლოვდება, ჯერ ინსტრუმენტის თავსახურს მოისვრის სადღაც, შემდეგ თავად ინსტრუმენტს აქეთ-იქით გააგორ-გამოაგორებს და ბოლოს დასაკრავად მოემზადება, დაინტრიგებული მაყურებელიც სულგანაბული უცდის მუსიკის ჰანგების გაჟღერებას (მსგავსი ფანტაზიები ოპერის სცენაზე ყოველდღე ხომ არ ხდება), მაგრამ ბგერების ჩამიჩუმიც არ ისმის. მოთმინება დაკარგული პუბლიკა აპლოდისმენტებს დააგრიალებს. მხოლოდ ამის შემდეგ "გვეშველა" და ჯარჯი ბალანჩივაძის მიერ, საკუთარი იმპროვიზაციებით შესრულებული შტრაუსის მუსიკა მოვისმინეთ.

ამ იუმორისტული შესავალის შემდეგ, იოჰან შტრაუსის "დიდი ვალსის" შესასრულებლად, ქორეოგრაფიული სასწავლებლის მეორე და მესამე კურსის 24 მოსწავლე გამოდის. მხატვარ ანა კალატოზიშვილის მიერ შესრულებულ, შესაშურად ლამაზ და ჰაეროვან კოსტიუმებში გამოწყობილი, მაესტრო ბალანჩინის მუზები გამოდიან და ვალსის ცეკვას იწყებენ. მუზები, რომლებიც მაესტროს წარმოსახვაში არსებობენ, ფერადი მოზაიკის პრინციპით, სცენაზე სხვადასხვა კომპოზიციებს ქმნიან. შტრაუსის უკვდავი კლასიკის შემსრულებლებს ერთგვარი "მოწინააღმდეგეც" გამოუჩნდება სათვალეებიანი ბებიის სახით (მსახიობი მარი კიტია), რომელიც კლასიკური ბალეტის წინააღმდეგია და ვალსის შესრულებას "კანკანის" ფორმით იწყებს. ბებიას ამ აზრის მოხვევა პატარა ბალერინებისთვის სურს, თუმცა არაფერი გამოსდის და ყველასგან მიტოვებული რჩება, მართლაც, კლასიკა ხომ არასდროს ხუნდება. გარდა ამისა, პატარა ბალერინებს "დიდი ვალსის" ათვისებაში ოპერის სოლისტი ირაკლი შენგელაიაც ეხმარებოდა.

აღსანიშნავია ამ საღამოს დამდგმელი ქორეოგრაფის – თამაზ ვაშაკიძის (ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი) ნაშრომი. მან ხომ თავის კოლეგას – მაესტრო ბალანჩინს ამით ერთგვარად პატივი სცა და ქედი მოუხარა. მართალია, "იუნესკომ" 2004 წელი ბალანჩინის წლად გამოაცხადა და მაესტროს 100 წლისთავი ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე აღნიშნა, მაგრამ საქართველომ და კერძოდ, უფულო, დანგრეულმა და მიტოვებულმა ქორეოგრაფიულმა სასწავლებელმა ეს მხოლოდ 29 თებერვალს შეძლო. "ასეთ გაჭირვებაში მყოფნი ამდენს ვახერხებთ და მატერიალურად გამართულები რომ ვიყოთ, წარმოიდგინეთ რას ვიზამდით" – მითხრა თამაზ ვაშაკიძემ.


*რეპეტიციაზე*

გარდა ამისა, ჩვენი საუბარი საბალეტო ხელოვნების სხვა საკითხებსაც შეეხო: "ჩემი ოცნებაა საქართველოში შეიქმნას ძლიერი საბალეტო დასი, სადაც ქორეოგრაფიულ-დამთავრებული ბავშვი მოვა". მთავარი ძლიერი დასის შექმნაა, მხოლოდ ამის მერე იბადებიან ვარსკვლავები.

საქართველოს რომ ბალეტის გენეტიკა აქვს, უდავოა, ბალანჩინი და ჭაბუკიანი, ორივე ხომ ქართველი იყო. ორივე მათგანი მსოფლიო საბალეტო სკოლის ფუძემდებელი იყო. ერთმა ამერიკულ ბალეტს ჩაუყარა საფუძველი, მეორემ – მამაკაცის ცეკვა შექმნა.

და კიდევ, ფრანსუა მიტერანის პრეზიდენტობის დროს, საფრანგეთმა ერთი წელი ცეკვის წლად გამოაცხადა. იქნებ უახლოეს მომავალში საქართველოს მთავრობასაც დაუჯდეს ჭკუაში ეს აზრი და პრიორიტეტი ცეკვას მიანიჭოს, ცეკვა ხომ ქართველი ადამიანის გენეტიკაში დევს."

რამდენადაც ცნობილია, ბალანჩივაძის იუბილეს "ჰიუსტონ-ბალეტი" მაისში აღნიშნავს, 1 ივნისს კი, ამ თარიღს "ნიუ იორკ სითი ბალეტი" გამოეხმაურება.

თამაზ ვაშაკიძეს და მის პატარა ბალერინებს იმედი აქვთ, რომ ამ ღონისძიებას მონაწილეების როლში დაესწრებიან.

მომავალ წელს კი ვახტანგ ჭაბუკიანს დაბადებიდან 95 წელი უსრულდება; ქორეოგრაფიული სასწავლებელი ამ თარიღს ღირსეულად აღნიშნავს.

## უნიკალური ხელშეკრულება

თბილისსა და რომს შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, საქართველოს მთავრობასა და თბილისის მერიაში მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო, ვერ მოხერხდა.

საქართველოს დელეგაცია, რომელსაც თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი ხელმძღვანელობდა, იტალიიდან დაბრუნდა. როგორც ოქიტაშვილმა განაცხადა, კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების სურვილი იტალიურმა მხარემ გამოთქვა. ხელშეკრულება ითვალისწინებს მსახიობებს, რეჟისორებსა და სტუდენტებს შორის გაცვლით პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ იტალიას მსგავსი ხელშეკრულება მხოლოდ საფრანგეთთან აქვს გაფორმებული.

ქართული დელეგაცია რომსა და ფლორენციაში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს, ასევე, რომის სამხატვრო აკადემიის რექტორს შეხვდა. შემუშავდა რამდენიმე პროექტი, რომელთა განხორციელებასაც ხელს უშლის ამჟამად თბილისის მერიასა და კულტურის სამინისტროში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები. ოქიტაშვილის თქმით, კულტურის სამსახურს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი შეუერთდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ამ სფეროშიც უნდა განხორციელდეს.

*მედია-ნიუსი*

## თიკა ჯამბურია სოლო-კონცერტისთვის ემზადება

12 წლის მომღერალი თიკა ჯამბურია თავის პირველ სოლოკონცერტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 16 მარტს გამართავს. როგორც ცნობილია, ეს კონცერტი საქველმოქმედო უნდა ყოფილიყო და გაყიდული ბილეთებიდან მიღებული თანხა უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს უნდა მოხმარებოდა. მაგრამ, მომღერალმა ვერ იშოვა სპონსორი, რის გამოც ეს იდეა ჩაიშალა. თიკა ჯამბურიას პროდიუსერის ნატო დუმბაძის თქმით, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს კონცერტზე დაპატიჟებენ და თავიანთ ჩანაფიქრს ასე განახორციელებენ.

თიკა ჯამბურია კონცერტზე შეასრულებს 17 სიმღერას, რომელთაგანაც შვიდი საზოგადოებისთვის უცნობია. სიმღერები კოტე ნონიკოვისა და "სანოს" სტუდიებში ჩაიწერა. სიმღერები გივი გაჩეჩილაძის ბენდთან ერთად შესრულდება.

*მედია-ნიუსი*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, გ. წერეთელის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაულ-არმეული ფილოლოგიის კათედრის გამგე, გამოჩენილი ქართველი მეცნიერი. აღმოსავლეთმცოდნე და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი

კონსტანტინე წერეთელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



# რიჩარდსმა სიკვდილი დაამარცხა

საინტერესო დასკვნები გააჟღერა პატივსაცემმა ამერიკელმა გერონტოლოგმა დევიდ დემკომ. მეცნიერმა, რომელმაც ყურადღებით შეისწავლა "როლინგ სტოუნზის" ცნობილი გიტარისტის კეიტ რიჩარდსის ცხოვრების სტილი, გამოითვალა, რომ მუსიკოსი თურმე რვა წლის გარდაცვლილი უნდა იყოს. "რიჩარდსი 52 წლის ასაკში უნდა გარდაცვლილიყო, - ამბობს დემკო, - მე თვითონ მიჭირს, ავხსნა, როგორ იცოცხლა ამდენ ხანს! ჩემს ხელთ არსებული ყველანაირი მონაცემის მიხედვით, მას, უბრალოდ, არ შეეძლო სიცოცხლე. ვერ ვხვდები, როგორ მოახერხა რიჩარდსმა ეს", - გაოცებულია მეცნიერი.

რაც შეეხება მუსიკოსს, აღმოჩნდა, რომ კეიტ რიჩარდსიც გაოგნებულია საკუთარი სიცოცხლისუნარიანობით – მიღებული ნარკოტიკებისა და მოწეული ნიკოტინის რაოდენობის მიუხედავად, იგი ხომ ცოცხალი და ენერგიულია!

მეცნიერმა დემკომ საზოგადოებას სხვა ცნობილი მუსიკოსების მოსალოდნელი აღსასრულის შესახებაც აუწყა. კერძოდ კი, მისი აზრით, ოზი ოზბორნი 65 წლამდე იცოცხლებს, უიტნი ჰიუსტონი – 59 წელს; მაიკლ ჯექსონი – 76 წლის ასაკში აღესრულება, კორტნი ლავი კი უკანასკნელ დაბადების დღეს 62-ედ აღნიშნავს. მეცნიერის მტკიცებით, ვარსკვლავებიდან ყველაზე მეტს სტინგი მიაღწევს. ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა დემკოს გათვლებით, 93 წლამდე უნდა იცოცხლოს.



# "ოსკარის" ახალი რეკორდი

ირაკლი მახარაძე

"ოქროს გლობუსი გასართობია, "ოსკარი" კი ბიზნესია". ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ მსახიობსა და რეჟისორს უორენ ბითის და მათ ჭეშმარიტებაში მხოლოდ გულუბრყვილო ან მიამიტი კაცი თუ შეიტანს ეჭვს. უკვე 76 წელია, რაც ამერიკის კინოაკადემია (ამერიკის კინოხელოვნებისა და მეცნიერების აკადემია AMPAS) აჯილდოებს რჩეულთ ამ ყველა კინემატოგრაფისათვის სანუკვარი ჯილდოთი, მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აკადემია ხშირად აჯილდოებს ისეთ ფილმებს, რომელთაც ხელოვნებასთან ცოტა რამ აქვთ საერთო.

ამჯერადაც აკადემიამ თერთმეტი ოსკარი არგუნა პიტერ ჯექსონის ფილმს "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება", უპრიანი იქნება რომ გვეთქვა, ტრილოგიის სამივე ფილმს ერთად სტუდიის სალაროში უზარმაზარი თანხების შეტანისათვის. ჰოლივუდს უწინ "ოცნებების ფაბრიკას" უწოდებდნენ, სადაც ყველა ნიჭიერ ადამიანს შეეძლო კინო-ოლიმპის დაპყრობა, სადაც იქმნებოდა მსოფლიო დონის შედევრები, დღესდღეობითაც ჰოლივუდი ისევ რჩება მსოფლიო კინოლიდერად, თუმცა ბოლო ხანებში ის უფრო მასობრივი მოხმარების საგნების გამომშვებ ფაბრიკას დაემსგავსა, რომელიც გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე. ოსკარების ნიაღვრის შემდეგ "მბრძანებლის" მოგება ერთი ორად გაიზრდება ვიდეოკასეტების, სათამაშოების და უამრავი სხვა სუვენირის ხარჯზე და როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს მოგება უფრო მეტი იქნება, ვიდრე სამივე ფილმის მიერ მოტანილი შემოსავალი. ამ შემთხვევაში მეორდება ისეთი ბლოკბასთერების ბედი, როგორიცაა "ბენ-ჰური" და "ტიტანიკი", ამ საეჭვო ღირებულების ფილმებმა 1959 და 1997 წწ 11-11 "ოსკარი" დაიმსახურეს, რამაც უამრავი კინოს მოყვარული და პროფესიონალი განაცვიფრა. მაგრამ "მბრძანებელის" მიღწევა უფრო შთამბეჭდავია იმით, რომ მან იმდენივე "ოსკარი" მიიღო, რამდენზედაც წარდგენილი იყო.

"ოსკარების" ისტორიას რომ გადაავლოთ თვალი, უამრავი ასეთივე უცნაურობების მოწმენი გახდებით: ბევრი უდიდესი რეჟისორი, მსახიობი თუ სხვა კინომოღვაწე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ "ოსკარი" არ მიუღია (ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ საპატიო "ოსკარს"), რომელი ერთი ჩამოვთვალო: ალფრედ ჰიჩქოქი, რიჩარდ ბერთონი, ჩარლი ჩაპლინი, ორსონ უელსი და მრავალი სხვა.

"ოსკარის" დაწესების იდეა 1928 წელს კინომაგნატმა ლუის ბ. მაიერმა წამოაყენა. სკულპტურის შექმნა დაავალეს კინოკომპანია "მეთრო გოლდვინ მაიერის" (MGM) მხატვარს სედრიქ გიბონს. მან პრიზის ჩანახატი ერთ-ერთი კრების დროს გააკეთა. ესკიზი მოიწონეს, უმუშევარმა მოქანდაკემ ჯორჯ სთენლიმ სამუშაო 500 დოლარად შეასრულა. ასე იაფი დაჯდა ეს 34 სანტიმეტრიანი სკულპტურა, რომლის ნათლიად, უტყუარი ცნობებით ითვლება აკადემიის ბიბლიოთეკარი მარგარეთ ჰერიქი. სკულპტურა რომ ნახა, მან წამოიძახა: "ღმერთო, როგორ ჰგავს ბიძაჩემ ოსკარს!" ერთი ჟურნალი წერდა ამის შესახებ: "რა კარგია, რომ მის ბიძას არბოგასთი არ ერქვაო!" პირველად პრესაში ეს ჯილდო "ოსკარის" სახელით 1934 წელს მოიხსენიეს.

აკადემიაში გაერთიანებულია ხუთი ათასამდე ადამიანი - ამერიკული კინოს გამოჩენილი მოღვაწეები, სულ შექმნილია 13 სხვადასხვა სექცია - რეჟისორების, სცენარისტების, მსახიობების და ა.შ. ყველა სექცია მხოლოდ თავის წარმომადგენელს აძლევს ხმას: რეჟისორები რეჟისორებს, მსახიობები მსახიობებს... ბოლოს კი ყველანი ერთად ირჩევენ წლის საუკეთესო სურათს.

"ოსკარით" დაჯილდოებაში ნურასოდეს ნუ ეძებთ რაიმე კანონზომიერებას, რადგან ხშირად წარმატება დამოკიდებულია პოლიტიკურ სიტუაციაზე, ამა თუ იმ პრეტენდენტის პიროვნულ თვისებებზე და მრავალ სხვა გარემოებაზე. პრესაში ბევრს წერდნენ სოფია კოპოლაზე, როგორც პირველ ქალ რეჟისორზე, რომელიც წარდგენილია "ოსკარზე". მისი ფილმი "თარგმანში დაკარგულნი" არის წყნარი, დინამიკას მოკლებული ფილმი, რომელიც გადაღებულია იაპონიაში და წააგავს იაპონური ჩაის მომზადების ცერემონიალს. რატომღაც კინოაკადემიკოსებმა კოპოლა ჩათვალეს "ოსკარის" ნომინაციის ღირსად, ეჭვი მაქვს, რომ აქ მთავარი როლი მისმა სახელგანთქმულმა მამამაც ითამაშა, თუმცა სოფია კოპოლას რეჟისორის ნომინაციაში ბედმა უმტყუნა, იგი მაინც დაასაჩუქრეს "ოსკარით" ორიგინალური სცენარისათვის. (შეგახსენებთ, რომ თავის დროზე საუკეთესო რეჟისორის ნომინაციისათვის ბარბრა სთრეიზანდი ბრწყინვალე დრამისათვის "მოქცევის პრინცი" არც კი წარუდგენიათ).

ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. თუ დააკვირდებით, ჰოლივუდში დიდ უპირატესობას ანიჭებენ იმ მსახიობებს, რომლებიც თამაშობენ ავადმყოფებს, ხეიბრებს, ინვალიდებს ან კიდევ მონებს. დიდ უპირატესობას ანიჭებენ აგრეთვე მსახიობებს, რომელნიც ისე არიან დამახინჯებულნი გრიმით, რომ მათ ვერც კი იცნობთ. მაგალითად, ნიქოლ ქიდმანი "საათებში" და წლევანდელი ლაურეატი შარლიზ თერონი (თუმცა მუნჯი კინოს დიდ მსახიობს, გრიმის დიდოსტატ ლონ ჩეინის, რომელიც, მგონი, თავისი ნამდვილი სახით ეკრანზე არც კი გამოჩენილა, "ოსკარი" არ ღირსებია, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან).

ძალიან გამიკვირდა, როცა მამაკაცის საუკეთესო როლისათვის "ოსკარით" დაჯილდოვდა შონ პენი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ამერიკელი მსახიობი, რომელიც თავისი ანტისაომარი გამოთქმებითა და ქცევით აღიზიანებდა ამერიკულ ისთებლიშმენტს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა.

რაც შეეხება თვით ცერემონიალს, შოუ წლიდან წლამდე უარესდება, უფრო სწორად კი იქ ახალი არაფერი ხდება და ამჯერადაც ყველაზე ნათელი წერტილი შოუს წამყვანი ბილი ქრისტალი გახლდათ.



შოუს მასპინძელი ბილი კრისტალი

REUTERS



მთავარი "ოსკარების" მფლობელი ოთხეული



რეკორდსმენი პიტერ ჯექსონი



კოპოლების ოჯახი მორიგ "ოსკარს" ზეიმობს

### "ოსკარით" დაჯილდოებულთა სრული ნუსხა (2003 წ.)

**საუკეთესო მამაკაცი მსახიობი**: შონ პენი "მისტიკური მდინარე";

**საუკეთესო მამაკაცი მსახიობი მეორეხარისხოვან როლში**: ტიმ რობინსი "მისტიკური მდინარე";

**საუკეთესო მსახიობი ქალი**: შარლიზ თერონი "მონსტრი";

**საუკეთესო მსახიობი ქალი მეორეხარისხოვან როლში**: რენე ზელვეგერი "ცივი მთა";

**საუკეთესო ანიმაციური სრულმეტრაჟიანი ფილმი**: "იპოვე ნემო", ენდრიუ სტენტონი;

**საუკეთესო მხატვრული დადგმა**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი**: "ზღვის მბრძანებელი";

**საუკეთესო კოსტიუმების დიზაინი**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**საუკეთესო რეჟისურა**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება", პიტერ ჯექსონი;

**საუკეთესო დოკუმენტური სრულმეტრაჟიანი ფილმი**: "ომის ნისლი", ეროლ მორისი და მაიკლ ვილიამსი;

**საუკეთესო დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი**: "ჩერნობილის გული", მერიენ დელიო;

**საუკეთესო მონტაჟი**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება".

**საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი**: "ბარბაროსული შემოტევა", დენის არკანი (კანადა);

**საუკეთესო მაკიაჟი**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**საუკეთესო მუსიკა (პარტიტურა)**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება", ჰოვარდ შორი;

**საუკეთესო მუსიკა (სიმღერა)**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება", Into the West, მუსიკისა და ტექსტის ავტორები: ჰოვარდ შორი, ფრენ უოლში და ენი ლენოქსი;

**საუკეთესო ფილმი**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი (ანიმაციური)**: ჰარვი კრამპეტი, ადამ ელიოტი;

**საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი**: "ორი ჯარისკაცი", ერონ შნაიდერი და ენდრიუ სექზი;

**ხმის მონტაჟი**: "ზღვის მბრძანებელი";

**ხმის მიქსინგი**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**ვიზუალური ეფექტები**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**სცენარი (ადაპტირებული)**: "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება";

**სცენარი (ორიგინალი)**: "თარგმანში დაკარგული", სოფია კოპოლა;

**საპატიო ჯიდო**: ბლეიკ ედვარდსი;

სვეტი

## კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

ცხარე ცრემლდადენილები,
გამოცხადდნენ დევნილები.

■ ■ ■

მის საქართველო - ირინა ონაშვილი
მწერალთა კავშირშიც - მაყვალა გონაშვილი.

■ ■ ■

პრალა გვეშველება.

■ ■ ■

ტყავისტუფლება თავისუფლება.

■ ■ ■

გაეროს ეგიდით ფულები შეგიდით,
წითელი ვარდებით ტყვეებად ბარდებით,

■ ■ ■

შევიცვალეთ კრიშა,
მოვიცილეთ ხანდრა,
პრეზიდენტი მიშა,
დედოფალი სანდრა.

პალატა კი ვაჭრის
ჩავაბარეთ ეროსს,
ფულს რომელიც გაჭრის
და კოტემაც წეროს.

■ ■ ■

დაბადებულნი მინდიათ,
უკვე იქამდე დავედით,
რომ ევროპისკენ მივდივართ
და აზიაში ჩავედით.

■ ■ ■

ღამით ვარსკვლავებით დროა მოჭედილი,
დღისი გადმოგვცქერის ზეცა მოწმენდილი,
რომლის მიღმაც არის ალბათ სხვა სამყარო,
კავშირს რომელთანაც ვცდილობ დავამყარო.

■ ■ ■

ხალხი არის ძირითადად მშიშრები,
იშვიათად თუ შეგხვდება მამაცი
და მანამდე დარჩებიან მშივრები,
სანამ მართავს სახელმწიფოს ზარმაცი.

■ ■ ■

თქვენ მითხარით ფული როგორ ვიშოვო,
ისე, თავი რომ არ გავიდიშოვო.

■ ■ ■

ვინმესთან რომ რამის მივალ სათხოვრად,
თავს მაშინვე ვგრძნობ საბრალო მათხოვრად.

■ ■ ■

საყვარელო მკითხველო
ჭკუა მინდა გითხელო.

■ ■ ■

ლექსები ჩემი ჰობია,
სტროფის რითმით ვარ ამკლები
და ცოტა მეტ ფულს ჯობია,
მქონდეს ცოტათი ნაკლები.

■ ■ ■

მართალია, ტაიტიზე აკულებია
და პიცუნდაში არა,
მაგრამ მთვრალი აფხაზი კრაკადილზე უარესია.

■ ■ ■

თავისუფლებაა გააზრებული აუცილებლობა.
თავისუფლებას ვერ იპოვი, თუ ვერ დაკარგე.
თავისუფლება ღმერთებს გვატოლებს.
თუ იმას ვერ ამბობ, რასაც ფიქრობ,
მაშინ იმის თქმა მოგიწევს, რასაც არ ფიქრობ.
თავისუფლება შუქნიშანია, რომლის სამივე შუქი ანთებულია,
თავისუფლება შესაძლებლობაა, გამოთქვა აზრი
სახიფათო მხოლოდ აკრძალული სიტყვაა
ლაპარაკი და წერა ყველაფრის შეიძლება, რასაც ფიქრობ,
ოღონდ ფრთხილად უნდა იფიქრო.
ჭკვიანი ხალხი სახიფათო დროს
არაფერს არ ლაპარაკობს.
მაგრამ ჭეშმარიტი თავისუფალი მაშინ ხარ
როცა არაფერი გაქვს დასაკარგი.

■ ■ ■

საცოტაობა

■ ■ ■

ის არ იქნება ურია,
ისეთი უსაქმურია.

■ ■ ■

მომავალია ნათელი,
რასაც მოელის ქართველი.
მე კი დასკვნამდე მივედი,
რომ მთავარია, იმედი.
დაღლილი უიმედობით,
მხოლოდ მომავალს ვენდობით.

■ ■ ■

ჯერაც გადაუწყვეტელი
ჩვენი აწმყო უწყვეტელი.

■ ■ ■

ვაშინგტონშიც ჩავა გმირი,
რომ ჩვენ მოგვცეს ჯამაგირი.

■ ■ ■

სოროსში შევძვერით.

■ ■ ■

გზად წერტილებმა თუ მოკლეს,
წრფე მანძილს გადის უმოკლესს.

■ ■ ■

მე როგორ მოვალ ღამის შოუში,
ყველა უნიჭო თუ შემოუშვი.

ფეხბურთი

# ვინ არის ეს პატარა კაცი?

## ალენ ჟირესი პარასკევს ჩამოფრინდება თბილისში და ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს

აკა ტონია

უკვე ხუთი თვეა, რაც ქართველი გულშემატკივარი ეროვნული ნაკრების მწვრთნელის მოლოდინშია. ალბათ, ამ გაურკვევლობას ახლა დაესმება წერტილი – როგორც იქნა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვინაობა გაირკვა.

### მიშელი აფერისტი აღმოჩნდა

ქვეყნის უპირველესი გუნდის თავკაცის პოსტზე უამრავი გვარი სახელდებოდა, თუმცა, ვითარებაც მეტისმეტად ხშირად იცვლებოდა. თითქოს გადაწყვეტილი ამბავი იყო, რომ ნაკრებს ფრანგი ანრი მიშელი ჩაუდგებოდა სათავეში. ის თბილისსაც სტუმრობდა და პირობაც დადო, რომ მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს გააფორმებდა. სფფ-ის პრეზიდენტი თავის სამუშაო ადგილს დაუბრუნდა, მაგრამ მიშელმა ზურგი გვაქცია. მიშელთან მოლაპარაკებების ჩაშლაში ფეხბურთის ფედერაციას ბრალი არ მიუძღვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი არ ხმაურდება, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ მიშელმა სულ უკანასკნელ მომენტში უარი თქვა საქართველოში მოღვაწეობაზე. თბილისში ჩამოსვლა, სფფ-სთან მოლაპარაკებები და ყველა დეტალზე შეთანხმება იყო ანრი მიშელის ტრიუკი, რომელიც მან პირადი საქმეების მოსაგვარებლად მოაწყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ პარალელურად ანრი მიშელი დონეცკის "შახტართანაც" აწარმოებდა მოლაპარაკებას. ფედერაციაში ეჭვობენ, რომ მიშელი მაროკოს "რაჯა კასაბლანკადან" წამოსვლას სულაც არ აპირებდა. მან მოლაპარაკებები წამოიწყო ქართველებთან, უკრაინელებთან და ამით მაროკოელებს დაანახა, რომ მასზე დიდი მოთხოვნილებაა. ამის შემდეგ "რაჯა კასაბლანკას" ხელმძღვანელობას, ალბათ, ხელფასის გაზრდა მოსთხოვა...

ცხადია, ამ ვერსიის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებთ, ამის შესახებ თავად მიშელთან არ გვისაუბრია, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ახლოა სიმართლესთან. ამას თავად ბაირამ თუთუმლუს რეაქციაც ადასტურებს. თურქი აგენტი თვეების განმავლობაში ცდილობდა, ჩვენი ფედერაცია ანრი მიშელის კანდიდატურაზე დაეთანხმებინა. თუთუმლუმ სანადელს მიაღწია და სარფიანი საქმის გაჩარხვიდან სულ ერთი ნაბიჯით იყო დაშორებული. ჟორდანიას გათავისუფლების შემდეგ კი, როდესაც ანრი მიშელს თავისი საბოლოო თანხმობა უნდა დაედასტურებინა, თუთუმლუს უარი სტკიცა. თურქი აგენტი თბილისში ჩამოვიდა და სფფ-ის წარმომადგენლებს ეუბნებოდა, წარმოდგენა არა მაქვს, რა დაემართა მიშელსო...

### ფულის მოყვარული ბიშოვეცი

მიშელის უარყოფითმა პასუხმა სფფ ახალი კანდიდატის ძიების აუცილებლობის წინაშე დააყენა. მერაბ ჟორდანიამ პრესკონფერენცია გამართა და დაასახელა ორი მწვრთნელი, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად გახდებოდა საქართველოს ნაკრების თავკაცი. უკრაინელი ანატოლი ბიშოვეცი და ფრანგი ალენ ჟირესი. რამდენიმე დღეში ჩვენი ვარაუდი გამართლდა და ბიშოვეცი "99 პროცენტით საქართველოს ნაკრების მწვრთნელად" გამოცხადდა.

სამწვრთნელო ასპარეზზე დიდი წარმატებებით ვერც ერთი მათგანი ვერ დაიკვეხნის, თუმცა, ბიშოვეცს ქართველი გულშემატკივრები მაინც ფრანგ ჟირესს ამჯობინებდნენ. ამიტომაც ბიშოვეცის "თითქმის დანიშვნამ" ბევრი გააწბილა.

ხომ იცით ქართველების ამბავი? – ჩვენ ამოჩემება ვიცით. სულ რომ ვარსკვლავებს წყვეტდეს ციდან, საბჭოთა აღარაფერი გვინდა, ცხადია, არც მწვრთნელი. არადა, ბიშოვეცის სამწვრთნელო დამსახურებები ცოტათი, მაგრამ მაინც აღემატება ჟირესის მიღწევებს. ფრანგს საერთოდ არაფერი მოუგია, ბიშოვეცმა კი 1988 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ოლიმპიური ოქრო მოაპოვებინა. თუმცა, ეს იყო და ეს. ბიშოვეცს მეტი არაფერი მოუგია. საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრებიდან ექვსი მატჩის ზედიზედ წაგების შემდეგ გააძევეს, ამჟამად კი პოდმოსკოვიეს "ხიმკის" ვიცე-პრეზიდენტად მუშაობს.

ბიშოვეცი ცნობილია, როგორც ამბიციური, ცუდი ხასიათის, ბოლმა ადამიანი. ის არ უყვართ მის მშობლიურ უკრაინაში. არც რუსეთში ეხატებათ გულზე. ამბობენ, რომ უსაზღვროდ უყვარს ფული და ყველა საქმეში სწორედ ფინანსურ საკითხებს უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამბობენ, მოლაპარაკებების დაწყებისთანავე ხაზგასმით ამბობს, რომ უყვარს ყვითელი ფერის ხილი, რომელსაც ლიმონი ჰქვია, შემდეგ კი სწორედ "ლიმონს" (ანუ მილიონს) მოითხოვს.

რით მოხიბლა ბიშოვეცმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია? ალბათ, თავისი ამბიციურობით, სპორტული ამბიციურობით. ერთხელ რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტს, ვიაჩესლავ კოლოსკოვს მერაბ ჟორდანიასთვის უთქვამს: "ხომ იცი, დასანანავად მძულს, მაგრამ, იცოდე, რომ ყველაზე მაგარია".

ასეა თუ ისე, ბიშოვეცის კანდიდატურა მაინც არ მიიღო საქართველომ. პროტესტი გამოთქვეს გულშემატკივრებმა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა და, თუ არ ვცდები, საქართველოს პრეზიდენტმაც.

ფედერაციამ ეს აზრი გაითვალისწინა – ბიშოვეცს უარი უთხრა, მაგრამ ეს უარი იმით არ იყო გამოწვეული, რომ ბიშოვეცმა დიდი ანაზღაურება მოითხოვა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, უკრაინელი სპეციალისტი არა "ლიმონს", არამედ 600 ათას დოლარს მოითხოვდა.

### ალენ ჟირესი ჩვენი ახალი იმედი

მას შემდეგ, რაც ბიშოვეცი დღის წესრიგიდან მოიხსნა, მერაბ ჟორდანიას მიერ დასახელებული ორი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი, ალენ ჟირესი დარჩა. ჟორდანია მოსკოვში ჩავიდა, ბიშოვეცს უარი უთხრა, შემდეგ კი პარიზში გადაფრინდა და მიშელ პლატინის შეხვდა.

სწორედ მიშელ პლატინი გახლავთ ალენ ჟირესის პროტეჟე, სწორედ პლატინიმ შეთავაზა ჟორდანიას ეს კანდიდატურა. მართალია, სამწვრთნელო ასპარეზზე მას ჯერ არაფერი მოუგია, მაგრამ, პლატინის თქმით, "ძალიან ამბიციური და კარგი სპეციალისტია". პარიზში ყოფნისას ჟორდანია უკვე შეხვდა ჟირესს და ყველაფერზე მოელაპარაკა.

სფფ-ის პრეზიდენტის თქმით, ჟირესთან უკვე ყველა დეტალი გარკვეულია და, ფაქტობრივად, ის უკვე საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელია. კონტრაქტის ფინანსური დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა, ამბობენ, რომ ჟირესი ბიშოვეცზე ნაკლებს მოითხოვს.

კონტრაქტი 2006 წლამდე გაგრძელდება. ხელშეკრულების გასაფორმებლად ჟირესი პარასკევს ჩამოფრინდება თბილისში. მასთან ერთად საქართველოში დაბრუნდება საფრანგეთში მცხოვრები გია გურულიც. სავარაუდოდ, "ლე ავრისა" და "სტრასბურგის" ყოფილი ფორვარდი ალენ ჟირესის თანაშემწე იქნება საქართველოს ნაკრებში.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ჟირესის დებიუტი შედგება 30 მარტს, მანჰაიმში, როდესაც საქართველოს ნაკრები გერმანიის ახალგაზრდულ გუნდს შეხვდება.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრებს 51 წლის ალენ ჟირესი უთავკაცებს. ქართველ გულშემატკივარს კარგად ახსოვს ეს ტანმორჩილი ვირტუოზი, რომელიც 80-იანი წლების საფრანგეთის ნაკრებში პლატინის გვერდით ბრწყინავდა.

ალენ (მეტსახელად "ჟიჟი") ჟირესი 1952 წლის 2 აგვისტოს დაიბადა საფრანგეთის ქალაქ ლანგოირანში. ამპლუით ნახევარმცველი იყო და თავისი კარიერის განმავლობაში "ბორდოს" და "მარსელის" ღირსებას იცავდა. "ბორდოს" შემადგენლობაში გახდა საფრანგეთის ჩემპიონიც. ეროვნულ ნაკრებში 47 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაიტანა. მონაწილეობდა 1982 და 1986 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. 1984 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1986 წელს მუნდიალის ბრინჯაოს პრიზიორი.

კარიერის დასრულების შემდეგ ჟირესი მწვრთნელი გახდა და "ტულუზას" ჩაუდგა სათავეში. იმხანად ეს კლუბი კარგი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, თუმცა, ჟირესის ხელმძღვანელობით 10 თამაშიდან მხოლოდ 6 ქულის მოგროვება შეძლო. "არადამაკმაყოფილებელი" შედეგების გამო ჟირესი "ტულუზიდან" გაათავისუფლეს. ცოტა ხანს წვრთნიდა "პარი სენ ჟერმენს", თუმცა, ცუდი შედეგების გამო ამ კლუბიდანაც გაუშვეს და მის ნაცვლად პორტუგალიელი არტურ ჟორჟე დანიშნეს. ჟირესი მაროკოშიც მუშაობდა – კლუბ "რაბატს" ედგა სათავეში.

ცუდი შედეგების მიუხედავად, ჟირესი მაინც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საფრანგეთის საფეხბურთო წრეებში. მას შემდეგ, რაც როჟე ლემერმა დატოვა საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტი, მის შემცვლელად სწორედ ჟირესს მოიაზრებდნენ, თუმცა, შემდეგ ფრანგებმა ჟაკ სანტინიზე გააკეთეს არჩევანი.

გასული წლის ნოემბერში ჟირესს კონგოს ნაკრების მწვრთნელის პოსტს სთავაზობდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა.

სამწვრთნელო საქმიანობაში ჟირესს, მართლაც, ბევრი აქვს დასამტკიცებელი. იმედია, ამას ის საქართველოს ნაკრებთან ერთად მოახერხებს. ასეა თუ ისე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა დაუსახა მიზნად. ჟირესის თანხმობა კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მას ჩვენი ნაკრებისა და საკუთარი თავის იმედი აქვს. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ძალიან ამბიციური და ძალიან მაგარია.



# ჩოლარია წავიდა!

მიხეილ აბაიშვილი

ვალერი ჩოლარია გადადგა! ფედერაციის აწ უკვე ყოფილმა მეორე პირმა დაადასტურა, რომ ეროვნული ნაკრები უმწვრთნელოდ აღარ არის – მომდევნო ორი წლის განმავლობაში მას ფრანგი ალენ ჟირესი უხელმძღვანელებს.

"საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია. კონტრაქტის ყველა პირობა, ყველა ნიუანსი შეთანხმებულია. ამ დღეებში ჟირესი თბილისში ჩამოვა და კონტრაქტზე ხელს მოაწერს. ჩამოსვლის ზუსტ თარიღს ვერ დაგისახელებთ. ვფიქრობ, იგი "აირზენას" პარიზი-თბილისის რეისით ჩამოფრინდება. ეს რეისი კი ორშაბათობით და პარასკეობით სრულდება. ასე რომ, შესაძლოა, ჟირესი 5 მარტს ჩამოფრინდეს, სამ დღეში ყველა საკითხი მოაგვაროს და 8 მარტს უკან გაბრუნდეს. ეს საშური საქმეცაა, რადგან 30 მარტს საქართველოს ნაკრებს გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებთან დაგეგმილი აქვს ამხანაგური მატჩი, რომელიც მანჰეიმში გაიმართება. მასპინძლებმა გვთხოვეს, რომ ყველა სტუმრის ვინაობა ვაცნობოთ. მოსამზადებელია ვიზები ფეხბურთელებისთვის", - განაცხადა ჩოლარიამ, რომელიც კმაყოფილებას არ მალავს, რომ არჩევანი ჟირესზე შეჩერდა. მისი თქმით, ალენ ჟირესი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, აშკარად მოძალებული ამბიციებით.

ამით მწვრთნელის თემა ამოიწურა და გენმდივანი გადავიდა იმ კონფლიქტზე, რომელიც საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოსა" და სფფ-ს შორის სატრანსფერო ნიადაგზე აღმოცენდა. შეგახსენებთ, რომ ფედერაციამ კიევის "დინამოში" გადასულ ამისულაშვილს გათავისუფლების ფურცლის, ანუ სატრანსფერო სერტიფიკატის გაგზავნა დაუგვიანა, რაც თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობამ კლუბის წინააღმდეგ უკანონო კამპანიის წამოწყებად მონათლა.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ჩვენი მხრიდან არავითარი უკანონო ქმედება არ განხორციელებულა. მართალია, პასუხის გაგზავნა დაგვიანდა, მაგრამ ამას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, არც მე და არც პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია თბილისში არ ვიყავით. ჩვენს გარეშე კი ამ დოკუმენტის შედგენა-გაგზავნის უფლება ფედერაციის თანამშრომლებს არა აქვთ. როგორც კი დავბრუნდი მივლინებიდან, მაშინვე გამოვითხოვე ამ ტრანსფერთან დაკავშირებული ყველა მასალა. მათი შესწავლის შემდეგ დავასკვენი, რომ ყველა საბუთი წესრიგშია. კიდევ ერთი დღე იმისთვის გახდა საჭირო, რომ, ფიფა-ს ახალი მოთხოვნის შესაბამისად, გათავისუფლების ფურცელი ეგრეთ წოდებულ "ფეხბურთელის პასპორტთან" ერთად გაგზავნილიყო. ახლა ყველა საბუთი მზად არის და, როგორც ამისულაშვილის, ისე ალექსიძის გათავისუფლების ფურცლები დღეს გაიგზავნება. დღესვე მივიღეთ მოთხოვნა ვლადიკავკაზის "ალანიადან". ოსები დარასელიას გათავისუფლების ფურცლის გაგზავნას ითხოვენ. მის კლუბთან, თბილისის "დინამოსთან" გადავამოწმებთ ამ ტრანსფერის დეტალებს და, თუ ყველაფერი წესრიგში იქნა, "ალანიასაც" გავუგზავნით შესაბამის პასუხს. რაც შეეხება დავას თბილისის "დინამოს" ძველ და ახალ ხელმძღვანელობას შორის, მიმაჩნია, რომ ეს საკითხი ღიად რჩება", - ასეთია ფედერაციის ოფიციალური პოზიცია.

"5 მარტიდან გენერალური მდივანი აღარ ვიქნები. ძალისხმევა არ დამიშურებია, ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო და მიმაჩნია, რომ ჩემი შესაძლებლობები ამ პოსტზე ამოვწურე. 55 წლის გავხდი და, დროა, ასეთ აქტიურ საქმიანობას წერტილი დავუსვა. თუმცა, ფეხბურთიდან მაინც არ მივდივარ. ჩემს მიერ დაარსებულ კახი ასათიანის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ვრჩები", - სევდიან ნოტებს შეიცავდა ჩოლარიას მონოლოგი, თუმცა, გენმდივანმა უარყო, თითქოს გული სწყდება თანამდებობის დატოვების გამო.

"ეს პირდად ჩემი არჩევანია. ჟორდანიას ცდა არ დაუკლია, რომ გადამეფიქრებინა თანამდებობის დატოვება. ამ პოსტზე ჩემი საქმიანობის შედეგებს თუ გადავხედავ, კმაყოფილებით ვივსები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ოფისი, ეროვნული ნაკრებისთვის დასავლური სტანდარტების შესაბამისი საწვრთნელი ბაზა, სატრანსპორტო საშუალებები, ფინანსური დახმარების პროგრამები – "გოლი", "გოლი-2", "ჰეთ-თრიკი", რომლებიც, ქვეყანაში განვითარებული არასტანდარტული მოვლენების მიუხედავად, არ შეფერხებულა. ყველაფერ ამის განხორციელებაში, შემიძლია ვთქვა, არცთუ მოკრძალებული წვლილი მაქვს შეტანილი. ასე რომ, საკუთარ თავთან სასაყვედურო არაფერი მაქვს", - სრულ ჰარმონიაშია საკუთარ სინდისთან ბატონი ვალერი.

აწ უკვე ყოფილი "გენსეკი" ხელცარიელი არ მიდის, უფრო სწორად, ხელცარიელი არ ტოვებს პოსტს. ვალერი ჩოლარია ახლახან დაბრუნდა მივლინებიდან. ის გახლდათ უეფას შტაბბინაში, სადაც გადაწყდა, რომ უეფას საიუბილეო თარიღთან, დაარსებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველო საიუბილეო გრანტს – 1 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს. ეს დახმარება მიზნობრივია და ჩვენს ქვეყანაში მინიფეხბურთის მოედნების მშენებლობას მოხმარდება.



*ჩოლარია გადადგა – ვინ იქნება შემდეგი?*

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ყაზახეთის მასმედიის ცნობით, საქართველოსა და ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით 2005 წლის 9 თებერვალს ალმა-ატაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 31 აგვისტოს გაიმართება. ამის მიზეზი რთული კლიმატური პირობებია. "დარწმუნებული ვარ, მომავალი წლის თებერვალში საქართველოს ნაკრების მისაღებად მზად არ ვიქნებით, – განაცხადა ყაზახეთის ნაკრების მწვრთნელმა ლეონიდ პახომოვმა, – წელიწადის ამ დროს ალმა-ატაში და, ალბათ, თბილისშიც თოვლი იქნება".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბუნდესლიგის "ბოხუმმა", რომელიც წლეულს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, კონტრაქტი გაწყვიტა ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველ სანდი ოლისესთან. ეს გადაწყვეტილება კლუბმა მას შემდეგ მიიღო, რაც ოლისემ "ჰანზასთან" შეხვედრაში, შელაპარაკების შემდეგ თანაგუნდელ ვაჰიდ ხაშემიანს თავი ჩაარტყა და ცხვირი გაუტეხა. ამასობაში "ბოხუმმა" ბუნდესლიგის ახალი რეკორდი დაამყარა. უკვე 744 წუთია, რაც კლუბს საკუთარ მინდორზე გოლი არ გაუშვია. რეკორდის ავტორი მეკარე რეინ ვან დიუიჰოვენი გახდა. წინა მიღწევა 37 წლის წინათ "კარლსრუემ" დაამყარა – 702 წუთი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი აპირებს, ინგლისის პრემიერლიგის კლუბი შეიძინოს. პოლკოვნიკის წარმომადგენლები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ისეთ ცნობილ კლუბებთან, როგორებიც არიან "ლიდსი", "ასტონ ვილა", "მანჩესტერ სიტი", "ევერტონი" და "ბოლტონი". იმის შესახებ, თუ რა თანხის გადახდას აპირებს ლიბიის ლიდერი, ცნობილი არაფერია. თუმცა, ინგლისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ იორკშირში ბაზირებული ფინანსური კონსორციუმის წარმომადგენელმა ბიზნესმენმა ჰერალდ კრასნერმა, რომელიც "ლიდს იუნაიტედის" შეძენას აპირებს, განაცხადა, რომ კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე გორდონ სტრაჩანს ეპატიჟებიან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სან-სებასტიანის "რეალ-სოსიედადის" მცველი აგუსტინ არანსაბალი გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის განმეორებით მერვედფინალურ მატჩს ფრანგული "ლიონის" წინააღმდეგ. კვირას, პრიმერადივიზიონის შეხვედრაში "ალბასეტეს" წინააღმდეგ, ფეხბურთელს ცხვირი გაუტყდა. ექიმების პროგნოზით, არანსაბალი ორი კვირით გამოვიდა მწყობრიდან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ინიაკი საესმა განაცხადა: თუ მიკელ არტეტას ეროვნულ ნაკრებში თამაში უნდა, "გლაზგო რეინჯერსი" უნდა დატოვოს. შეგახსენებთ, რომ 2002 წელს 21 წლის ფეხბურთელი "ბარსელონიდან" შოტლანდიურ კლუბში გადავიდა. არტეტას პერსონით მადრიდის "ატლეტიკო" დაინტერესდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსის" რუმინელმა ფორვარდმა ადრიან მუტუმ განაცხადა, რომ "არსენალთან" სათასო მატჩის წაგების შემდეგ კლუბის პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი გასახდელში ჩავიდა, რაც მისთვის არ არის დამახასიათებელი. "აბრამოვიჩმა თქვა: "არსენალი" თქვენზე უკეთესია. ახლა თქვენ ტიტულს ვერ მოიგებთ". მუტუმ შენიშნა, რომ აბრამოვიჩი იმედგაცრუებული იყო, მაგრამ არა განრისხებული.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტურინის "იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ უარყო ხმები იმის შესახებ, რომ ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ მას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შესთავაზა. ლიპი ტურინში მუშაობის გაგრძელებას აპირებს. "დიდი ხანია, კადაფისთან არ მისაუბრია და უახლოეს მომავალში არც ვაპირებ უცხოეთში მუშაობას", – განაცხადა ლიპიმ.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკელი ანდრე აგასი მონაწილეობას არ მიიღებს არიზონას ტურნირში Scottsdale Classic. უარის ოფიციალური მიზეზი ბარძაყის მსუბუქი ტრავმაა. თუმცა, შესაძლებელია, აგასიმ ხანმოკლე შესვენება აიღო, რათა უკეთ მოემზადოს ინდიანა-უელსისა და მაიამის მასტერსის სერიის ტურნირისთვის.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** მსოფლიო რეკორდსმენმა მარათონში პოლა რედკლიფმა პუერტო-რიკოში მიმდინარე ტურნირზე, 10 კილომეტრ დისტანციაზე სირბილში, მეორე ადგილი დაიკავა. 30 წლის სპორტსმენმა, რომელმაც ტრავმის გამო გამოტოვა პარიზის მსოფლიო ჩემპიონატი, პირველობა კენიაში დაბადებულ ჰოლანდიელ ლორნე კიპლაგატს დაუთმო. პოლა რედკლიფი აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ბარსელონის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მარტში გაიმართება. ამ ტურნირს მსოფლიო რეკორდსმენი განიხილავს, როგორც ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ეტაპს.

რაგბი

# რუსი მოდის...

## საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვანი მატჩისთვის ლეგიონერებით ივსება

პაატა თოთაძე

ოთხი დღეც და საქართველოს მორაგბეთა ნაკრები წლევანდელ სეზონში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მატჩს ჩაატარებს. რამდენიც არ უნდა ითქვას, მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვსო, რუსეთთან დაპირისპირებას სხვა დატვირთვა აქვს.

ამას მწვრთნელებიც გრძნობენ და ამიტომაცაა, რომ არჩევანი, ძირითადად, საფრანგეთში მობურთალეებზე გააკეთეს. თანაც, მათ კვალიფიკაციასაც ხომ წარმოჩენა სჭირდება, თორემ, რა გამოდის – "არაკვალიფიციური" სორელის წასვლის შემდეგ გუნდმა პორტუგალიას და ესპანეთს ვერ მოუგო. გუნდის აწყობა ხანგრძლივი პროცესია და მისი ჩამოყალიბების პერიოდში არადამაკმაყოფილებელი შედეგებისაც არ უნდა შეგვეშინდეს, მაგრამ ისეც არ უნდა მოხდეს, რომ პორტუგალიისა და ესპანეთის ძლევა სანატრელი გაგვიხდეს.

გუშინ ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა – ქართულ კლუბებში მოთამაშეებს 14 ლეგიონერი შეუერთდა. ბორჯღალოსნები, ტრადიციისამებრ, მცხეთაში დაბანაკდნენ, მეზობლად, საგურამოში კი დღეში ორჯერ ვარჯიშობენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, წინა მატჩებისგან განსხვავებით, შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. შერკინება, ორი მორაგბის გარდა, მთლიანად ლეგიონერებით დაკომპლექტდა. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბორჯღალოსანთა შორის გამოჩნდა მევლუდ მთიულიშვილი. ნაკრებს დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული პალიკო ჯიმშელაძეც, ანუ აქცენტი კვლავაც საფრანგეთში მობურთალეებზე კეთდება. რუსეთთან შესარკინებელი 22-კაციანი შემადგენლობა კი ამგვარია:

**შერკინების პირველი ხაზი** – მთიულიშვილი, ხინჩაგიშვილი, დადუნაშვილი, სუჯაშვილი, ესაკია.

**მეორე ხაზი** – ზედგენიძე, დიდებულიძე, გორგოძე

**მესამე ხაზი** – ილო მაისურაძე, ბოლაშვილი, ლაბაძე, ურუშაძე

**ნახევარმცველები** – სამხარაძე, კვირიკაშვილი, ჯიმშელაძე, ბარკალაია

**სამმეოთხედელები** - ფირფილაშვილი, ზიბზიბაძე, ანდღულაძე, გუგავა, ურჯუკაშვილი

**მცველი** – ხამაშურიძე

შემადგენლობაში მოხვედრილი ლეგიონერების გარდა, რუსეთთან მატჩისთვის გამოძახებულნი იყვნენ გრეგუარ იაშვილი, გია ჩხაიძე, სოსო ნიკოლაენკო და ლევან ჯაველიძე, თუმცა, ოთხივე მათგანი ტრავმირებულია. ძველი ტრავმები ვერ მოიშუშეს გოდერძი შველიძემ და ავქსენტი გიორგაძემ.

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, სლავები თბილისს ოპტიმალური შემადგენლობით ესტუმრებიან და ბოლო წლებში განცდილი არაერთი მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდებიან. თბილისში ჩამოსვლამდე ბოლო რეპეტიცია გამართეს რუსმა ლეგიონერებმა – სერგეევის, გრაჩოვისა და რაჩკოვის "მონტობანმა" "ბიარიცს" უმასპინძლა და 3:19 დამარცხდა. გრაჩოვი მცირე ტრავმის გამო ვერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, რაჩკოვი მატჩის მიწურულს ჩაერთო თამაშში, სერგეევმა კი 80 წუთი დაყო მოედანზე. სტუმართა შორის უკლებლივ ყველა ქულა დიმიტრი იაშვილის ანგარიშზეა – ლელო, რეალიზაცია და 4 საჯარიმო.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*საქართველოს მორაგბეთა ნაკრები თანდათან ძველ იერსახეს იძენს*

კალათბურთი

# მასტერკლასი

სანდრო ნავერიანი

4 ნომერი სამარშრუტო ტაქსი ფილარმონიისა და 51-ე საშუალო სკოლის წინ გაჩერდა. მე და იურა გადმოვედით და ვერის ბაღში, მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზისკენ წავედით. ვერის (ოდესღაც კიროვის) პარკი ის ბაღი როდია, სადაც პენსიონერები ჭადრაკს თამაშობენ, ფეხბურთის გულშემატკივრები იკრიბებიან, თბილისის "დინამოს" წარმატებას თუ წარუმატებლობას მიმოიხილავენ, მზრუნველი დედები ჩვილ ბავშვებს ასეირნებენ, ხოლო შეყვარებული წყვილები ქვევით, ტირიფებთან სხედან. არა, არა და არა! ვერის ბაღი აღარ არის გალაკტიონის და დუმბაძის მუზა; ვერის ბაღი აღარ არის ის ადგილი, სადაც შეიძლება ქალაქის კოლორიტი, ჭეშმარიტი თბილისელები ნახო, დაელაპარაკო ან სიგარეტის მოსაკიდებლად ასანთი სთხოვო. ვერის ბაღი, შეიძლება ითქვას, უცნობების ერთი დიდი "პიტომნიკია". ეს განცდა არც ჩემთვის და არც იურასთვის ახალი არ არის და ამიტომ ზედმეტი ემოციებისგან თავს ვიკავებთ.

როგორც იქნა, მივაღწიეთ კალათბურთის დარბაზამდე. შევედით. იქ კი...

იქ ახალგაზრდა, 1987 წელს დაბადებული გოგო-ბიჭები ფერად შორტებსა და თეთრ მაისურებში გამოწყობილიყვნენ (მაისურებს "24 საათის" ლოგოც ამშვენებდა) და ნოდარ ქორქიას მასტერკლასს ელოდნენ. ახალგაზრდა კალათბურთელთა ვარჯიშის სანახავად მათი დიდი თანაგუნდელებიც მოსულიყვნენ. იქვე იყო "რუსთავი 2"-ის გადამღები ჯგუფიც.

- ალბათ, დავაგვიანეთ, - სინანულით თქვა იურამ.

არ დაგვგვიანებია. თავის დროზე მივედით.

ნოდარ ქორქია, ბესიკ ლიპარტელიანი და მერაბ რატიშვილი მსაჯთა მაგიდასთან იდგნენ და ვარჯიშის დაწყებას ელოდნენ. ამ დროს სასტვენის ხმა გაისმა. ეს ნოდარ ქორქიაა. მან ძველისძველი მიკროფონი აიღო და...

...87-იანები. ასე დავარქმევ იმ ბავშვებს, რომლებისთვისაც მასტერკლასი ჩატარდა. ისინი ერთ რიგში ჩამწკრივდნენ და ბატონი ნოდარის მითითებებს ელოდნენ. მასტერკლასი რის მასტერკლასია, თეორიით რომ არ დაიწყოს?! ბატონმა ნოდარმაც იმით დაიწყო, თუ როგორი სოლიდური სახელი ჰქონდა ქართულ კალათბურთს მთელ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოში. ოსტატი, რა თქმა უნდა, ვაჟთა კალათბურთზე საუბრობდა, მაგრამ არც ქალთა მიღწევები დავიწყებია. მონოლოგის ბოლოს სამყაროს მშვენიერ ნახევარზეც გაიმეტა ორიოდე თბილი სიტყვა -საქართველოს ქალთა გუნდი მსოფლიოში ცნობილი იყოო. ამის გამგონე გოგოებს სითამამე შეემატათ.

მასტერკლასი დაიწყო.

ვარჯიში, მართლაც, საჩვენებელი, მრავალფეროვანი და თვალწარმტაცი გამოდგა. NBA-ს მატჩების ყურებას შეჩვეული კაცი 87-იანელების ვარჯიშმა იმდენად გამიტაცა, სულ დამავიწყდა, რომ საგაზეთო მასალისთვის ვიყავი მისული. გულშემატკივარი, რომელიც ტრიბუნებზე მოკალათებულიყო, ხალისით უყურებდა ყველაფერ ამას. გოგონების სუსტად ნატყორცნ ბურთებს ტრიბუნებიდან ხითხითი მოჰყვებოდა, თუმცა, არც ბიჭები იყვნენ ასპროცენტიანები – მათ მიერ ნატყორცნი ბურთების მეტი წილი მიზანს ვერ აღწევდა. ნოდარ ქორქიამ კი, როგორი ემოციითაც თეორია წაიკითხა, ისეთივე ემოციით დაიწყო ვარჯიში.

ვარჯიშები მრავალფეროვანი და მსოფლიო სტანდარტებთან მიახლოებული იყო. ნამდვილად ვერ ვიტყვი, 87-იანელები მთელი სულით და გულით ვარჯიშობდნენ-მეთქი. ქართველებს ხომ სისხლში გვაქვს "საჩკაობა"?! ბოლოს, ასე თუ ისე, ვარჯიში გახურდა და 87-იანელებიც ეშხში შევიდნენ.

ვარჯიშს ტრიბუნიდან ვადევნებდი თვალყურს. ჩემს წინ მათი გულშემატკივრები ისხდნენ. აი, აქ კი დიდი ხალისი იყო. თანატოლებს შეძახილებითა და ტაშით ამხნევებდნენ. შიგადაშიგ "ღადაობასაც" შეაპარებდნენ: - მიდი, მიდი, ოპააა! - ტანით ყველაზე პატარა გოგონამ ბურთი ფარისკენ ისროლა, მაგრამ "მალაკო" გააკეთა. ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ამას ასეთი კომენტარი გაუკეთა: - ჯობდა, ჭადრაკზე შესულიყავი. ასეთი შეძახილები ისმოდა მანამ, სანამ თავად "მასტერმა", ნოდარ ქორქიამ არ უსაყვედურა გულშემატკივრებს: - ბიჭებო, თუ არ გაინტერესებთ, გარეთ გაბრძანდით და რომ დავამთავრებთ, მერე შემობრძანდითო. ამის შემდეგ გულშემატკივრებს ხმა აღარ ამოუღიათ. ერთადერთი ეპიზოდი, როცა ტრიბუნები ახმაურდნენ, ეს მაშინ იყო, როდესაც ერთ-ერთმა 87-იანელმა "დანქი" გააკეთა (ბურთი ფარში ჩატენა). ამის მნახველმა ლიპარტელიანმა და ქორქიამაც ტაში შემოჰკრეს.

ვარჯიში დასრულდა. გუნდი ორად გაყვეს და ერთმანეთთან ათამაშეს. შედეგი მე კი არა, თავად მოთამაშეებსაც არ აინტერესებდათ. ამიტომ ანგარიშის გაგებაზე არც გავფაციცებულვარ. რაც მთავარია, მასტერკლასი ჩატარდა. ეს კი ძალიან სასარგებლოა ახალი თაობის კალათბურთელთათვის.

ასეთი ვარჯიშები სისტემატურ სახეს მიიღებს და ყოველი თვის ბოლო კვირა დღეს ჩატარდება. ასევე ჩატარდება რაიონებშიც, რომელსაც შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს რაიონული კალათბურთის განვითარებისთვის. მომდევნო მასტერკლასი 1988 წელს დაბადებული ბავშვებისთვის ჩატარდება.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ნოდარ ქორქიამ ბავშვები დამოძღვრა*

ჭიდაობა

# ბერძნულ-რომაული შვიდეულის მოლოდინში

ბიჭა ბურასაშვილი

ოლიმპიურ სახეობებში ასეთი მდგომარეობაა: ფედერაციები ათენის ოლიმპიურ თამაშებზე გასამგზავრებელ საგზურებზე აკეთებენ აქცენტს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რანგის ჩემპიონატზე, იქ, სადაც საოლიმპიადო საგზურები თამაშდება, პროგრამა მინიმუმი სწორედ მათი დაუფლებაა. კარგია, თუ საგზურებს თან მედლებსაც დაურთავენ, მაგრამ უმთავრესი ასპარეზობის წინ ზედმეტად თავის მოკვლაც, ალბათ, არ უნდა ღირდეს, რადგან ტრავმების ალბათობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. საუბარია ბერძენ-რომაელთა სამკაციან ნაკრებზე, რომელიც ნოვი სადში (სერბია და მონტენეგრო) ათენის ოლიმპიური თამაშების პირველ საკვალიფიკაციო ასპარეზობაზე გამოდის.

შარშან საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით და ოთხი ლიცენზიით დაბრუნდა. გუნდი რომ სრულად დაკომპლექტებულიყო, საჭირო იყო კიდევ სამი საგზური. სწორედ ამ დანაკლისის ასანაზღაურებლად გაემგზავრნენ ნოვი სადში ირაკლი ჭოჭუა (55კგ), ბადრი ხასაია (74კგ) და მირიან გიორგაძე (მძიმე წონა).

ვიდრე სამკაციანი ნაკრები სერბეთში გაემგზავრებოდა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ დაგვაიმედა: მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრება საკმაოდ წარმომადგენლობითია, ულიცენზიოდ არ დავრჩებით. თუ რომელიმე მათგანს ხელი მოეცარა (თუ ვინმეს კენჭისყრისას არ გაუმართლებდა), ტაშკენტში, მეორე საკვალიფიკაციო ტურნირზე (13-14 მარტი) მიეცემათ შანსიო.

"ვოივოდინას" სპორტისა და ბიზნესის ცენტრში საქმე კარგად მიდიოდა. კენჭისყრაში სამივეს გაუმართლა და აშკარა იყო, ლიცენზიების აღება არ გაგვიჭირდებოდა. დარჩიას ნათქვამიც მართლდებოდა. ირაკლი ჭოჭუამ და მირიან გიორგაძემ პროგრამა მინიმუმი პირნათლად შეასრულეს – სამ-სამი ორთაბრძოლა მოიგეს და საგზურები გაინაღდეს, ოღონდ ბრინჯაოს მედლებისთვის ორთაბრძოლები წააგეს. კარგად აიღო სტარტი ბადრი ხასაიამაც. პირველივე ორთაბრძოლაში იოლად გაუსწორდა პერუელ სიქსტო ბარერას, მაგრამ დაშავებული მუხლით დატოვა ხალიჩა. მომდევნო შეხვედრა კი მასზე დაბალი კლასის ერაყელ აჰმედ ვეალისთან უწევდა. ტრავმის გამო ხასაიამ აჰმედ ვეალისს ხონჩით მიართვა გამარჯვება – ქართველი ფალავანი ერაყელთან საჭიდაოდ აღარ გასულა. ხასაიას ერთადერთ ნუგეშად ტაშკენტის სალიცენზიო ტურნირი რჩება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ მანამდე ტრავმას მოიშუშებს. თუ არა და, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ოლიმპიურ თამაშებზე ვერ წავა. ამ შემთხვევაში, ლიცენზიისთვის უნდა გაისარჯოს ტარიელ მელელაშვილი, რომელიც სალიცენზიო ტურნირებში მონაწილეობის უფლებისთვის არცთუ დიდი ხნის წინ საქართველოს ჩემპიონატში ხასაიასთან დამარცხდა. ერთი წლის წინ ხასაია ათენის თამაშების ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა.

აქვე, ორიოდე სიტყვით, ქართული საჭიდაო სკოლის კიდევ ერთ წარმომადგენელზე, ევროპის ჩემპიონ ალექსანდრე დოხტურიშვილზე. თითქმის ერთი წელიწადია, რაც დოხტურიშვილი უზბეკეთის სახელით გამოდის. 29 თებერვალს კი ის ოლიმპიურ ლიცენზიას დაეუფლა. დოხტურიშვილიც 74 კგ წონაში ასპარეზობს და ნაკრებში მოსახვედრად, ძირითადად, ხასაიასათან უწევდა მეტოქეობა. ხასაიას ტრავმა რომ არა, მათი გზები, ალბათ, ამჯერადაც გადაიკვეთებოდა. საქმე ისაა, რომ აჰმედ ვეალისი, ხასაიას ყოფილი მეტოქე, რომელთანაც არც კი უჭიდავია, მერვედფინალში დოხტურიშვილს გადაეყარა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველის გამარჯვებით დასრულდა, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ხასაია-დოხტურიშვილის გზები ათენში გადაიკვეთოს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ბერძენ-რომაელთა ნაკრები ექვს კაცამდე გაიზარდა. ახლა მორიგ სალიცენზიო ტურნირს დაველოდოთ. წარმატების შემთხვევაში შვიდეულიც დაკომპლექტდება.

# საქართველოს ჩემპიონი

## სოფიკო თევდორაძე

მოცურავე



| | |
|---|---|
| *დაბადების თარიღი:* | *1989 წლის 12 მარტი* |
| *სიმაღლე:* | *173 სმ.* |
| *წონა:* | *58 კგ.* |
| *ოჯახური მდგომარეობა:* | *დედა, მამა, და* |
| *ტიტულები:* | *საქართველოს ჩემპიონი [2002, 2003 წლებში], ბაქოს საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული* |
| **პირველი მწვრთნელი:** | გიორგი აბზიანიძე |
| **პირველი გამარჯვება:** | 2000 წლის 22 ივნისს, იაკომიდის სახელობის შეჯიბრებაში პირველი ადგილი |
| **ყველაზე დიდი მიღწევა:** | საქართველოს ჩემპიონობა [2002, 2003 წლებში] |
| **ბავშვობის ოცნება:** | ექიმობა |
| **ყველაზე დიდი იმედგაცრუება:** | 2002 წელს თურქეთის საერთაშორისო ტურნირზე ვერ წავედი იმის გამო, რომ ჩაიშალა |
| **უხერხული მოწინააღმდეგე:** | ბაქოელი ნატალია ფილინა |
| **საყვარელი ილეთი:** | სტილი "ბატერფლაი" |
| **თქვენი აზრი ქართული სპორტის შესახებ:** | დღესდღეობით უჭირს, მაგრამ აღმავლობის გზაზე დგას |
| **რა გაღიზიანებთ, რა გახარებთ:** | მაღიზიანებს წაგება, მახარებს გამარჯვება |
| **კურიოზი:** | ბაქოში ყოფნისას, მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ქალაქი დაგვეთვალიერებინა. ყველანი გამოვიპრანჭეთ და ისე წავედით ბაქოს სანახავად. ქუჩაში ვიღაცას მომღერლები ვეგონეთ და კონცერტზე მივყავდით |
| **ჰობი:** | კალათბურთი |
| **საყვარელი მსახიობი:** | კევინ კოსტნერი |
| **საყვარელი ფილმი:** | "მგლებთან მოცეკვავე" |
| **საყვარელი მწერალი:** | ნოდარ დუმბაძე, შარლოტა ბრონტე |
| **საყვარელი წიგნი:** | ჯეინ ეარი |
| **საყვარელი მუსიკოსი:** | უიტნი ჰიუსტონი |
| **რომელ სამზარეულოს ანიჭებთ უპირატესობას:** | ქართულს და ჩინურს |
| **საყვარელი კერძი:** | მწვადი |
| **საყვარელი სასმელი:** | კოკა-კოლა |
| **ვისთან ერთად იქეიფებდა:** | ბრედ პიტთან და მეგობრებთან |
| **სად იცხოვრებდით საქართველოს გარდა:** | პარიზში |
| **რომელ კურორტზე დაისვენებდით:** | გაგრაში |
| **რას მოისმენდით საკუთარ თავზე:** | დღეს სოფო თევდორაძემ მოიპოვა ოლიმპიური ოქრო |
| **მიზანი:** | გავხდე ისეთივე მოცურავე, როგორიც ინგიდე ბრუინია |
| **დევიზი:** | ფრიალ-ფრიალით, აღმა და დაღმა |

TV-სპორტი

## სამშაბათი. 2 მარტი

### НТВ+ ФУТБОЛ

08:30 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
09:00. NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ვეტერანები რიგში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
14:55 "დარტყმა გოლისთვის"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:10 თავისუფალი დარტყმა
16:25 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:20 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" – "მილანი"
20:00 "პოსტსკრიპტუმი"
20:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
21:00 თავისუფალი დარტყმა
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:15 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:15 რუსეთის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. შესვენებისას (00:05) – თავისუფალი დარტყმა
01:15 "პოსტსკრიპტუმი"
01:45 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
02:15 02:15-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. ოვერტაიმი: კარიმ აბდულ ჯაბარი
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "PHILADELPHIA 76-ERS" – "MILWAUKEE BUCKS". მე-7 თამაში
06:30 NBA TV. დღიური

### НТВ-ПЛЮС СПОРТ

11:00, 14:10, 17:10, 20:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20 "ჰარმონიის ფორმულა"
11:35 "ორშაბათამდე მივატანთ
12:05 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
12:35 "ყინული და ქვა". გადაცემა კერლინგზე
13:10 რალი "პენო"
13:40 "სპორტული გლობუსი". Trans World Sport"
14:25 "ჰარმონიის ფორმულა"
14:40 "ბილიარდის მეუფენი"
15:10 ავტოსპორტი. "ყველა ვარსკვლავთა" რბოლა
17:25 ბოულინგი. PBA Tour ვესტ ბებილონში (აშშ)
18:20 სუპერკროსი
18:55 ბრძოლა წესების გარეშე - Ultimate Fighting Championships
20:15 როდეო. Bull Riders
21:00 ვარსკვლავური სამშაბათი
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ფიგურული სრიალი. სკოტ ჰამილტონის შოუ
23:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
00:00 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
00:40 სინქრონული ცურვა. საერთაშორისო ტურნირი. შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
04:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
04:30 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "TORONTO MAPLE LEAFS" – "BOSTON BRUINS". პირდაპირი ტრანსლაცია

### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი აშშ-ში
14:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ყატარში
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ბედნიერი საათი
17:00 ბალახის ჰოკეი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი ესპანეთში
18:30 ფეხბურთი. ევროგოლები
19:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
20:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ყატარში
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ბედნიერი საათი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 მულტისპორტი
03:00 ინდიკარის ავტორბოლები. აშშ-ის სერიები
03:15 ახალი ამბები
03:30 ექსტრემალური სპორტი. ზამთრის ექსტრემალური თამაშები აშშ-ში

# ლეკვის დაბადება



## როგორ მოვუაროთ ძუს ლეკვების დაყრის შემდეგ

ძუ რომ ლეკვების დაყრას მოათავებს, მაშინვე მიეცით ცოტაოდენი თბილი, გლუკოზიანი რძე. დაყრის დროს, ლეკვსა და ლეკვს შორის, გრილი რძე დაალევინეთ (თბილი რძე მადას მოგვრის), ხოლო თუ ნამატი დიდია და ძუ ძალიან დაიღალა, შეიძლება რძეში ერთი ჩაის კოვზი კონიაკიც გაურიოთ.

ლეკვების დაყრა დიდი ჯაფაა ძუსთვის. სითხის რაოდენობა, რომელსაც იგი "წყლის" ბუშტებისა და სისხლდენის სახით კარგავს, ნელნელა უნდა აღუდგეს, ოღონდ, დაყრის თუ არა ლეკვებს, მაშინვე ბევრი სითხის მიცემა არ შეიძლება - ასვით ცოტა და ხშირ-ხშირად.

ლეკვების დაყრის შემდეგ ძუ ძალიან დაღლილი იქნება. ძალ-ღონის აღსადგენად გყავდეთ სითბოში, ნუ შეაწუხებთ და ცოტა ხანს მარტო დატოვეთ თავის ლეკვებთან.

ლეკვების დაყრის დროს დასვრილი დაფანი მაშინვე აიღეთ და ახალი დაფინეთ, ხოლო როცა ძუ ბოლო ლეკვსაც გააჩენს, მთელი საგები გამოცვალეთ. მშობიარობის შემდეგ სისხლიანი გამონადენი ძუს (მით უფრო, თუ დიდი ჯიშისაა) ერთ კვირას ან ცოტა მეტხანს ექნება, კუჭიც შეურბილდება და ეს ბუნებრივიცაა. მაგრამ თუ ძალიან არეული გეჩვენათ, მიეცით აქტივიზირებული ნახშირის აბები. არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ ძლიერმოქმედი წამალი. ნუ დაივიწყებთ, რომ დედის რძით იგი ლეკვებსაც გადაეცემა. ლეკვების დაყრის შემდეგ ძუს რამდენიმე დღით სიცხე ცოტა აუწევს.

თუ მშობიარობამ ნორმალურად ჩაიარა, ძუს კარგი მადა ექნება, მაგრამ ვეტერინართა უმრავლესობა გვირჩევს, პირველ ხანებში, სანამ კუჭ-ნაწლავის მოქმედება მოუწესრიგდებოდეს, მსუბუქად ვკვებოთ. პირველ ორ დღეს ოთხ საათში ერთხელ მიეცით მხოლოდ რძიანი საკვები პატარ-პატარა ულუფებად. მშობიარობის უმალ თუ მაღალკალორიულ საკვებს მისცემთ, შეიძლება ძუს იმდენი რძე ჩაუდგეს, - თანაც თუ ლეკვები ცოტა ჰყავს, - რომ სარძევე ჯირკვლების ანთება დაემართოს.

წყალი იმდენი დალიოს, რამდენიც უნდა.

ლეკვების დაყრიდან, დაახლოებით, მესამე დღეს ძაღლს სიცხე დაუწევს და უკვე შეგიძლიათ, პირველად მისცეთ ხორცი, მაგრამ კვირის ბოლომდე მძიმე საკვებს მაინც მოერიდეთ.

პირველ კვირაში ძუ ათ-ათი წუთით გაიყვანეთ გარეთ მოსასაქმებლად, მეორე კვირაში 15-30 წუთით გაუხანგრძლივეთ სეირნობა. ეს ხელს შეუწყობს რძის გამოყოფას და, გარდა ამისა, ძველებური მუსკულატურის აღსადგენად, აუცილებელია, თუნდაც, მინიმალური ფიზიკური დატვირთვა.

სეირნობიდან მობრუნებული ძუ კარგად გაწმინდეთ ნოტიო ნაჭრით, გაუმშრალეთ ძუძუსთავები და მხოლოდ ამის შემდეგ დააბრუნეთ ლეკვებთან.

გახსოვდეთ, რომ ძუ ძალიან იღლება ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. ამიტომ, როცა თავის ლეკვებთან წევს, ეცადეთ, არავინ შეაწუხოს და "ბუნაგიც" მაშინ დაალაგეთ, როცა იგი სასეირნოდ ჰყავთ გაყვანილი.

პირველ ხანებში, სანამ ლეკვები წამოიზრდებოდნენ და ძუც ისე აღარ ინერვიულებს უცხო ხალხის დანახვაზე, თავი შეიკავეთ სიმპათიური ნაყარით თავის მოწონებისგან. ძუ, განსაკუთრებით თუ იგი კარგი დედაა, უცხო ხალხის გამოჩენაზე ძალიან შფოთავს ხოლმე.

### ქვეშაგები

პლედი თითქოს კარგი ქვეშაგები უნდა იყოს, მაგრამ პატარებს შეიძლება ხიფათი მოსწიოს. საქმე ის არის, რომ ძუს ჩვეულებად აქვს "ბუნაგის" ფხოჭნა, რის გამოც პლედი იბურდება. ლეკვები ყველგან დაფორთხავენ, შეიძლება რომელიმე მათგანი პლედის ნაკეცებში ისე გაიხლართოს, რომ მოიგუდოს, ანდა პლედის ქვეშ შეძვრეს, ძუმ კი ვერ შენიშნოს და ზედ დააწვეს. ასე რომ, თუ ქვეშაგებად პლედს გამოიყენებთ, ისე დაამაგრეთ, რომ ძუმ ვერ ააძროს. მერე კი, როცა ლეკვები წამოიზრდებიან, ყველაფერს ბურბუშელას დაფენა სჯობს. ბურბუშელას მტვერი არ ასდის, სუფთაა, თანაც, თუ დაისვრება, მის გამოცვლასა და დაწვას არაფერი უნდა.

### დამატებითი კვება

ჯანსაღი და ღონიერი ძუ, სამ კვირამდე მეინც, თავად მიაწვდის ლეკვებს საუკეთესო საკვებს - თავის რძეს. მხოლოდ ზოგიერთი ძუ, მაგალითად, ბლაგდაუნდი და კიდევ ისეთი, რომელსაც ძალიან ბევრი ლეკვი ჰყავს ან ავადაა, ვერ მოახერხებს ამას და მაშინ ლეკვების კვებას ორკვირანახევრიდან უნდა შეუდგეთ.

დაწვრილებით ამის თაობაზე შემდეგ მოგახსენებთ.

*წიგნიდან*
*"ძაღლი და მისი მოშენება."*

*წარსულის ფურცლებიდან*

# მეკვერნე

საქართველოში მეკვერნე ძაღლი ერთადერთი სარეწაო ტიპის სანადირო ძაღლია. დამტკიცებას არ საჭიროებს, რომ კვერნა ჩვენში ერთ-ერთი ძვირფასი და მთავარი საბეწვეულო ნადირია და, მაშასადამე, მეკვერნე ძაღლის მოშენებას და გამრავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბეწვეულო საქმის განვითარებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში, ისე როგორც რუსეთში ცნობილ მყეფარას (Лайка). ამისათვის ყოველგვარი ზომებია საჭირო, რათა ეს ჯიში დაცული და მომრავლებული იქნას არა მარტო მის სამშობლოში - გურია-აჭარაში, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში, სადაც კვერნაზე ნადირობა წარმოადგენს სარეწაო ნადირობის მთავარ სახეს.

კვერნაზე ნადირობა საქართველოს თითქმის ყველა რაიონში წარმოებს. კვერნაზე ნადირობენ ხაფანგით, მახეთი და საწამლავით, ხოლო მეკვერნე ძაღლით ნადირობა მხოლოდ გურიასა და აჭარაშია გავრცელებული. ძველი, მავნე ტრადიციის გამო ძნელი იყო მეკვერნე ძაღლის შოვნა - მას 2-3 ათას მანეთად აფასებდნენ. ლეკვებს ხომ ძლიერ ცოტა რაოდენობით ზრდიდნენ და ძნელი რომ ყოფილიყო ლეკვის შოვნა, ძუ ძაღლის პატრონები ლეკვებს ხოცავდნენ. სამწუხაროდ, ეს ყოვლად უმსგავსო და დაუშვებელი ტრადიცია ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის და ამის გამო ბევრ მსურველს მეკვერნე ძაღლი ვერ შეუძენია. მართალია, მახარაძისა და ბათომის მონამხანაგობებმა ამ ჯიშის ძაღლებს ყურადღება მიაქციეს და მზრუნველობითაც ეპყრობიან მათ, მაგრამ საჭირო ღონისძიებანი მაინც არ არის გამომუშავებული, და თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, რომ ისედაც გადაშენებულ და განადგურებულ მეკვერნე ძაღლების აღდგენას ათეული წლები დასჭირდება.

ორიოდე სიტყვა ქართული მეკვერნე ძაღლის წარმოშობის შესახებ. მისი წარმოშობის ადგილად დასავლეთ საქართველო უნდა იქნეს მიჩნეული. არ არის სწორი, როდესაც გურია-აჭარაში ამბობენ, ვითომც მეკვერნე ძაღლი ოსმალური ჯიშის იყოს. პირიქით, მეკვერნე ძაღლები ძველად საქართველოდან ოსმალეთში იქნა გაყვანილი. ეს ჯიში იქ შედარებით კარგ პირობებში იყო. ამის გამო იქ მან შეინარჩუნა თავისი ტიპი-სტანდარტი, ჩვენში კი უყურადღებობისა და მოუვლელობის გამო გადაგვარების გზას დაადგა და გადაშენებამდეა მისული.

საჭიროა მახარაძისა და ბათომის მონამხანაგობებმა აიღონ ინიციატივა მეკვერნე ძაღლის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მიიღონ ყოველგვარი ზომები და დაიცვან იგი განადგურებისაგან. 1938 წლის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინონ ამ ჯიშის ძაღლის მოშენება-გამრავლება, "სისხლის განახლება", საშუალება მისცენ სხვა რაიონებს, შეიძინონ იგი და ამ რიგად მეკვერნე ძაღლი ხელმისაწვდომი გახადონ ყველა მსურველისათვის.

*პაჭუ ჟორდანია*
*ყოველთვიური ჟურნალი*
*"მონადირე"*
*N 1 1938 წ.*

# სტილი და მომზადება

ალეკო ნუკრაძე

მეძებრების საველე თვისებების შეფასებათა ცხრილის მიხედვით ფრინველის დამუშავების ელემენტების შემდგომ **სტილი** ფასდება. ყოველ ჯიშს დამახასიათებელი "ხელწერა", შტრიხები ახასიათებს, რაც გამოიხატება მოძრაობის, თავ-კისერის დაჭერის, კუდის ტარების თავისებურებებში მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე. ჯიშისთვის დამახასიათებელი სტილის გამოვლენას მნიშვნელოვანწილად ანატომიური აღნაგობის თავისებურება და ტემპერამენტი განაპირობებს, თუმცა არამხოლოდ. სტილი ჯამში მაქსიმალური თხუთმეტი ქულით ფასდება. ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფასდება **ძებნის, ნაბულის, ლტოლვა-მიახლებისა და მიტანების** სტილი შესაბამის ხუთქულიან გრაფებში. შევეცდებით ამ ნიშნის მიხედვით მოკლედ დავახასიათოთ ჩვენთან გავრცელებული მეძებრის ჯიშები.

**პოინტერებს,** განსხვავებული ექსტერიერული ტიპებიდან გამომდინარე, ბუნებრივია სხვადასხვანაირი სტილი ახასიათებთ. ტიპური წითელფოთლებიანი პოინტერი ათლეტური აღნაგობით, კვადრატული ფორმატით, მოკლე ზურგით გამოირჩევა. ეძებს სწრაფი, ენერგიული ნავარდით ან კარიერით, მაღალი ნახტომებით. ამავე დროს მისი სვლა ნარნარია - ზურგი სწორად დააქვს, თითქოს გახევებულიაო, შესამჩნევად არც იხრება და არც იზნიქება, ტანის არც წინა ნაწილს და არც გავას ზევით არ აგდებს, ასე რომ, ზურგის კონტური წინ და უკან რყევის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. თავი ძებნისას მაღლა უჭირავს, ძირითადად ჰორიზონტალურად. ასეთი სტილი პოინტერისთვის კლასიკურადაა მიჩნეული. მისი ცქერა დოღის ცხენის რბოლის ან დასაქოქი დაუღლელი მექანიზმის მოძრაობის შთაბეჭდილებას უქმნის მაყურებელს. განსხვავებულია ხმელი და მსუბუქი აღნაგობის შავი პოინტერი. მისი მოძრაობები თავისებური პლასტიკითა და დახვეწილობით გამოირჩევა. ამ ტიპის წარმომადგენლის სვლა სინარნარით პირველისას ვერ შეედრება - ვერტიკალური ბიძგები ზევით აგდებს კორპუსის წინა ნაწილს, ხოლო ზურგის ხაზი ელასტიკურად მოძრაობს. სწორედ შავ პოინტერს ახასიათებს ეფექტურად, თავის ძლიერ მაღლა დაჭერა და ცხვირის თავზევით აშვერა, თითქოს უნდა ჰაერის ზედა ფენებს მიწვდესო. ეს ტიპები კუდის ტარების მანერითაც განსხვავდებიან - წითელფოთლებიანს ძებნის დროს თითქმის ჰორიზონტალურად ან ოდნავ დახრილად დააქვს და განსხვავებული რიტმით არხევს, ნავი ნახევრად ჩამოშვებულს, ხშირად უმოძრაოდ, მოდუნებულს ატარებს. პოინტერის ლტოლვა-მიახლება დაძაბულია, რაც ნიავზე მკვეთრი შეტრიალებით იწყება. ამ დროს მეძებრის პოზა წინ და ზევით სწრაფვას გამოხატავს. ამ ელემენტში ისევ და ისევ გამოირჩევიან შავი ტიპის საუკეთესო წარმომადგენლები თავ-კისერის თამამი დაჭერით და კეფის ზემოთ აღერილი ცხვირით. საყოველთაოდაა აღიარებული პოინტერის ნაბულის სილამაზე და მონუმენტალურობა - დგას ასე ერთიანად გაძაგრული და გაყინული, ისე, რომ ერთი კუნთიც არ უტოკავს, ლარივით ერთ ხაზზეა გაჭიმული ცხვირიდან კუდის წვერამდე, აკეცილი და მკერდზე მიკრული წინა ფეხით, ფრინველისკენ მიმართული ისედაც გრძელი, კიდევ უფრო წაგრძელებული კისრით. იმ პოინტერებს, რომლებიც ამ ორი ტიპის შერევის შედეგად წამოვიდნენ, ე.წ. შუალედური სტილი ახასიათებს, რაც თავის თავში ორივე სახესხვაობის ნიშანთვისებებს აერთიანებს.

რითაც **ინგლისური სეტერის** მუშაობა იქცევს ყურადღებას, პირველ რიგში ესაა უსაზღვრო, თავდავიწყებამდე მისული აზარტი თუ თვალშისაცემი ემოციურობა. იგი ძებნის სისწრაფით არ ჩამოუვარდება პოინტერს. ინგლისური სეტერი ეძებს ენერგიული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნარნარი, მიწას გაკრული ქროლვით, თითქოს მისრიალებსო. ამ დროს იდეალში მისი ზურგი აბსოლუტურად სწორი და უმოძრაოა და როგორც ძველი მონადირეები ამბობდნენ, წყლით სავსე ჭიქა რომ დაადგა, წვეთიც არ უნდა დაიღვაროსო. ძებნისას თავი, პოინტერთან შედარებით, დაბლა უჭირავს, ხშირად ზურგის დონეზე. კუდი ზურგის კონტურის გაგრძელებაზე ან ოდნავ დახრილად, უმოძრაოდ დააქვს. ფრინველის დამუშავებისას ინგლისური სეტერის მოძრაობები მკვეთრია და გაბედული. იგი დამახასიათებელი კატისებური მოძრაობებით, ნახევრად ჩაცუცქული, ხანმოკლე შეჩერებებით, მიპარვით უახლოვდება ნაყნოს ფრინველს. ეს ჯიში ნაბულის პოზების დიდი მრავალფეროვნებითაა ცნობილი სხვათა შორის. კლასიკურად ითვლება და მაქსიმალური ქულით ფასდება დაბლა განრთხმული ნაბული. ამ დროს ძაღლი ტანის ინა ნაწილით თითქმის მიწასაა გაკრული, ხშირად აკეცილი წინა ფეხით, ხოლო გავა უფრო მაღლა უჭირავს. ინგლისური სეტერის ყველანაირი ტიპის ნაბული კარგად გამოხატავს აფექტს, ფიცხ ტემპერამენტს და აბსოლუტურად "გაყინულია".

**ირლანდიური სეტერიც** ზემოაღნიშნული ჯიშების მსგავსად, სიფიცხით გამოირჩევა, რაც თხელ, მაღალფეხება აღნაგობასთან ჯამში სწრაფ, ენერგიულ და მსუბუქ ნავარდში გამოიხატება ძებნის დროს. მისი სვლა სპეციფიკური "ხელწერით" გამოირჩევა, რაც "მგლის (მგლური) ნახტომების" სახელითაა ცნობილი - დაოთხილი სირბილის დროს კიდურების ვერტიკალური ბიძგები ზევით აგდებს კორპუსის ხან წინა, ხანაც უკანა ნაწილს. შედეგად ზურგის კონტურის "რყევის" შთაბეჭდილება იქმნება. ამავე დროს, იგივე ზურგი ტალღისებურად, დინამიკურად მოძრაობს. ძებნისას ირლანდიურ სეტერს თავი ზურგის დონეზე უჭირავს, ხანდახან ოდნავ დაშვებული ცხვირით (ცოტა არ იყოს არაეფექტურად), კუდი ნახევრად დაშვებული აქვს და უმოძრაო. სუნს თავაწეული იჭერს, ლტოლვა-მიახლოება უემოციო აქვს, ფრინველისკენ თითქოს სხვათა შორის, ცივსისხლიანივით მიიწევს. ირლანდიური სეტერი ნაბულზე მთელი ტანით ამართული, განსაკუთრებული აფექტაციისა და დაძაბვის გარეშე დგას. ზოგიერთი ნახევრად დაშვებული კუდის წვერს აქიცინებს.

კურცჰაარს თავი სხვადასხვანაირ პოზაში უჭირავს - გამომდინარე სიტუაციიდან, იგი ნაყოფიერად უხამებს ზეყნოსვას და კვალით მუშაობას. კუდი ჰორიზონტალურად დააქვს და აქიცინებს, რისი რიტმიც ჩორთზე გადასვლისას შესამჩნევად იზრდება. ლტოლვა-მიახლებისას და ნაბულზე, ისევე როგორც მუშაობის მთელ პროცესში, კურცჰაარი ზომიერად გამოხატული ჟინისა და სრული მობილიზაციის განსახიერებაა. ნაბულზე თავი ხშირად ზურგის დონეზე უჭირავს.

**დრათჰაარის** მუშაობის სტილი კურცჰაარისგან განსხვავებით, გრძელი ნახტომებითა და ნარნარი სვლით გამოირჩევა. აგრეთვე, ნაკლებად ახასიათებს ჩორთზე გადასვლა, თავიც უფრო მაღლა უჭირავს ძებნისას.

სვლის სტილის შეფასებისას ჯიშისთვის დამახასიათებელი მოძრაობების გარდა, ყურადღება ალურის ენერგიულობას და თავის ჭერის მანერას ექცევა. ფასობს ენერგიული, მსუბუქი, არანაკლებ მინდაოს დონეზე თავაწეული სვლა. მართალია, ყველა ჯიშს თავის მაღლა ჭერის მანერა არ ახასიათებს, ამიტომ არც ქულა აკლდება, მაგრამ თავაწეული ძებნა მაინც ყველას უხდება და მისასალმებელია. მხოლოდ ჩორთით და ნაბიჯით, დაბლა დაწეული თავით ძებნა, განურჩევლად ჯიშისა, მინიმალური ქულით ფასდება. გერმანული მეძებრების სტილის შეფასებისას, პირველ რიგში, ყურადღება ტემპერამენტსა და ნერვული სისტემის თავისებურებებს უნდა მიექცეს. გაუწონასწორებელი, სუსტი ფსიქიკის, ძლიერ აღგზნებადი (ქოლერიკული) ტემპერამენტის გამოვლენის შემთხვევაში მათი სტილი დაბალი ქულებით უნდა შეფასდეს. წოლელა და დაბლა განრთხმული ნაბული მხოლოდ ინგლისურ სეტერს ახასიათებს, დანარჩენ ჯიშებს კი ნათლად ეთვლებათ. არასაკმაოდ დაძაბული ნაბული, კერძოდ, კუდის რხევა, ოდითგანვე მოსდგამს ირლანდიურ სეტერს და ეპატიება, თუმცა მისთვისაც არასასურველია. გორდონსა და გერმანულ მეძებრებს ნაბულიდან წამყვანისკენ მოხედვა სჩვევიათ და ამის გამო ქულა არ აკლდებათ. დანარჩენ შემთხვევაში ნაბული დაძაბული - აბსოლუტურად უმოძრაო უნდა იყოს. დაუძაბავი ნაბული სერიოზულ ნაკლოვანებად ითვლება სტილის თვალსაზრისით, ისევე როგორც ფლეგმატური, დუნედ გამოხატული და დაბალი ქულით ფასდება.

ქულებს საეგერო ქულებს უწოდებენ, რადგან ამ ელემენტის მიხედვით შეფასება მთლიანად ასახავს მგეშავის მიერ გაწეულ შრომას.

**განაფულობა** გულისხმობს ძებნისას და ფრინველის დამუშავებისას მეძებრის დამოუკიდებელ, წამყვანის დახმარების გარეშე, გააზრებულ ქცევას, რაც გარკვეული პრაქტიკის შედეგად მიიღწევა. ძაღლის განაფულობის ხარისხი ვლინდება წამყვანთან კონტაქტის, ამოყვანილ ფრინველზე ან თოფის ხმაზე რეაქციის მიხედვით. უმაღლესი ქულით ფასდება სრული, ნებაყოფლობითი კონტაქტი, როდესაც მეძებარი არც ერთი წუთით ყურადღების არედან არ უშვებს წამყვანს, საერთოდ არ საჭიროებს ძებნის კორექტირებას ბრძანებებით, არ გადის მორჩილების ზონიდან, ანუ მუშაობს მხოლოდ წამყვანზე, ყოველი ფრინველის ამოსვლას და გასროლას მშვიდად ხვდება, ადგილზევე რჩება ან წვება დამოუკიდებლად. თუ კონტაქტი არასაკმაოა, მეძებარს მით მეტი ქულა აკლდება, რაც მეტ ძალისხმევას ანდომებს წამყვანი ამ კონტაქტის შენარჩუნებას მასთან, რაც უფრო ხშირად საჭიროებს მისი ძებნა ბრძანებებით კორექტირებას. ასევე საკმაო ქულებს კარგავს ფრინველის გამოკიდებისას ათ მეტრამდე,





**შოტლანდიური სეტერი (გორდონი)** დანარჩენი ბრიტანული მეძებრებისგან სრულიად განსხვავებული ნატურაა - დინჯი, გაწონასწორებული, სოლიდური. ეძებს ზომიერ ან შენელებულ სისწრაფის დამძიმებული ნავარდით, მაღალი ნახტომებით. თავი საკმაოდ მაღლა უჭირავს, ბევრი კუდს აქიცინებს ან წრიულად ატრიალებს. ამ ჯიშის მუშაობის ყველა ელემენტი სიდინჯითა და აუღელვებლობით გამოირჩევა და აკლია ის სიფიცხე და ჟინიანობა, რაც პოინტერსა და დანარჩენ სეტერებს ახასიათებთ. გორდონი ნაბულზე მონუმენტალურია, მთელი ტანით ამართული, ნახევრად დაშვებული უმოძრაო კუდით. მონადირის მომლოდინე, ხშირად უკან აბრუნებს თავს, რაც კიდევ ერთხელ მის გაწონასწორებულ ტემპერამენტზე მიგვანიშნებს.

გერმანელები თავიანთი მეძებრის ჯიშების გამოყვანისას მხოლოდ და მხოლოდ პრაგმატული პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, რაც მიზნად ნადავლის მოპოვების მაქსიმალურ ეფექტურობას ისახავდა და ინგლისელებისგან განსხვავებით, არაფრად დაგიდევდნენ ესთეტიკურ მხარეს. ამან, ბუნებრივია, თავისებური დაღი დაასვა კონტინენტალების ნატურას, რომელიც ზომიერი ტემპერამენტითა და გაწონასწორებული, ძლიერი ხასიათით გამოირჩევა.

**კურცჰაარი** ეძებს ზომიერი სისწრაფის ნავარდით, პერიოდულად ჩორთზე გადასვლით, განსაკუთრებით ფრინველის მაღალი კონცენტრაციის ადგილებში. ამ ჯიშის ბევრი წარმომადგენელი ალურის თავისებური მანერით გამოირჩევა, ე.წ. კურც-გალოპით, ანუ მოკლე ნავარდით. ამ შემთხვევაში ძაღლი შესამჩნევად მოკლე ნახტომებით დარბის, ხოლო მისი ზურგის კონტური აშკარად ირყევა, რადგან კიდურების ვერტიკალური ბიძგები ზევით აგდებს ხან კორპუსის წინა ნაწილს, ხანაც გავას. სვლის ასეთი მანერა ისტორიულად ახასიათებს ამ ჯიშს, თუმცა დღეს სავალდებულოდ და იდეალურად არაა მიჩნეული. ძებნისას და ნაბიჯით, დაბლა დაწეული თავით ძებნა, განურჩევლად ჯიშისა, მინიმალური ქულით ფასდება.

შეფასებათა ცხრილში ბოლო ადგილი **მომზადებას** უკავია. ეს ელემენტი აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს მუშა მეძებრისთვის და თანაბრად საჭიროა როგორც შედეგიანი ნადირობისთვის, ასევე გამოცდაზე ძაღლის თანდაყოლილი თვისებების სრულად გამოსავლენად. მომზადება ორი კომპონენტის - **განაფულობისა** და **მორჩილებისგან** შედგება, რომელთაც ცხრილში შესაბამისად მე-12 და მე-13 გრაფები ეთმობათ და თითოეული მაქსიმალური ათი ქულით ფასდება. მიუხედავად იმისა, რომ მგეშავს გარკვეული წვლილი შეაქვს ცხრილში ასახული პირველი თერთმეტი სამუშაო ელემენტის განვითარებაში, ამ გრაფების მიხედვით, ძირითადად, მაინც თანდაყოლილი თვისებები ფასდება. ამათგან განსხვავებით, ტრადიციულად და სრულიად სამართლიანადაც, მომზადებისთვის განკუთვნილ

თუმცა დიპლომის მიღების სრულ შანსს ინარჩუნებს. ათ მეტრზე შორს გამოკიდებისას ძაღლი იხსნება გამოცდიდან, როგორც მოუმზადებელი, რადგან ასეთ შემთხვევაში მონადირეს სროლაში ხელი ეშლება.

**მორჩილება** გულისხმობს წამყვანის ბრძანებების შესრულების ხარისხს. უმაღლესი ქულით ფასდება, გამოცდის მთელი პერიოდის განმავლობაში, მითითებების სწრაფად, ხალისიანად და ზუსტად შესრულება. მეძებარს მით უფრო აკლდება ქულები, რაც უფრო ხშირად საჭიროებს განმეორებით ბრძანებებს. უფრო დაბალი ქულებით ფასდება დაჟინებული ბრძანებების უხალისოდ და ნაძალადევად შესრულება. თუ ძაღლი წამყვანის ბრძანებების დიდ ნაწილს არ ემორჩილება, მაგრამ მისი გამოცდა ასე თუ ისე შესაძლებელია, ექსპერტები მაინც ცდიან მას. თუ წამყვანი საერთოდ ვერ იმორჩილებს მეძებარს, რომელიც მის ბრძანებებს საერთოდ ყურად არ იღებს, მაშინ მისი გამოცდა აზრს კარგავს და იგი იხსნება.

ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, ძაღლის ინდივიდუალური თავისებურებები და მემკვიდრული განწყობა საეგერო გრაფების შეფასებას მაინც ანიჭებს გარკვეულ ელფერს. ფიცხი და გაუწონასწორებელი ძაღლების მომზადებაზე მგეშავი უფრო მეტ დროს კარგავს, ყოველი სანადირო სეზონის შემდეგ მათ უფრო მეტი მუშაობა სჭირდებათ სპორტული ფორმის, სათანადო კონტაქტის აღსადგენად, ვიდრე გაწონასწორებულ სანგვინიკებს. დიდი აზარტი მათ კონტაქტის გაუარესებას აიძულებს და წამყვანისგან მუდმივ სიფხიზლეს მოითხოვს. ასევე ვხვდებით მორჩილებისადმი გენეტიკური მიდრეკილების მთელ სპექტრს. ზოგიერთი მეძებარი ძალდაუტანებლად, ხალისით ასრულებს ბრძანებებს, ზოგი კი ისეთი ჯიუტია, რომ მოსათოკად ხანგრძლივ, დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. ბუნებრივია, ასეთი განსხვავებული ტიპების თანაბარ დონეზე მოსამზადებლად განსხვავებული დრო და ენერგიაა საჭირო.

# ალმოდოვარი უნიღბოდ



ნინო ჭორჭაძე

*მის ფილმებს ყველა კარგად იცნობს, თვით ამ კაცს - თითქმის არავინ, მას ხომ არ უყვარს პრესასთან ურთიერთობა და ხალხმრავალი შეკრებები, საკუთარ თავზე კი არასოდეს ლაპარაკობს.*

მადრიდი. ეს პედრო ალმოდოვარისათვის (და არა მარტო მისთვის) არის ადგილი, რომელიც ერთდროულად გხიბლავს, გაღელვებს და იდუმალებით გავსებს. მაგრამ ბოლო დროს იგი ქუჩაში ისე ვერ გაივლის, რომ ვინმემ ავტოგრაფი არ სთხოვოს ან მისი ფირზე აღბეჭდვა არ მოისურვოს. აი, ახლაც ღია კაფეში ზის მეგობართან ერთად. ლანჩის დროა. პედრო ძალიან მოუსვენრად გამოიყურება. მისი პიროვნების ერთ ნახევარს ძალიან არ მოსწონს ეს ყურადღება, ნატრობს იყოს ცოტა მეტად ანონიმური იმ ქალაქში, სადაც ბავშვობა გაატარა. სულ რამდენიმე წუთის წინ იგი ვიდეოკამერით დააფიქსირეს და ავტოგრაფი სთხოვეს. ალმოდოვარი მოღუშული სახით იღებს კალამს და ფურცლის ნაგლეჯს - ცდილობს მალე მოიშოროს თავიდან აბეზარი თაყვანისმცემელი... და უეცრად, როგორც ყოველთვის, რაღაც ხდება: პედრო შეკრულ კოპებს ხსნის, ხუმრობს და იცინის, იწყებს თამაშს. და ალმოდოვარი, რომელსაც წუთის წინ სიმშვიდე და განმარტოება სურდა, სიცოცხლის ხალისით და ენერგიით აღსავსე საკუთარი სახლის კარს მიღმა უჩინარდება.

პედრო დროის დიდ ნაწილს თავის აპარტამენტებში, მადრიდის ცენტრში ატარებს.მას წერა ქალაქგარეთ ვერც წარმოუდგენია. უყვარს ქალაქი, ქუჩის ხმაური, ზოგჯერ კი ამ ხმაურს ფანჯრის ორმაგი მინა ასუსტებს. აი, ასე მუშაობს ის პედრო ალმოდოვარი, რომელიც ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანია, ბევრისათვის - უცნობი და მარტოსული.

მეორე დილით, მისი ბინის პირდაპირ მდებარე კაფეში თავდახრილი, ჩუმი ხმით უკვეთავს ყავას. საუბარი მის მეგობარს, გარდაცვლილ მხატვარს ეხება. პედრო მის სიკვდილზე მშრალად და სევდიანად საუბრობს. "ის არ იყო კარგი მხატვარი" - აღიარებს იგი: მისი ტალანტი სულ სხვა რამეში ვლინდებოდა: საფესტივალო კოსტიუმების მორგება და გართობა. პედრომ იცის როგორ დაასრულა მან ცხოვრება: წავიდა ფესტივალზე აპოლოს, ქაღალდის კოსტიუმში გამოწყობილი, იქ კი ცეცხლი მოეკიდა და დაიწვა...

თურმე, ერთ დროს პედროსაც, სხვათა მსგავსად, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა იდეა - აეშენებინა სახლი სოფელში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დღეს მას უკვე აქვს ასეთი სახლი. იგი მადრიდიდან ნახევარი საათის სავალზეა. აქ პედრო ოჯახთან ერთად მოდის დროის გასატარებლად. მის ძმას, აგუსტინს, რომელიც ასევე პედროს პროდიუსერია, ჰყავს ორი ვაჟიშვილი, რომელთაც პედროს მსგავსად უყვართ ცურვა, ჩოგბურთი და თავისუფლების შეგრძნება. ალმოდოვარების დასასვენებელი სახლი შეკრებებისა და წვეულებების ხშირი მასპინძელია. გარედან სახლი თითქოს ჩვეულებრივია, მაგრამ შესვლისთანავე ყველაფერში იგრძნობა პედრო ალმოდოვარისეული სული: ერთმანეთში არეული მყვირალა ფერები, ყვითელი, წითელი, ლურჯი, რაც განსაკუთრებით იქ შესულ ქართველს გააოგნებდა... სამზარეულოში მაცივარი და ღუმელი ფორთოხლისფერია. სახლის ექსცენტრული მფლობელი გარემოცულია სრულიად წარმოუდგენელი, გიჟური საგნებით. ეს არის პედრო ალმოდოვარის სამყარო, სავსე ნათესავებისა და მეგობრების ფოტოებით. აქ ყველაფერი ასიმეტრიულია და მოულოდნელობებით სავსე, ისევე, როგორც თვით პედროს პიროვნება. პედროს უყვარს მუსიკის ხმამაღლა მოსმენა, სარკეში ყურება და სხვადასხვა ნიღბის მორგება, რაც მას უფრო საინტერესოს ხდის, თუმცა ზოგისთვის შეიძლება აუტანელიც კი იყოს. ალმოდოვარს არ მოსწონს საკუთარი თავი და, როგორც თავად ამბობს, ყოველთვის ცდილობს შეცვალოს მასში რაიმე უკეთესობისაკენ.

პირველობისაკენ სწრაფვა - ეს თვისება მისი ცხოვრების ყველა პერიოდისათვის მკვეთრად დამახასიათებელია. ბავშვობაში (ესპანეთის პროვინციაში) ათი წლის პედრო სკოლის ვარსკვლავი იყო: მასავით შთამბეჭდავად ვერავინ კითხულობდა ისტორიებს წმინდანებზე, გალობდა ეკლესიის გუნდში, მაგრამ არასოდეს მოსწონდა ის რელიგიური განათლება, რომელიც მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ ალმოდოვარს გული ქალაქისაკენ მიუწევდა, მაგრამ მამამ აიძულა დარჩენილიყო და ემუშავა. "მამაჩემი ვერასოდეს მიგებდა, - ამბობს პედრო, - მან არ იცოდა როგორ გამოეყენებინა საკუთარი ავტორიტეტი".

შემდეგ იყო ქუჩა, ჰიპობა... მთელ ამ წლებს კი თან სდევდა კინოსადმი გაუნელებელი ინტერესი და სიყვარული.

დღეს პედრო ალმოდოვართან წვეულებაა, მაგრამ პედრო საერთო მხიარულებას არ იზიარებს, ფიქრობს ბავშვობის სიყვარულზე, ჩავლილ წლებზე (თუმცა, უდავოდ, არა უნაყოფოდ) ... რატომღაც უეცრად სევდიანდება, თვალზე ცრემლი ადგება. ცოტა ხნის შემდეგ ის ისევ სერიოზულია და იმ კაცის გამომეტყველება აქვს, ვისაც მიზნად ქაოსის მოწესრიგება დაუსახავს. იგი დგება და სულ რაღაც ერთ წუთში უჩინარდება.

## დილის რეცეპტი გადაცემიდან "დილა მშვიდობისა საქართველო"



### სოკოს წვნიანი

ლელა წურწუმია
მომღერალი

**ინგრედიენტები:**

დაკონსერვებული ქამა სოკო 250გ
ქამა სოკო ახალი 5-6ც
არაჟანი 1-2ს/კ
პურის ფქვილი 5-6 ს/კ
ხახვი 1 თავი
კარაქი 100გ
შავი პური 1ცალი
სალათის ფურცლები
მარილი
პილპილი

**მომზადების წესი:**

წვრილად დაჭრილი ხახვი მოვშუშოთ კარაქში, დავუმატოთ დაკონსერვებული ქამა სოკო და ვშუშოთ ხახვთან ერთად 5-10 წუთი. ამის შემდეგ დავუმატოთ 1,5-2 ლიტრი მდუღარე წყალი და ვხარშოთ 10-15 წუთი.
ფქვილი გავხსნათ 1 ჭიქა ცივ წყალში და შევურიოთ არაჟანი. მიღებული მასა ჩავასხათ ქვაბში რომელშიც იხარშება სოკო და ურიოთ ბლანტი მასის მიღებამდე. მარილი და პილპილი გემოვნებით.
შავ პურს მრგვლად მოვაჭრათ ზედაპირი, ამოვუღოთ გული, ისე რომ მივიღოთ ერთგვარი ღრმა თეფშის მაგვარი ჭურჭელი. ჩავასხათ ამოშიგნულ პურში მზა კერძი და თავზე დავახუროთ მოჭრილი ზედაპირი.
პური მოვათავსოთ სალათის ფურცლებით გაფორმებულ თეფშზე.

კარაქის საკმაზი:
50გ კარაქი
კამა, ნიორი და მარილი გემოვნებით

წვრილად დაჭრილი კამა და გახეხილი ნიორი შევურიოთ კარაქს, დავუმატოთ მარილი.
საკმაზი წავუსვათ ღუმელში გამომცხვარ პურს.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

2 მარტი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "მაგარი ბიჭები". მთ. რ-ში: რობერტ დე ნირო, რეი ლიოტა.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი "ლედი კაროლინა ლემი" **11.45** დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "ქალი კამელიებით" **17.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** და არს მუსიკა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** სათავეებთან **22.30** მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" მე-3ს.

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ისინი" მთ. რ-ში ლორა რიტანი, მარკ ბლიუკასი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოჩვენებები" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "გვინევერა" (ჯინა გერშონი) **23.00** მხ. ფილმი "ერთხელ ჩინეთში" (ჯეტ ლი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.35** კინოსეანსი "კიკუჯირო" **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი "წითელი მზე"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "40 დფე და 40 ღამე" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "დამოუკიდებლობის დღე" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "დარტყმის სიშორეზე" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "გულთამყრობელნი" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **12.00** მხ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.30** მიუზიკჰოლი **15.15** მხ. ფილმი **17.20** ჯაზის საღამოები (განმ.) **17.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 11.50, 13.45, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **12.10** მხ. ფილმი "კენგურუ ჯეკი" **14.00** მულტფილმი "კონკია" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** დოკ. ფილმი "ქანდაკება" **17.00** მხ. სერიალი "ჯონ როსი" **18.00** მულტფილმი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ინდიგოს მიწა" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "80 დღე დედამიწის გარშემო" მე-6ს. **01.00** მხ. ფილმი "ლოს ანჯელესის საიდუმლოებანი".

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 15.15, 16.05, 17.20, 00.35** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მულამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ამაზონი" **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.15** ქრონიკა **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "ამაზონი"

### არხი

**08.00** მოკლემეტრაჟიანი ფილმი "გაიცანით, ჟანეტი!" **09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე" **11.35** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ.გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მხ. ფილმი "რომაელი ცენტურიონის ჯვარი" **14.40** მხ. ფილმი "უდაბნოს ცხელი მზე" **16.20** მულტფილმი "ტომი და ჯერი" **17.20** მხ. ფილმი "მფრინავ გუსართა ესკადრონი" 2 ს. **19.05** მუსიკა **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.10** კომედია "დიდი ლებოვსკი" **22.40** "პოზიცია" **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** დრამა "სიბნელეში მოცეკვავე" **03.30, 05.40** მუსიკა **04.00** თრილერი "მიზეზი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **09.45** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5" 11.20 Худ.фильм "Суровые километры" 12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Это начиналось так" 15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Шутка за шуткой" **19.50** "Выборы-2004" **20.00 Сериал "Клон" 20.50 Худ.фильм "Любительница частного сыска Даша Васильева" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Худ.фильм "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** "Кремль-9". "Дача Сталина" **01.00** "На футболе" **01.30** "Сканер" **02.00** "Русский экстрим" **02.30 Комедия "Братья Блюз-2000" 04.40** "Что? Где? Когда?"

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45 Сериал "Тайны следствия 3" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.50, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Женщины в игре без правил" 15.30** Ток-шоу "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Люди и тени". "Секреты кукольного театра" 19.05 Сериал "Главные роли" 20.00 Детектив "Зачем тебе алиби?" 21.50** "Спокойной ночи, малыши!" **21.55 Сериал "Тайны следствия 3". "Заложники" 22.55 Сериал "Женщины в игре без правил" 00.00** "Вести+" **00.20 Сериал "Идиот" 01.40 Худ.фильм "Взрывчатка" 03.45** "Дорожный патруль" **04.00** "Агентство одиноких сердец" **04.25 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.45 Сериал "Свободная женщина 2" 11.00** "Сегодня утром" **11.25** Экспедиция Т.Баженова "Дикий мир: пещерные бесы" **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.35 Худ.фильм "Алый камень" 15.15** "Время есть" **15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.40 Детектив "На вираже", 5 с. 21.50 Сериал "Свободная женщина 2", 2 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45 Сериал "Без следа". "Пропавшая невеста" 00.50 Сериал "На вираже"**

# არსებობენ თუ არა სულები?



ამერიკელი მსახიობი, ჰოლი ბერი, რომელიც ფილმ "გოთიკაში" სულის მიერ დევნილ ქალს ასახიერებს, დარწმუნებულია, რომ მოჩვენებები მართლა არსებობს. "მჯერა, რომ გარდაცვლილთა სულებს დაბრუნება შეუძლიათ, მაგალითად, იმ საქმის დასასრულებლად, რომლის დამთავრებაც ცხოვრების განმავლობაში ვერ მოასწრეს, ან თავიანთი საყვარელი ადამიანების მოსანახულებლად და მათთვის ნუგეშის მისაცემად," - განაცხადა ჰოლიმ. მართალია, მოჩვენება არასოდეს უნახავს, მაგრამ სულის სიახლოვე უგრძვნია, "ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია".

37 წლის მსახიობს ყველაზე მეტად წყალში დახრჩობის ეშინია: "ამაზე უარესი სიკვდილი ჩემთვის წარმოუდგენელია," თქვა მან. გარდა ამისა, მას ძალიან არ უნდა, რომ მარტოობაში ამოხდეს სული.

# კონცერტი ბეირუთში

ცენტრალურ აზიაში საგასტროლოდ გამგზავრებულ მერაია ქერის პირველი კონცერტი ლიბიაში გაიმართა. ვერცხლისფერ სამოსში გამოწყობილ მომღერალს იქ 5 ათასი თაყვანისმცემელი აღტაცებული შეძახილებით შეეგება.

90-წუთიანი კონცერტის დროს მერაიამ თავის ჰიტები, Butterfly და Hero-ც შეასრულა. მის მსმენელთა შორის ქვეყნის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის მეუღლეებიც იყვნენ. ეს კი უკვე დიდი წარმატებაა.

# დაიცავით ზომიერება!

მომღერალი და ფეხბურთის ვარსკვლავის, დევიდ ბექჰემის მეუღლე, ვიქტორია, კინაღამ თავის გარეგნობის გაუმჯობესების მცდელობას შეეწირა: გარუჯვის დროს მან გრძნობა დაკარგა.

ავსტრიული გაზეთი "ნიუსი" იუწყება, რომ ის ნათურების ქვეშ მეტისმეტად დიდხანს იწვა – ბექჰემებს ხელოვნური რუჯისთვის საგანგებო აპარატურა აქვთ შეძენილი. მერე დაასკვნეს, აპარატი დეფექტური იყოო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ვიქტორია თავს შეუძლოდ გრძნობს და გარეგნობის ნაცვლად ამჯერად ჯანმრთელობაზე უწევს ზრუნვა.

# ათენისკენ!

ჰოლივუდის ვარსკვლავი, ანჯელინა ჟოლი, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩირაღდნის ესტაფეტაში მიიღებს მონაწილეობას. 29 წლის მსახიობი ოლიმპიურ ცეცხლს შეჯიბრების დაწყებამდე სულ უკანასკნელ ეტაპზე ჩაიბარებს.

2001 წლიდან ჟოლი გაეროს ლტოლვილთა დახმარების ორგანიზაციის ელჩია. გარდა ამისა, "ლარა კროფტის" შემდეგ ალარავის ეპარება ეჭვი, რომ ოლიმპიური ცეცხლი სანდო ხელში იქნება.


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ღ.უზნაძის № 72 ტელ:29-48-61



# სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:
- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი საკვალიფიკაციო კურსები.
- საზაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეთათვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერთიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით.
MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com








